საზოგადოებრივ-პოლიტიკური გამოცემა
www.geworld.ge
№11 (387)
22 - 28 მარტი, 2017
საქართველო და მსოფლიო
ფასი 1 ლარი
gazeti@inbox.ru

# MADE IN ჯეჯელავა

## ანუ როგორ წაგვართვა სტალინმა და კომუნისტურმა რეჟიმმა პაოლო კოელიე

9

# ბინალი ალამ კვირიკაშვილს ყური აუწია

## რისთვის ჩამოვიდა ბათუმში ილდირიმი?

3



ვახტანგ მაისაია:
სავარაუდოდ, ეს იყო ძალიან მკაცრი საუბარი თურქეთის პრემიერის მხრიდან და, თუ ასე გაგრძელდა, ასეთი თითის ქნევები მომავალშიც იქნება.

2

# სად არის ქალი, რომლის მინისტრობის პერიოდში ყველაზე მეტი პატიმარი მოკვდა ქართულ ციხეებში?!

6



«ხალხს ყველაზე მეტად უსამართლობის განცდა აწუხებს. აწუხებს ის, რომ ადამიანები, რომლებიც იჭერდნენ, კლავდნენ, აუპატიურებდნენ, დღეს ისევ თანამდებობებზე არიან...»

# «თურქეთში ბეჭდავენ სახელმძღვანელოებს, რომლებშიც აჭარა მიჩნეულია თურქეთის ტერიტორიად»

5



გიორგი ოთხმეზური

# «გაკვესტებული» ქართული მედია და «გაქუცნული» ქართული პოლიტიკა

8

# ივანიშვილის გურჯისტანს ჩინელები ეპატრონებიან

## საქართველოს ჩინეთიზაცია გადამწყვეტ ფაზაში შედის



„ჩინელები საქართველოში აშენებენ მიკრორაიონებს, ჰიდროელექტროსადგურებს, გოლფის მოედნებს, სათბურებს, სარკინიგზო გვირაბებს, ქუთაისში — თავისუფალ ეკონომიკურ ზონას, თვალი დაადგეს ანაკლიის პორტს; როგორც მონებს, ისე ეპყრობიან ადგილობრივებს, რომლებიც სამუშაოების შესასრულებლად ჰყავთ დაქირავებული“.

14

# პატარა კახის ზარბაზანში ჩასატენი საქართველოს მტრები

4

„საგანგაშო სურათის კონტურები იკვეთება საქართველოში. იქმნება ერთიანი ანტიქართულ-ლიბერასტული ფრონტი: უსუფაშვილის პარტია, რომელთანაც შემდგომში გაერთიანდება მარგველაშვილი და მისი მხარდამჭერები, აგრეთვე, ბოკერია-უგულავას დაჯგუფება და ნაცებთან ასოცირებული არასამთავრობოების ლიდერები.
ამ სიმსივნეს კი თავის მეტასტაზებიანად დააფინანსებს ჯორჯ სოროსი. ეს იქნება ყველაზე საშიში ანტიქართული ძალა“.



პოლიტიკა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

## „თუ ერდოღანი დაინახავს, რომ საქართველო ისევ თავგასაპანული მიილტვის ალიანსისკენ, შესაბამის განცხადებებს გააკეთებს. მეტიც, ძალიან მკაცრ ნაბიჯებს გადადგამს და ამას ჩვენთვის კარგი შედეგი ნამდვილად არ მოჰყვება“.

**თურქეთის პრეზიდენტმა რეჯეფ თაიფ ერდოღანმა სტამბოლში სიტყვით გამოსვლისას განაცხადა, რომ ევროპის ბალ-მასკარადი დასრულდა, — იუწყება გამოცემა hurriyet-ი. ერდოღანის თქმით, რაც ევროპაში ბოლო პერიოდში ხდება, აჩვენებს, რომ თურქეთის წინააღმდეგ ბრძოლა ახალ ეტაპზე გადავიდა, რაც მიზნად ისახავს თურქეთის პროვოცირებას, რათა ვითარება კიდევ უფრო დაიძაბოს და ოფიციალურმა ანკარამ საპასუხო ნაბიჯები გადადგას. „მივმართავ მათ, ვინც ხავერდოვან ხელთათმანში რკინის ხელს იყენებს: თურქეთთან არ გაგივათ ეს. თურქეთი, რომელიც თავს იხრიდა თქვენი მუქარებისა და ტირანიის წინაშე, წარსულს ჩაბარდა. ჩვენ არ დავუშვებთ, რომ ვინმემ დააზიანოს ჩვენი მოქალაქეები; ნებისმიერი ქვეყანა, რომელიც შეეცდება ამის გაკეთებას, შედეგებს თავის თავზე იგრძნობს“, — დასძინა ერდოღანმა.**
**როგორ აისახება საქართველოზე თურქეთსა და ევროკავშირს შორის ურთიერთობის დაძაბვა, კონკრეტულად რა ცვლილებებია რეგიონში მოსალოდნელი, რა პოლიტიკა უნდა გაატაროს საქართველომ — ამ საკითხებზე კომენტარისთვის „საქართველო და მსოფლიო“ ექსპერტებს დაუკავშირდა.**

# «სავარაუდოდ, ეს იყო ძალიან მკაცრი საუბარი თურქეთის პრემიერის მხრიდან და, თუ ასე გაგრძელდა, ასეთი თითის ქნევები მომავალშიც იქნება»



**ჰამლეტ ჭიპაშვილი,** პოლიტოლოგი:

— თურქეთს დასავლეთის მიმართ ნამდვილად აქვს წყენის საფუძველი. ეს ქვეყანა, უკვე ნახევარ საუკუნეზე მეტია, ცდილობს ევროკავშირში შესვლას და ყველა მისი ნაბიჯი ამ მიმართულებით უშედეგოა. ამას, ადრე თუ გვიან, ბუნებრივია, დაძაბულობა მოჰყვებოდა, მაგრამ ახლა მთავარია, სადამდე მივა ეს დაძაბულობა. აშკარაა, რომ ეს არ არის მხოლოდ ლიდერებს შორის დაძაბულობა, ეს სახელმწიფოთა შორის საკმაოდ მწვავე კონფრონტაციაა და, როგორ შეიძლება განვითარდეს ეს პროცესები, კაცმა არ იცის.

რაც შეეხება საქართველოს, **ოფიციალური ანკარა უკვე პირდაპირ იმუქრება ნატოდან გასვლით და მასთან ურთიერთობის გაწყვეტით, საქართველო კი თავგასაპანული უძვრება ჩრდილოატლანტიკურ ორგანიზაციას.** მეტიც, თავდაცვის სამინისტროს გენერალური შტაბის უფროსმა **ვლადიმერ ჩაჩიბაიამ** ამას წინათ განაცხადა, მზად ვართ, ფოთის პორტი ნატოს დავუთმოთო. ახლა წარმოიდგინეთ, რა ურთიერთობა გვექნება ამ ყველაფრის ფონზე სახელმწიფოსთან, რომელიც დღითიდღე სულ უფრო ცუდი თვალით უყურებს ნატოს და საბოლოოდ ამ ორგანიზაციიდან გასვლაზეც შეიძლება ფიქრობდეს. ცხადია, ამას გარკვეული დაძაბულობა მოჰყვება და, **თუ ერდოღანი დაინახავს, რომ საქართველო ისევ თავგასაპანული მიილტვის ალიანსისკენ, შესაბამის განცხადებებს გააკეთებს. მეტიც, ძალიან მკაცრ ნაბიჯებს გადადგამს და ამას ჩვენთვის კარგი შედეგი ნამდვილად არ მოჰყვება.** ასე რომ, ეს ყველაფერი გასათვალისწინებელი და ასაწონ-დასაწონია ჩვენი ხელისუფლების მხრიდან, მაგრამ პიროვნება, რომელიც ამ ყველაფერს გააანალიზებს და სათანადო დასკვნებს გამოიტანს, დღეს, სამწუხაროდ, საქართველოში არ ჩანს. ხელისუფლების სათავეში სხედან სრული უვიცები, რომლებსაც გეოპოლიტიკისა არაფერი ესმით და ისე იღებენ გადაწყვეტილებებს, რა პროცესები წავა შემდგომ და რას მივიღებთ საბოლოოდ, საერთოდ, არ ფიქრობენ...

**პეტრე მამრაძე,** ყოფილი პარლამენტარი:

— დღეს ევროგაერთიანების ქვეყნებში არის სერიოზული დემოგრაფიული კრიზისი. მათ, ფაქტობრივად, ახალგაზრდები არ ჰყავთ. თურქეთში კი სხვა ვითარებაა. ამას წინათ ერდოღანმა პირდაპირ მიმართა მოსახლეობას, — თითოეულმა ოჯახმა ხუთ-ხუთი შვილი გააჩინეთო, ანუ ამ მხრივ იქ პრობლემა არ არსებობს. ასე რომ, შესაძლოა, ამასაც გულისხმობდა ერდოღანი, როცა განაცხადა, ევროპის ბალ-მასკარადი დასრულდაო. ეს მხოლოდ ვარაუდის დონეზე შეიძლება ვთქვათ, მაგრამ არ არის გამორიცხული, უფრო სერიოზული სახეც მიიღოს მომავალში ევროკავშირის ზოგიერთ სახელმწიფოსა და ოფიციალურ ანკარას შორის არსებულმა დაძაბულობამ. ყოველ შემთხვევაში, არა მგონია, უახლოეს ხანებში ეს ყველაფერი ჩვენს რეგიონში რამეს ფუნდამენტურად შეცვლის, მსგავსი მოლოდინი არ მაქვს. ისე, რა თქმა უნდა, ძალიან ბევრია დამოკიდებული ჩვენი ხელისუფლების პოზიციაზე, თუ იქნება ადეკვატური პოლიტიკა, ცხადია, პრობლემები და თავსატკივარი ნაკლები გვექნება...





**ვახტანგ მაისაია,** პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორი:

— საქართველოში არავინ საუბრობს იმაზე, რას შეცვლის თურქეთსა და ნატოს, თურქეთსა და ევროკავშირს შორის არსებული დაძაბულობა საქართველოსა და თურქეთის ურთიერთობაში. ეს ძალიან ბევრ რამეს შეცვლის. უწინარესად კი, უნდა ითქვას, რომ ოფიციალური ანკარისთვის ევროკავშირის კარი საბოლოოდ დაიხურა და ევროგაერთიანებაში მისი შესვლის პერსპექტივა პრაქტიკულად ნულია. ასევე სერიოზული კითხვის ნიშნის ქვეშ დადგა ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში მისი დარჩენა-არდარჩენის საკითხი, ამ დროს მიდის ინტენსიური მოლაპარაკებები კრემლთან და მეტიც, **უკვე საუბარია სტრატეგიულ პარტნიორობაზე ანკარასა და მოსკოვს შორის. ეს იმას ნიშნავს, რომ რეგიონში ფუნდამენტურად იცვლება პოლიტიკური ვითარება და ეს ცვლილებები, რა თქმა უნდა, საქართველოსაც შეეხება.**

აქვე მინდა შევეხო თურქეთის პრემიერმინისტრის — **ბინალი ილდირიმისა** და საქართველოს პრემიერმინისტრ **გიორგი კვირიკაშვილის** შეხვედრას ბათუმში, ძალიან უცნაური იყო ის, რომ არც პრესრელიზი ყოფილა, არც ოფიციალური განცხადებები და შეფასებები, ასეთი დონის შეხვედრები ასე არ ხდება. ასევე, ძალიან მნიშვნელოვანია ის, რომ **შეხვედრამდე მოხდა ბათუმში მცხოვრები თურქი მოქალაქეების შეკრება, რომლებმაც თავიანთ პრემიერს ერთობლივი პეტიცია გადასცეს.** არავინ იცის, რა ეწერა იმ პეტიციაში, მაგრამ ერთი რამ ფაქტია: **შეხვედრის შემდეგ მხარეებს არანაირი კომენტარი არ გაუკეთებიათ, არანაირი შეფასებები და თუნდაც მინიშნებები იმის თაობაზე, რაზე ისაუბრეს. სავარაუდოდ, ეს იყო ძალიან მკაცრი საუბარი თურქეთის პრემიერის მხრიდან და, თუ ასე გაგრძელდა, ასეთი თითის ქნევები მომავალშიც იქნება.** როგორც ჩანს, რეგიონში მიმდინარე გეოპოლიტიკური გარდაქმნების ფონზე გარკვეული დაძაბულობა გარდაუვალია. თუმცა აქ ასევე ძალიან მნიშვნელოვანია, სწორი და ადეკვატური თუ იქნება საქართველოს ხელისუფლების პოლიტიკა ამ პროცესების მიმართ...



# «საქართველოს ხელისუფლება საერთოდ ვერ აცნობიერებს, რა ხდება ჩვენ გარშემო და რა პოლიტიკის გატარებაა საჭირო»

**ვალერი კვარაცხელია,** პარტია „ნეიტრალური საქართველოს“ ლიდერი, ანალიტიკოსი:

— დღეს მსოფლიოს გეოპოლიტიკურ ასპარეზზე სამი ძირითადი ტენდენციაა გამოკვეთილი: პირველი — ეს არის ამერიკის შეერთებული შტატების გლობალისტური პოლიტიკის კრახი, რომელიც გამოიხატა საპრეზიდენტო არჩევნებში **ჰილარი კლინტონის** დამარცხებითა და სათავეში რესპუბლიკელი **ტრამპის** მოსვლით; მეორე ტენდენცია — ეს არის ევროკავშირის რღვევა. საზოგადოდ, ევროკავშირი ამერიკის პროექტია და იმთავითვე ცხადი იყო, რა ბედი ელოდა ამ გაერთიანებას. დღეს უკვე აშკარაა, რომ ეს პროექტი ჩავარდა, რაც შეეხება მესამე ტენდენციას, ეს არის ნატო. აშკარაა, რომ ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში გაჩნდა ბზარი და ამის ნათელი მაგალითია თურქეთი. ეს ყველაფერი კი, რა თქმა უნდა, სერიოზულ ცვლილებებს გამოიწვევს ჩვენს რეგიონში და საქართველოზეც მნიშვნელოვნად აისახება. თუმცა ყველაზე მეტად მაინც მეშინია იმის, რომ საქართველოს ხელისუფლება აბსოლუტურად მოუმზადებელია ამ პროცესებისთვის. მეტიც, **საქართველოს ხელისუფლება საერთოდ ვერ აცნობიერებს, რა ხდება ჩვენ გარშემო და რა პოლიტიკის გატარებაა საჭირო.** აი, ეს არის ჩვენთვის ყველაზე დიდი საფრთხე, თორემ თურქეთიც, რუსეთიც და სხვა მეზობელი სახელმწიფოებიც ყოველთვის იმოქმედებენ თავიანთი ინტერესებით. ჩვენი პრობლემა და უბედურება არის ის, რომ არ გვყავს ჩვენი სახელმწიფოებრივი ინტერესების დამცველი პოლიტელიტა. ჩვენი ხელისუფლება მოწყვეტილია რეალობას, ვერ აცნობიერებს, რა გარდაქმნები მიმდინარეობს მსოფლიოში...

# «ილდირიმისა და კვირიკაშვილის შეხვედრამდე მოხდა ბათუმში მცხოვრები თურქი მოქალაქეების შეკრება, რომლებმაც თავიანთ პრემიერს ერთობლივი პეტიცია გადასცეს»

მოამზადა **ჯაბა ჟვანია**

# რუსეთის სახელწიფო სათათბირომ რუსეთის მოქალაქეობის გამარტივებული წესით მიღების კანონპროექტი დაამტკიცა




**რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს კომიტეტმა კანონპროექტი დაამტკიცა, რომლის მიხედვით რუსული ენის მცოდნე პირებს მოქალაქეობის მიღება გაუადვილდებათ.**

კანონპროექტის თანახმად, სსრკ-ში დაბადებულ ყველა ადამიანს და მათ შთამომავლებს რუსული პასპორტის გამარტივებული წესით აღება შეეძლებათ.

კანონპროექტი რუსეთის სათათბიროს დსთ-ის საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარის პირველმა მოადგილე კონსტანტინ ზატულინმა წარადგინა. მისი ერთ-ერთი ავტორია ნატალია პოკლონსკაია.

დოკუმენტი „რუსეთის ფედერაციის მოქალაქეობის შესახებ“ და „უცხოელ მოქალაქეთა სამართლებრივი სტატუსის შესახებ“ კანონებში ცვლილებების შეტანას ითვალისწინებს. განმარტებით ბარათში ნათქვამია, რომ აღნიშნული საკითხი რუსეთის პრეზიდენტ ვლადიმერ პუტინის ინიციატივაა.



**თუ საქართველოს ხელისუფლება აღიქვამს ილდირიმის ვიზიტს, როგორც უკმაყოფილების სიგნალს, ის ნეგატიური რეაქციისგან, სავარაუდოდ, თავს შეიკავებს, მეტიც, შეიძლება გადადგას ისეთი ნაბიჯები, რომლებიც, ერთი მხრივ, მოეწონება ერდოღანს, მაგრამ, მეორე მხრივ, ქართულ საზოგადოებაში რამდენადმე შესამჩნევ პროტესტს არ გამოიწვევს.**



დიმიტრი მონიავას საავტორო გვერდი

www.geworld.net

თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ბინალი ალამ კვირიკაშვილს ყური აუწია

# რისთვის ჩამოვიდა ბათუმში ილდირიმი?



**15 მარტს ბათუმს თურქეთის პრემიერმინისტრი ბინალი ილდირიმი ეწვია და ქართველ კოლეგას შეხვდა. სოციალურ ქსელებში ეს ვიზიტი ცალსახად 11 მარტს მომხდარ არეულობას დაუკავშირეს, მიუხედავად იმისა, რომ ოფიციალურ პირებს ამაზე მცირე მინიშნებაც კი არ გაუკეთებიათ. საინტერესოა, რა იყო ამის მიზეზი და როგორი პოზიცია შეიძლება დაიკავოს თურქეთმა კრიზისის გაგრძელების შემთხვევაში.**

კომენტატორების ყურადღება, უპირველესად, ვიზიტის უცნაურმა (თუ გაურკვეველმა) სტატუსმა მიიპყრო. ორივე მხარის დიპლომატები ქართულ მედიასთან საუბარში უწოდებდნენ მას არა ვიზიტს, არამედ **სატრანზიტო შემოსვლას,** ვინაიდან ილდირიმი საზღვრისპირა ართვინიდან სტამბოლში ბრუნდებოდა და სატრანზიტო პუნქტად ბათუმის აეროპორტი გამოიყენა. შესაბამისად, საუბარი ეხებოდა მხოლოდ პრემიერმინისტრების ერთობლივ ვახშამს და აზრთა თავისუფალ გაცვლას, მკაფიოდ განსაზღვრული დღის წესრიგის გარეშე.

თუმცა თურქეთის სახელმწიფო ტელერადიოკომპანიამ გაცილებით კონკრეტული ფორმულირებები გამოიყენა: „შეხვედრაზე ამომწურავად განიხილება ორმხრივი ურთიერთობები. ყურადღება გამახვილდება თურქეთ-საქართველოს უმაღლესი დონის სტრატეგიული თანამშრომლობის საბჭოს მიმდინარე წლისთვის გათვალისწინებული მეორე სხდომის მოსამზადებელ სამუშაოებზე. მოხდება აზრთა გაცვლა რეგიონული ვითარების შესახებ. ვიზიტის ფარგლებში გათვალისწინებულია ბინალი ილდირიმის მონაწილეობა საქართველოს პრემიერის, კვირიკაშვილის, მხრიდან მიცემულ ვახშამზე“, — ნათქვამია „ტრტ“-ს ქართულენოვან ვებგვერდზე.

თურქეთის პრემიერმინისტრი საქართველოს შედარებით ხანგრძლივი პაუზის შემდეგ ესტუმრა. ამასთანავე, ის ჩამოვიდა არა თბილისში ან რომელიმე სხვა ქალაქში, არამედ ბათუმში იქ მომხდარი არეულობის შემდეგ. კიდევ ერთი საინტერესო ნიუანსი — **საქართველოში მისი შემოსვლის დეკლარირებული მიზანი ბათუმის აეროპორტის გამოყენება იყო**. როგორც ცნობილია, 2006 წლის მარტში საქართველოში თურქეთის იმჟამინდელი პრეზიდენტის, აჰმედ ნეჯეთ სეზერის, ვიზიტის დროს, მხარეებმა ხელი მოაწერეს შეთანხმებას ბათუმის აეროპორტის ერთობლივი გამოყენების შესახებ, რომელმაც თურქულ ავიაკომპანიებს მიანიჭა უფლება, ის შიდათურქული რეისების ორგანიზებისთვის გამოიყენონ. ამას თბილისში მცირე სკანდალი მოჰყვა — ოპოზიციის უკმაყოფილების ფონზე პარლამენტის იმჟამინდელმა თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძემ მთავრობისგან ხელშეკრულების ტექსტის წარმოდგენა და იმის ახსნა მოითხოვა, თუ რას ნიშნავს ფორმულირება „შიდა რეისები“. სკანდალი მალევე ჩაცხრა, საქართველოს იურისდიქცია ბათუმის აეროპორტში ეჭვქვეშ არავის დაუყენებია, თუმცა სატრანზიტო ან, თუ გნებავთ, სიმბოლურ კონტექსტში, ზოგიერთმა კომენტატორმა ამ აეროპორტს შეიძლება „ნაწილობრივ თურქული“ უწოდოს და მეზობელი ქვეყნის ერთგვარ პლაცდარმად წარმოაჩინოს. ამგვარად, **ილდირიმის ვიზიტის დაკავშირება ბათუმის აეროპორტთან მათ შეიძლება განიხილონ, როგორც ერთგვარი მინიშნება თურქეთის განსაკუთრებულ სტატუსზე აჭარაში — არა იმდენად უხეში, როგორიც იქნებოდა პირდაპირი აპელირება ყარსის ხელშეკრულების მიმართ, თუმცა მაინც საგრძნობი.**

ამასთან დაკავშირებით ჩვენ შეგვიძლია 13 წლის წინანდელი ეპიზოდი გავიხსენოთ. 2004 წლის 14 მარტს ასლან აბაშიძის ძალებმა ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე მიხეილ სააკაშვილის კორტეჟი არ შეუშვეს, ორ ლიდერს შორის დაპირისპირების მორიგი ეტაპი დაიწყო და ვითარება აჭარის გარშემო მკვეთრად დაიძაბა. 17 მარტს კი თურქეთის ელჩმა აზერბაიჯანში, უნალ ჩევიკოზმა, ჟურნალისტებს განუცხადა, რომ ყარსის ხელშეკრულების თანახმად, თურქეთს აჭარაში ჯარების შეყვანის უფლება აქვს. საქართველოს იმჟამინდელ ხელისუფლებას ხმა არ ამოუღია და ამისთვის არც ეცალა იმ დღეებში, როდესაც, ლევან ბერძენიშვილის მოგონებებს თუ დავუჯერებთ, სააკაშვილი სრულიად მანიაკალურმა იდეამ შეიპყრო და მან ბათუმის საჰაერო დაბომბვა დააპირა. ირიბი პასუხი თურქებს მაშინ (27 მარტს) რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა გასცა: „ჩვენმა საგარეო საქმეთა სამინისტრომ გაიხსენა ყარსის ხელშეკრულება, რომელსაც ხელი რუსეთის მონაწილეობით მოეწერა. ამ თვალსაზრისით, ჩვენ, გარკვეულწილად, უფლება გვაქვს, თავი ამ ხელშეკრულების გარანტორებად ჩავთვალოთ, რომელშიც ნათქვამია, რომ **აჭარა საქართველოს განუყოფელი ნაწილია**. ჩვენ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის ამ პრინციპიდან ამოვდივართ“. ეს განცხადება, ალბათ, შეიძლება განვიხილოთ, როგორც მკაფიო სიგნალი იმისა, რომ რუსეთი არ დაეთანხმება თურქეთის ცალმხრივ მოქმედებას აჭარაში. ამ ეპიზოდის შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაირა და სამივე ქვეყნის მდგომარეობასა და ურთიერთობებში ბევრი რამ შეიცვალა.

**დღეს ქართული საზოგადოება კვლავ მსჯელობს, რა გავლენა შეიძლება მოახდინოს თურქეთის ჩარევამ აჭარაში განვითარებულ პროცესებზე — აქ მნიშვნელოვანია, გავითვალისწინოთ ისიც, რომ 2004 წლის თურქეთი აშშ-ის ერთგული მოკავშირე იყო და ევროინტეგრაცია სწყუროდა. ამგვარად, ვაშინგტონსა და ბრიუსელს გარკვეულ გარემოებებში მისი შეკავება შეეძლო. დღეს კი პრეზიდენტი ერდოღანი დასავლეთთან კონფრონტაციის გზას დაადგა და ამ ფაქტორმა შეიძლება აღარ იმუშაოს. ამასთანავე, გამორიცხული არაა, კრემლმა განსხვავებული პოზიცია გამოხატოს.**

**აშკარაა, რომ აჭარაში საქართველოს ხელისუფლებამ ყოველთვის განსაკუთრებული სიფრთხილით უნდა იმოქმედოს — უმართავი პროცესების დაწყება არ დაუშვას და თურქეთს ჩარევის ან თუნდაც „თითის დაქნევის“ საბაბი არ მისცეს.** 2014 წლის 17 სექტემბერს „საქართველო და მსოფლიო“ წერდა: „არავისთვის საიდუმლო არაა, რომ ნაციონალები განიხილავენ ავტონომიურ რესპუბლიკას, როგორც ერთ-ერთ მთავარ პლაცდარმს შესაძლო რევანშისთვის. მათთვის ძალზე მნიშვნელოვანია, რომ აჭარის მოქმედი მთავრობა რაც შეიძლება დისკრედიტებული იყოს და ვარშალომიძის მთავრობასთან შედარებით უსუსურად გამოიყურებოდეს. პერიოდულად ვრცელდება ინფორმაცია, რომ „ნაციონალური მოძრაობის“ ლიდერებმა შეიძლება აჭარაში რელიგიურ თუ ეთნიკურ ნიადაგზე კონფლიქტების პროვოცირება სცადონ. ასეთ სიტუაციაში „ქართული ოცნების“ სასიცოცხლო ინტერესებშია, აჭარაში თავისი მხარდამჭერების კონსოლიდირება მოახდინოს და მთავრობა გაათმაგებული ენერგიით ამუშავოს“. გავიდა ორწელიწად-ნახევარი და ჩვენ ვიხილეთ არეულობა ბათუმის ქუჩებში, ნეპოტიზმსა და ელიტარულ კორუფციაში ჩაფლული ხელისუფლება (როგორც ცენტრალური, ისე ადგილობრივი) და ღია პროვოკაციაზე გადასული „ნაცმოძრაობა“. ამ პოლიტიკური ძალის წარმომადგენლებმა სოლიდარობა გამოუცხადეს ვანდალებს, რომლებიც ბათუმს არბევდნენ, ხოლო ნაციონალების კონტროლქვეშ მყოფი მედიასაშუალებები, აგერ უკვე ათი დღეა, პრაქტიკულად დაუფარავად ცდილობენ, გააღვივონ კონფლიქტი აჭარისა და საქართველოს სხვა რეგიონების მცხოვრებლებს შორის. ისინი უთმობენ ეთერს აშკარა პროვოკატორებს, რომელთა რეპლიკებს შემდგომ სოციალურ ქსელებში მათი ოპონენტი ულტრანაციონალისტური ჯგუფები ავრცელებენ (ვინ აკონტროლებს მათ, ცალკე საუბრის თემაა, იქ არა მხოლოდ ნაციონალების ინტერესები იკვეთება), რათა ტემპერატურა კიდევ უფრო აწიონ. ეს მთელი ქვეყნის თვალწინ ხდება და ხელისუფლება ამაზე არც რეაგირებს და არც მკაფიო პოზიციას გამოხატავს.

როდესაც ხელისუფლებას მივმართავთ, როგორც წესი, ნეიტრალურ, კორექტულ ფორმულირებას ვირჩევთ, მაგალითად „ბატონებო!“ ან „პატივცემულებო!“, თუმცა ეს, ალბათ, ის შემთხვევაა, როდესაც მიმართვა უნდა დაიწყოს სიტყვით „იდიოტებო!“. უკან დაგვრჩება თქვენი პრიმიტიული თამაშები, ივანიშვილის, სააკაშვილის, კვირიკაშვილის, ღარიბაშვილის, ვარშალომიძის, ხაბაძის, პატარიძის, მღებრიშვილის ინტერესები, თუ ვერ გაიგებთ, რომ **მძლავრ უცხო სახელმწიფოებს აჭარა მიზანში აქვთ ამოღებული, რომ ის „იმპერიების გზაჯვარედინია“, სადაც ადგილობრივი ელიტა განსაკუთრებული სიფრთხილით უნდა მოქმედებდეს, მაგრამ პრობლემა ისაა, რომ ჩვენს ისტებლიშმენტს სახელმწიფოებრივი აზროვნება არ გააჩნია და ძალაუფლების თუ „ერთი ბღუჯა დოლარების“ გულისთვის ხელს ყველაფერზე მოაწერს.**

არის მეორე უკიდურესობა — მომხდარი არეულობის წარმოჩენა მხოლოდ პოლიტიკური თამაშის ნაწილად, მაშინ, როდესაც მის უკან ბევრი რეალური პრობლემა დგას. ადგილობრივი მოსახლეობის დიდი ნაწილი ძალიან გაღიზიანებულია, აჭარის პოლიტიკური და ეკონომიკური ლანდშაფტი დანაღმულ ველს ჰგავს, თანაც ისეთს, რომელზეც ნაღმების რამდენიმე ფენაა — ძველისძველი, შედარებით ახალი, უახლესი — ერთის აფეთქება დანარჩენების დეტონაციას გამოიწვევს. მას სჭირდება განაღმვა, მაგრამ ამის ნაცვლად ქართული ელიტა ამ ველზე კუკუ-დამალობანას თამაშობს. **რა მოხდება, თუ პროვოკატორები იმუშავებენ იმაზე, რომ შემდეგი მასშტაბური დაპირისპირება ბათუმში ქართველებსა და თურქებს შორის მოხდეს? რას მოიმოქმედებს ამ შემთხვევაში ერდოღანი?**

მიუხედავად იმისა, რომ ბათუმის მოვლენებმა შეაშფოთა არეულობას გადაჩვეული საქართველო, იქ 11 მარტს არ მომხდარა არაფერი ისეთი, რაც დროდადრო სხვა ქვეყნებში არ ხდება და ასეთ ვითარებაში უცხო ქვეყნების ჩარევა თავისთავად შეიცავს პრეტენზიას დომინირებაზე. **თუ საქართველოს ხელისუფლება აღიქვამს ილდირიმის ვიზიტს, როგორც უკმაყოფილების სიგნალს, ის ნეგატიური რეაქციისგან, სავარაუდოდ, თავს შეიკავებს, მეტიც, შეიძლება გადადგას ისეთი ნაბიჯები, რომლებიც, ერთი მხრივ, მოეწონება ერდოღანს, მაგრამ, მეორე მხრივ, ქართულ საზოგადოებაში რამდენადმე შესამჩნევ პროტესტს არ გამოიწვევს.** ეს შეიძლება გახდეს ერთი ან რამდენიმე სასწავლებლის დახურვა, რომელთა უკან ფეთჰულა გიულენის ინტერესები მოიაზრება, ან რომელიმე ეკონომიკურ პროექტში თურქებისთვის განსაკუთრებული პრეფერენციების მინიჭება. ცხადია, ეს პალიატიური ზომა იქნება, რომელიც არ შეცვლის მთავარს — **თურქეთის გავლენა აჭარაში და მთლიანად საქართველოში დღესდღეობით არ არის სათანადოდ დაბალანსებული სხვა მოთამაშეების მიერ და მას ზრდის ტენდენცია ახასიათებს.**

თუ ადრე ჩვენ ვესაუბრებოდით სავსებით პროგნოზირებად თურქეთს, რომელიც საერთაშორისო ურთიერთობებში მკაფიოდ განსაზღვრულ ნიშას იკავებდა, ახლა დასავლეთის გადამტერების და რუსეთთან ახალი ურთიერთობების ჩამოყალიბების, აგრეთვე, იმ საკონსტიტუციო ცვლილებების მიღების შემდეგ, რომელიც მკვეთრად გაზრდის პრეზიდენტის უფლებებს, საქმე ახალ, ძნელად პროგნოზირებად და, სავარაუდოდ, გაცილებით ამბიციურ თურქეთთან გვექნება. სამწუხაროდ, ქართველი ელიტის უდიდეს ნაწილს ამ ცვლილებების მნიშვნელობა არ ესმის.

ავი მესაიჯი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**გვეყოს ვაჟკაცობა და ვაღიაროთ, რომ ქართველი ერის გადარჩენის ერთადერთი გზა მართლმადიდებელ სარწმუნოებაზე გადის, რაც ბუნებრივად გულისხმობს ერთმორწმუნე რუსეთთან უმჭიდროეს კავშირს.**

# პატარა კახის ზარბაზანში ჩასატენი საქართველოს მტრები

**ერთი შეხედვით პარადოქსია, მაგრამ ფაქტი: 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის შედეგად, რუსეთის მიერ დამოუკიდებელ სახელმწიფოებად სოხუმ-ცხინვალის აღიარების შემდეგ უკვე 9 წელიწადია გასული, მაგრამ ისინი, მიუხედავად რუსეთის ხელისუფლების მიმართ თხოვნა-მუდარისა თუ აფხაზეთ-სამხრეთ ოსეთში ჩატარებული პლებისციტებისა, რომლებშიც აფხაზებმა და ოსებმა ლამის ერთხმად დაუჭირეს მხარი რუსეთის ფედერაციაში შესვლას, დღემდე ვერ იქცნენ რუსეთის ფედერაციის სუბიექტებად. უფრო მეტიც, ევრაზიულ კავშირშიც კი არ განიხილება მათი მიღება.**



**საგანგაშო სურათის კონტურები იკვეთება საქართველოში. იქმნება ერთიანი ანტიქართულ-ლიბერასტული ფრონტი: უსუფაშვილის პარტია, რომელთანაც შემდგომში გაერთიანდება მარგველაშვილი და მისი მხარდამჭერები, აგრეთვე, ბოკერია-უგულავას დაჯგუფება და ნაცებთან ასოცირებული არასამთავრობოების ლიდერები. ამ სიმსივნეს კი თავის მეტასტაზებიანად დააფინანსებს ჯორჯ სოროსი. ეს იქნება ყველაზე საშიში ანტიქართული ძალა!**

რატომ?

იმიტომ, რომ ამით რუსეთი დიალოგის დაწყების შესაძლებლობას უტოვებს ლიბერასტული ხელისუფლების ხელში ჩავარდნილ საქართველოს. აქედან გამომდინარე, კითხვა: ვის უფრო სჭირდება ორ ქვეყანას შორის მეგობრული ურთიერთობა — რუსეთს თუ საქართველოს, ვფიქრობ, რიტორიკულია.

მკითხველი, ალბათ, შეამჩნევდა, რომ სოხუმ-ცხინვალზე საუბრისას არ გამომიყენებია მათ მიმართ ისეთი დამამცირებელი ეპითეტები, როგორიც არის **ეგრეთ წოდებული, დე ფაქტო, არაღიარებული** და ა.შ. არც ქვემოთ ვაპირებ ჩვენი ხელისუფლების (ქოცებისა და ნაცების), აგრეთვე, დასავლელი „მეგობრების“ საყვარელი და ჩვეული ლექსიკით საუბარს და ამას ვაკეთებ სრულიად შეგნებულად, რადგან დღეს სხვა რეალობაა. აქედან გამომდინარე, ზემოხსენებული ეპითეტების გამოყენება კონტრპროდუქტიულია და, რაც უფრო სწრაფად შევიგნებთ ამას, მით უკეთესი.

აგერ, ახლახან, ცხინვალის შეიარაღებული ძალების რუსეთის არმიასთან შერწყმა გადაწყდა (ისევე, როგორც ცოტა ხნის წინათ სოხუმის) და დოკუმენტს მხოლოდ **ვლადიმერ პუტინის** ხელმოწერა აკლია, რასაც დიდხანს არ დააყოვნებს რუსეთის პრეზიდენტი, რომელიც წლების განმავლობაში მსოფლიოს ყველაზე გავლენიანი ადამიანის ტიტულს არავის უთმობდა, ახლახან კი, დასავლეთში ჩატარებული გამოკითხვის შედეგების მიხედვით, ყველაზე ძლევამოსილის თიკუნიც დაისაკუთრა.

ეს მცირე ლირიკული გადახვევაა ჩვენი ურაპატრიოტების საყურადღებოდ.

ცხინვალის (ასევე — აფხაზეთის) შეიარაღებული ძალების რუსეთის არმიასთან შეერთებას რუსეთისთვის არანაირი პრაქტიკული მნიშვნელობა რომ არ აქვს სამხედრო თვალსაზრისით, დილეტანტისთვისაც ისევე ცხადია, როგორც ის, თუ რაზე მიანიშნებს ეს ყველაფერი.

ყირიმი ხომ სამუდამოდ დაიბრუნა მოსკოვმა, დიახ, დაიბრუნა და არა მიისაკუთრა, რადგან, ისტორიულად ყირიმი არასოდეს ყოფილა უკრაინის ტერიტორია, ამიტომ სერიოზული პოლიტიკოსები აღარც კი აპროტესტებენ ამ ფაქტს, თუმცა სანქციები ინერციით კიდევ ექვსი თვით გაუგრძელეს რუსეთს, რაც, კარგა ხანია, ფეხებზე ჰკიდია ამ ქვეყნის ხელისუფლებასა და მოსახლეობას.

სოხუმ-ცხინვალის ამბები კი იმას ნიშნავს, რომ არც სამხრეთ კავკასიაში აპირებს რუსეთი რაიმეს დათმობას და სასაცილოა, სატირალი რომ არ იყოს, საზოგადოდ, ჩვენი ხელისუფლებისა და, კონკრეტულად, პიროვნულად აბსოლუტური ნოლის, პრემიერმინისტრ **კვირიკაშვილის** რეაქცია:

**ხელისუფლების წარმომადგენლებმა ეს მერამდენედ აღიარეს, რომ რუსეთის წინააღმდეგ მხოლოდ საერთაშორისო თანამეგობრობის იმედი აქვთ, ხოლო პირადად გიორგი კვირიკაშვილმა, — ამ საკითხს, სადაც ვიქნები, ყველგან კატეგორიული სიმკაცრით დავაყენებო.**

დაახლოებით ანალოგიური რამ განაცხადა პრეზიდენტად წოდებულმა კიდევ ერთმა არარაობამ — **გიორგი მარგველაშვილმა...**

ყირიმის ნახევარკუნძული სამუდამოდ დაუბრუნდა დედარუსეთს, ადრე თუ გვიან, იგივე ბედი ელის ოდესასა და კიევს, რადგანაც, ყირიმისა არ იყოს, არც ერთი არასოდეს ყოფილა უკრაინის. და, საერთოდ, უკრაინა, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფო, არასოდეს არსებობდა.

ისტორიულად იყო კიევის რუსეთი და არა კიევის უკრაინა. კიევს რუსეთის ქალაქების დედასაც ეძახდნენ, იქ მდებარეობს რუსი მართლმადიდებელი ერის უდიდესი სიწმინდე, კიევ-პეჩორის ლავრა.

ეს, რაც შეეხება ისტორიულ სამართლიანობას, რომელმაც მისცა მორალური უფლება (სამხედრო ისედაც ჰქონდა) **ვლადიმერ პუტინს**, ეთქვა — ყირიმის საკითხი დახურულია და ამ თემის განხილვას არავისთან ვაპირებთო.

აი, ახალი რეალობის სურათი, რომლის დანახვაც არ უნდა დასავლეთის მოიმედე ნაცქოცების ხელისუფლებას. დასავლეთისა, რომელიც არც ამჯერად დაიშურებს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის მხარდამჭერ რეზოლუციებს, რომელთა პოლიტიკური ეფექტი, როგორც ყოველთვის, ნულის ტოლი იქნება.

თუმცა რაღაც სარგებლის ნახვა მაინც შესაძლებელი იქნება — **გაეროს, ეუთოს, აშშ-ის, აგრეთვე, სხვა „მეგობარი“ ქვეყნების მიერ წლების განმავლობაში გაკეთებულ განცხადებებს თუ შეაგროვებს ჩვენი ფარჩაკი ხელისუფლება, ტუალეტის ქაღალდის პრობლემას ერთხელ და სამუდამოდ გადაჭრის საქართველო.**

სერიოზულად კი, აფხაზეთსა და სამაჩაბლოში მიმდინარე პროცესები იმაზე მიანიშნებს, რომ რუსეთი სამხრეთ კავკასიაში ნახტომისთვის ემზადება. ეს, უწინარესად, აფხაზეთის სარკინიგზო მაგისტრალის გახსნას გულისხმობს, რომელიც სასიცოცხლოდ აუცილებელია, როგორც მეზობელი სომხეთის ეკონომიკისთვის, ასევე, ჩვენი „ისტორიული მტრის“ — რუსეთის სამხედრო ინტერესებისთვის გიუმრის ბაზის მიმართულებით. რკინიგზა უეჭველად გაიხსნება და, თუ ჩვენი ცხელი თავები არ მოისვენებენ, რომლებსაც სჯერათ, რომ ქართულ ჯარს რუსეთის სამხედრო მანქანასთან დაპირისპირება შეუძლია და რკინიგზაზე დივერსიულ თავდასხმებს მიმართავენ, რუსეთის არმიას სარკინიგზო ჯარებიც ჰყავს და ამ შენაერთებს განალაგებს რკინიგზის დასაცავად...

საინტერესო პროცესები მიმდინარეობს ჩვენს „მეგობარ“ ევროპაში, რომელსაც, რომ იტყვიან, თავისი თავი გასჭირვებია — ბრექსიტს უკვე მოაწერა ხელი ბრიტანეთის დედოფალმა, რაც იმას ნიშნავს, რომ გაერთიანებული სამეფოს გასვლა ევროკავშირიდან ტექნიკის საქმეა.

სავარაუდოდ, საფრანგეთსა და იტალიაშიც ევროსკეპტიკოსები მოვლენ ხელისუფლებაში და წლის ბოლომდე ეს ქვეყნებიც მიიღებენ ევროკავშირიდან გასვლის გადაწყვეტილებას, ეს აუცილებლად იქონიებს გავლენას გერმანიაში გასამართი არჩევნების შედეგებზე, რომელიც ბებერ ევროპაში სულ ბოლოს, ამა წლის გვიან შემოდგომაზე გაიმართება.

და ვინღა დარჩება ევროკავშირში — აღმოსავლეთი ევროპის ქვეყნები?

ამ ქვეყნების ლიდერთა აბსოლუტური უმრავლესობა ლამის ძმობას ეფიცება პუტინს და ყველაზე მთავარი — **აღმოსავლეთ ევროპის რიგ ქვეყნებში დაიწყო ანტისოროსული მძლავრი მოძრაობა**, რომელიც ჯერ მაკედონიაში ვიხილეთ გასულ კვირაში და რომელიც ქართული მედიის „ფლაგმანის“, სიტყვის თავისუფლების „გარანტის“ — „რუსთავი 2“-ის ყურადღების მიღმა დარჩა და თქვენმა მონა-მორჩილმა რუსეთის „ტენდენციური“ არხებით ვუყურე გამოფხიზლებას გამოსოროსებული მაკედონიელებისა, რომლებმაც შტურმით სცადეს სოროსის ფონდის ოფისის აღება.

**ფილანტროპად შერაცხილი და სინამდვილეში მიზანთროპი ჯორჯ სოროსის ფონდს მაკედონიაშიც და სხვაგანაც ერთი სახელი — „ღია საზოგადოება“ ჰქვია თურმე, პლუს იმ ქვეყნის დასახელება, რომლის „კეთილდღეობისთვისაც“ ილვწის ბებერი მიზანთროპი!**

**დიდი ალბათობით, მოძრაობა ანტისოროსი დომინოს პრინციპით განვითარდება და მაკედონიის, სლოვენიის, სერბეთის მსგავსად აღმოსავლეთ ევროპას მოედება, რადგანაც იქ მიხვდნენ, რომ მათი უბედურებების სათავე, რუსეთი კი არა, საკუთარი გამოსოროსებულობაა.**

ჯორჯ სოროსს, რომელიც აშშ-ის ადმინისტრაციის მხარდაჭერით აღარ სარგებლობს, პირველად რუსეთში ამოარტყეს ჭიტლაყი და ქვეყნიდან გააძევეს, მას კი მსოფლიო სავალუტო ფონდიც მიაყოლა ვლადიმერ პუტინმა და დასავლეთიდან დაფინანსებული არასამთავრობო ორგანიზაციების, სინამდვილეში მეხუთე კოლონის, საქმიანობა მკაცრ კონტროლს დაუქვემდებარა.

რა ვითარებაა ამ დროს საქართველოში?

რა და, ყველას გვახსოვს, როგორი პომპეზურობით **უმასპინძლა ბიძინა ივანიშვილმა** საქართველოს ამომგდებ მიზანთროპ (კაცთმოძულე) სოროსს, რაც ქართველი ერისთვის სულში ჩაფურთხების ტოლფასი იყო.

თუმცა ეს გასაკვირი არ არის იმ კაცისგან, რომელმაც განაცხადა — სოროსი მე ვარო...

მსოფლიოში სამკვდრო-სასიცოცხლო დაპირისპირებაა აგრესიულ ნეოლიბერალურ იდეოლოგიასა და „ახალგამოღვიძებულ“ კონსერვატორებს შორის!

პირველის ლიდერები, პრაქტიკულად შეუზღუდავი ფინანსური რესურსებით, არიან სატანისტი ჯორჯ სოროსები, რომლებიც ლგბტ საზოგადოებას ლობირებენ მსოფლიოში.

კონსერვატორების, ანუ ტრადიციული ღირებულებების დამცველად კი ვლადიმერ პუტინი და რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესია განიხილება.

ამ ფონზე **საგანგაშო სურათის კონტურები იკვეთება საქართველოში.**

**იქმნება ერთიანი ანტიქართულ-ლიბერასტული ფრონტი: უსუფაშვილის პარტია, რომელთანაც შემდგომში გაერთიანდება მარგველაშვილი და მისი მხარდამჭერები, აგრეთვე, ბოკერია-უგულავას დაჯგუფება და ნაცებთან ასოცირებული არასამთავრობოების ლიდერები. ამ სიმსივნეს კი თავის მეტასტაზებიანად დააფინანსებს ჯორჯ სოროსი. საუბარია რამდენიმე ათეულ მილიონ დოლარზე.**

**ეს იქნება ყველაზე საშიში ანტიქართული ძალა, რომელიც კი ოდესმე შექმნილა საქართველოში და ქართველი საზოგადოების ვალია, ჩანასახშივე აღკვეთოს ლიბერასტი ხლისტების მცდელობები.**

რუსეთის მაგალითზე სოროსის ფონდს მსოფლიოს სავალუტო ფონდიც უნდა მივაყოლოთ, რომლის „დახმარება“ დღეს ძვირად დაუჯდება ჩვენს შთამომავლობას ხვალ.

საგანგაშო ფაქტია, რომ ამ ყველაფრის განხილვა, მსჯელობა პუბლიცისტიკის დონეზე ხდება და არ ჩანან, ან კიდევ უარესი, გამოჩენის ეშინიათ იმ პოლიტიკოსებს, რომლებიც ყველაფერს თავის სახელს დაარქმევდნენ.

პრაქტიკულადაც და თეორიულადაც საქართველოსთვის არსებობს ორი გზა:

**პირველი** — დავყვეთ ნეოლიბერასტების ნებას, უარი ვთქვათ ჩვენს ეროვნულ იდენტობაზე, ანუ ნებაყოფლობით დავადგეთ დაღუპვის, გადაშენების გზას.

და **მეორე** — გზა ერეკლესი, პატარა კახისა:

**გვეყოს ვაჟკაცობა და ვაღიაროთ, რომ ქართველი ერის გადარჩენის ერთადერთი გზა მართლმადიდებელ სარწმუნოებაზე გადის, რაც ბუნებრივად გულისხმობს ერთმორწმუნე რუსეთთან უმჭიდროეს კავშირს.**

„მაია წყნეთელიდან“ ზარბაზანი ხომ გახსოვთ, რომლიდან გასროლითაც ამილახვარს რომ დაუფრთხეს ძილი?

**აი იმ ზარბაზანში უნდა ჩავტენოთ სოროსის „ღია საზოგადოება — საქართველოს“ თამადობით ყველა ასო, იგივე მეხუთე კოლონა, სულგაყიდული პოლიტიკოსები, ბიძინას ბაგაზე დაბმული ე.წ. შემოქმედებითი ინტელიგენციის ის ნაწილი, რომელიც ვერაფერს ხედავს და არაფერი ესმის, საქართველოს აშკარა თუ ფარული მტრები...**

ჰოდა, ისეთი ბათქით და ისე შორს უნდა გავისროლოთ პატარა კახის დიდი ზარბაზნიდან, რომ სრულიად მსოფლიოს ხლისტებს დავუფრთხოთ ძილი — საქართველოს მხოლოდ ერთმორწმუნე რუსეთთან ერთად ყოფნით არ უწერია გადაშენება-გადაგვარება!

**დავით მხეიძე**

მართალი ისტორია
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„1770 წლის აღწერის შედეგების მიხედვით, ქართლ-კახეთის სამეფოში 42 000 ოჯახი ცხოვრობდა, 300 000 კაცსაც კი არ აღწევდა ქართლ-კახეთის მოსახლეობა. ფიზიკურად ველარ გაუძლებდა ქვეყანა ირანის, ოსმალეთისა და ჩრდილოეთ კავკასიელების შემოტევას“.**



# გიორგი ოთხმეზური: თურქეთში ბეჭდავენ სახელმძღვანელოებს, რომლებშიც აჭარა მიჩნეულია თურქეთის ტერიტორიად

**ბოლო ათწლეულების განმავლობაში ხშირად ცდილობდნენ ისტორიული მოვლენების ინტერპრეტირებას პოლიტიკური გარემოებებისა და იდეოლოგიის მიხედვით... როგორი უნდა იყოს დაწყებითი კლასების ისტორიის სახელმძღვანელოები, რა უნდა აისახებოდეს მათში, მოზარდმა ისტორიული ფაქტები მართებულად რომ გააანალიზოს — ამ საკითხებზე ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი გიორგი ოთხმეზური გვესაუბრება.**

> **«ჩემთვის ძნელია სტალინზე დადებით კონტექსტში საუბარი. ბაბუაჩემი დახვრიტეს, მამიდის ქმარი დახვრიტეს და მამიდაჩემი პატარა ბავშვით გადაასახლეს, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ვაცხადებ, რომ სტალინისა და ჰიტლერის შედარება დაუშვებელია. ჰიტლერი ერების ამოწყვეტას აპირებდა, მხოლოდ არიულ რასას უნდა ეცხოვრა... სტალინი ნამდვილად უდიდესი ფიგურა იყო მსოფლიოს ისტორიაში. მას უნდა შევხედოთ არა როგორც ქართველ, არამედ როგორც საბჭოთა მოღვაწეს. ის ეთნიკურად იყო ქართველი, მაგრამ იყო საბჭოთა მოღვაწე»**

**— ბატონო გიორგი, მოსწავლეები და მასწავლებლები ჩივიან, რომ V—VI კლასების ისტორიის სახელმძღვანელოებში საქართველოს კუთხეები ხშირად მოსწავლეთა წლოვანებისთვის შეუსაბამო და გაუმართავი ტექსტებითაა აღწერილი, ამიტომ პედაგოგებს დამატებითი მასალის დამუშავება უწევთ. როგორი უნდა იყოს დაწყებითი კლასების ისტორიის სახელმძღვანელოები და შესაძლებელია თუ არა ისტორიის საფუძვლიანად შესწავლა ამჟამინდელი სასკოლო სახელმძღვანელოებით?**

— ჩემი აზრით, არასწორად ხდება საქართველოს ისტორიის შესწავლა. ბავშვი ვერ აღიქვამს საგანს, როგორც საქართველოს ისტორიას. **VII, VIII, IX კლასების მსოფლიოს ისტორიის სახელმძღვანელოებში ისეა მიმოფანტული და ჩაკერებული საქართველოს საკითხები, რომ მოსწავლე საქართველოს ისტორიას, როგორც დამოუკიდებელ საგანს, ვერ აღიქვამს.**

ისტორიის სახელმძღვანელოში ქრონოლოგიის პრინციპიც უნდა იყოს დაცული. შეიძლება პარალელის გავლება მსგავს მოვლენასთან, მაგრამ ქრონოლოგიის დაცვა აუცილებელია. ყველაფერი მიზეზ-შედეგობრივად არის დაკავშირებული ერთმანეთთან და მოვლენა ნებისმიერ საუკუნეში განყენებულად არ ხდება, ის შედეგია წინარე ხანაში განვითარებული მოვლენებისა. **საბჭოთა კავშირის პერიოდში პედაგოგიურ ინსტიტუტში იყვნენ მეთოდისტები, რომლებიც ადგენდნენ, რა ზომის მასალა უნდა მიეწოდოს ბავშვს, რამდენი თარიღი, პარაგრაფი, გვერდი, გეოგრაფიული პუნქტი და საკუთარი სახელი უნდა ყოფილიყო სახელმძღვანელოში.** ავტორები მეთოდისტებთან ერთად განიხილავდნენ სახელმძღვანელოს. ახლა ეს პრინციპი აღარ არსებობს. **ყველა წლოვანების მოზარდს უნდა მიეწოდოს მისი აღქმის შესაბამისი მასალა, ეს ზოგადი კრიტერიუმი დადგენილია.** აუცილებელია მეთოდისტის პროფესიის აღდგენა და მათი ჩართვა სახელმძღვანელობის შემუშავებაში.

**— ამა თუ იმ მოვლენის თარიღის სიზუსტე სახელმძღვანელოებში საეჭვოა. მაგალითად, სტამბის შექმნის ან თამარ მეფის გარდაცვალების თარიღი სხვადასხვა სახელმძღვანელოში სხვადასხვაა, რაც იწვევს ბავშვების დაბნეულობას...**

— სტამბა, დადგენილია, რომ გაიხსნა 1709 წელს. რა თქმა უნდა, ისტორია ვითარდება, თარიღები ზუსტდება, გარკვეული დროის შემდეგ შეიძლება კორექტირება იქნეს შეტანილი. ასეთი ცვლილებები სახელმძღვანელოში უნდა იყოს მინიმალური. სახელმძღვანელოში უნდა იყოს ის ძირითადი თარიღები, რომლებიც მოცემულია ოფიციალურ გამოცემებსა და ენციკლოპედიაში. თამარის გარდაცვალების თარიღად ასახელებდნენ 1207, 1210, 1213 წლებს. დღეს მიღებულია 1210 წელი. დიდხანს ასახელებდნენ 1213 წელს, მაგრამ ამჟამად მტკიცედ არის დადგენილი, რომ 1213 წელი არ არის რეალური თარიღი და შეიძლება შეიცვალოს. სახელმძღვანელოებში კი ერთი თარიღი უნდა იყოს და ასეთი ცვლილებები იშვიათად უნდა ხდებოდეს.

**— „საქართველოს ისტორია ბავშვებისთვის“ — ამ წიგნში ავტორის, პარლამენტარ ნუგზარ წიკლაურის, პოლიტიკური სიმპათია აშკარად ჩანს. მაგალითად, არის ასეთი პასაჟი: „ახალგაზრდა, ენერგიული ლიდერი მიხეილ სააკაშვილი“... სწორია ასეთი დამოკიდებულების წარმოჩენა სკოლის სახელმძღვანელოში?**

— სახელმძღვანელოები პარტიული ნიშნით არ უნდა იწერებოდეს, მით უმეტეს, რომ მოვლენისა თუ ფაქტის შეფასება ათწლეულების შემდეგ ხდება და ასეც უნდა იყოს. **დავით აღმაშენებლისთვის** მის თანამედროვეებს არ უწოდებიათ აღმაშენებელი. შთამომავლობამ რომ გადახედა, რა გააკეთა, მერე იქნა მისი მოღვაწეობა შეფასებული და უწოდეს მას აღმაშენებელი. **მეფე გიორგისაც** მოგვიანებით ეწოდა ბრწყინვალე. დაუშვებელია ისტორიული ფაქტების ფალსიფიცირება, აგრეთვე, დაუშვებელია პარტიული ნიშნით და პარტიული ხედვით სახელმძღვანელოს დაწერა. ეს ბავშვებს თავიანთ ქვეყნის ისტორიის სწორად გააზრებაში შეუშლის ხელს. ბავშვებმა უნდა ისწავლონ, რა ხდებოდა და როგორ მოვედით დღემდე. დღეს არანაირი ცენზურა არ არსებობს ფალსიფიკატორების წინააღმდეგ, ვინც რას მოისურვებს, იმას წერს, მაგრამ სახელმძღვანელოებისთვის არსებობს ცენზურა, განათლების სამინისტროში გრიფირებით ხდება სახელმძღვანელოების დაშვება მოსწავლეებამდე. **ფაქტებისა და მოვლენების ფალსიფიცირებით, პოლიტიკური კონიუნქტურის გავლენით შედგენილი სახელმძღვანელოები არ უნდა იქნას მოსწავლემდე დაშვებული**, მნიშვნელობა არ აქვს, ფაქტი შეგნებულად გაყალბდება თუ შეუგნებლად.

**— როგორ შეაფასებთ ერეკლე მეორის მოღვაწეობას, მის სამხედრო-პოლიტიკურ გადაწყვეტილებებს, ისტორიულ როლს, მის საგარეოპოლიტიკურ არჩევანს და შედეგებს, რომლებიც გეორგიევსკის ტრაქტატმა მოუტანა საქართველოს, როგორც სახელმწიფოს?**

— ერეკლე II მოღვაწეობას დადებითად ვაფასებ. ნებისმიერი პოლიტიკოსის მოღვაწეობა, როდესაც რაღაც ნაბიჯს დგამს, უნდა შეფასდეს იმის მიხედვით, რა შედეგი მოიტანა ამ ნაბიჯმა და არა იმით, რისი გაკეთება უნდოდა... რა ვითარება იყო ქვეყანაში და რისი გაკეთების შესაძლებლობა ჰქონდა ერეკლე II? გააკეთა თუ არა მან მაქსიმუმი? ერეკლეს გეორგიევსკის ტრაქტატის დადების წინ 2-3 ელჩი ჰყავდა ევროპაში გაგზავნილი, პასუხი არსაიდან იყო, ევროპის სახელმწიფოების დახმარების იმედი არ უნდა გვქონოდა, ეს ზუსტად განსაზღვრა ერეკლემ. მართლმადიდებელი რუსეთი თავისი საზღვრების გაფართოებაზე ზრუნავდა, ისევე, როგორც ყველა იმპერია. ერთმორწმუნე იყო ბიზანტიის იმპერიაც. უდიდესი ტრაგედია იყო ჩვენთვის ბიზანტიის იმპერიის განადგურება და მისი ჩანაცვლება ოსმალეთით, მაგრამ ბიზანტიის იმპერია, როცა შესაძლებლობა ჰქონდა, ტერიტორიას გვართმევდა და ყოველთვის ცდილობდა, საქართველოს საშინაო საქმეებში ჩარეულიყო, თვითონ ემართა საქართველო და ჩვენი მეფე მისი მორჩილი ყოფილიყო. ასეთი პოლიტიკა ყველა იმპერიისთვის არის დამახასიათებელი. **ერთ-ერთი ფაქტორი, რომელმაც ერეკლეს ეს გადაწყვეტილება მიაღებინა, იყო ის, რომ რუსები ისევე, როგორც ჩვენ, მართლმადიდებლები იყვნენ, მაგრამ მთავარი არის ის, რომ ერეკლეს სხვა გზა არ ჰქონდა. 1770 წლის აღწერის შედეგების მიხედვით, ქართლ-კახეთის სამეფოში 42 000 ოჯახი ცხოვრობდა, 300 000 კაცსაც კი არ აღწევდა ქართლ-კახეთის მოსახლეობა. ფიზიკურად ველარ გაუძლებდა ქვეყანა ირანის, ოსმალეთისა და ჩრდილოეთ კავკასიელების შემოტევას.** რუსეთის იმპერიამ ქართული სახელმწიფოებრიობა გააუქმა და ეს იყო ძალიან მძიმე დარტყმა ჩვენთვის, მაგრამ უნდა გავითვალისწინოთ ერთი რამ: შევძლებდით კი ჩვენ სახელმწიფოებრიობის შენარჩუნებას, ირანთან, ოსმალეთთან და ჩრდილოეთ კავკასიასთან დაპირისპირებას, როდესაც მოსახლეობა შემცირებული იყო 42000 ოჯახამდე? გადავრჩებოდით ფიზიკურად? **რუსეთთან მიერთებით დავკარგეთ სახელმწიფოებრიობა და ეს საკამათო არ არის, მაგრამ ამას დადებითი შედეგებიც მოჰყვა...** მე-19 საუკუნის პირველი მესამედი არის განუწყვეტელი აჯანყებები და შეთქმულებები მეფის რუსეთის წინააღმდეგ, ბაგრატიონთა დინასტიის დაბრუნების მცდელობები, მაგრამ, ამასთანავე, **ქართველები მოხალისეებად მიდიოდნენ რუსეთ-ირანისა და რუსეთ-ოსმალეთის ომში.** რატომ? — იმიტომ, რომ **სამცხე-ჯავახეთი იქნა დაბრუნებული, ფოთი და ახალქალაქის კუთხეები თურქების ხელში იყო, ახალციხეს ერქვა ახალციხის საფაშო და აწყურამდე მოდიოდა საზღვარი. აი ეს ტერიტორიები იქნა დაბრუნებული. აჭარა თურქეთის ხელში იყო, 1877—78 წლების რუსეთ-ოსმალეთის ომის შედეგად დაუბრუნდა აჭარა საქართველოს. დღეს ვსაუბრობთ ტაო-კლარჯეთსა და საინგილოზე და ვერანაირ პრეტენზიას ვერ გამოვთქვამთ ამ ტერიტორიების დაბრუნებაზე. რუსეთი რომ არა, ასევე დაიკარგებოდა სამცხე-ჯავახეთი და აჭარაც...** სულ რუსებს რომ ვაბრალებთ ყველაფერს, რუსეთის იმპერიაში ზაქათალის ოკრუგი, ანუ ბელაქანი, ზაქათალა და კახი, რომელსაც საინგილოს ვეძახით დღეს, თბილისის გუბერნიაში შედიოდა, ასევე, ლორე-ტაშირის, რომელიც დღეს სომხეთის შემადგენლობაშია, მართალია, ეს მეფის რუსეთის იყო, სიტყვა „საქართველო“ საერთოდ ამოიღეს ლექსიკიდან და იყო თბილისისა და ქუთაისის გუბერნიები, სოხუმის ოკრუგი, მაგრამ რუსეთი ამ ტერიტორიებს ვერსად წაიღებდა, და ეს ტერიტორიები დაუბრუნდა საქართველოს. ეს არის პატარა ქვეყნის პრობლემა, მას უწევს არჩევანის გაკეთება და ლავირება დიდ იმპერიებს შორის. აი ეს არის ჩვენი ისტორია, მუდამ ვიყავით დიდი იმპერიების ინტერესების სფეროში, ჩვენი მეფეებიც ახერხებდნენ ამ ლავირებას, ეროვნული თვითმყოფადობისა და თვითშეგნების შენარჩუნებას, რა თქმა უნდა, საქართველოს ეკლესიასთან ერთად, რომელსაც უდიდესი წვლილი მიუძღვის ამ მხრივ.

**— დღეს ზოგიერთი ცდილობს თურქეთის წარმოჩენას საქართველოს მეგობრად, ეს ხდება იმ ფონზე, რომ რუსეთი არის ოკუპანტი, თურქეთის დამპყრობლურ პოლიტიკასა და მიტაცებულ ტერიტორიებს კი შეძლებისდაგვარად ჩქმალავენ...**

— ასეთი დამოკიდებულება არ არის სწორი. პოლიტიკური კონიუნქტურიდან გამომდინარე, ისიც კი მომისმენია, სამწუხაროდ, ისტორიკოსებისგან თუ ფილოლოგებისგან, თურქეთს ჩვენთვის არაფერი წაურთმევია, ტერიტორია ბიზანტიამ წაგვართვაო. თურქეთი მეზობელია ჩვენი და უნდა გვქონდეს მეგობრული ურთიერთობა, მაგრამ **დღეს თურქეთში ბეჭდავენ სახელმძღვანელოებს, რომლებშიც აჭარა მოხაზულია, როგორც თურქეთის ტერიტორია, რომელიც 300 წლის განმავლობაში იყო თურქეთის შემადგენლობაში და რუსეთის იმპერიამ წაართვა**, მაგრამ მანამდე რომელი ქვეყნის შემადგენლობაში იყო, არ ამბობენ. მეგობრობა ცალმხრივი არ შეიძლება იყოს, ჩვენ ჩვენი უნდა დავიცვათ. როგორი დაპირისპირებაც უნდა მოხდეს რუსეთსა და თურქეთს შორის, ეს დაპირისპირება აჭარის საკითხს ჩვენს სასარგებლოდ ვერ გადაწყვეტს, თურქეთის პრეტენზიებს ვერ გაანელებს. ძალიან დიდი სიფრთხილეა თურქეთთან ურთიერთობისას საჭირო.

**— დღეს მიმდინარეობს პროპაგანდა, რომ ნაცისტური გერმანია და საბჭოთა კავშირი, ვერმახტის ჯარისკაცი და წითელარმიელ, თანაზომიერი ბოროტებაა. ამასთანავე, ცდილობენ, დააკნინონ ღვაწლი და როლი სტალინისა, რომელმაც კაცობრიობა ფაშიზმისგან იხსნა.**

— ჩემთვის ძნელია სტალინზე დადებით კონტექსტში საუბარი. ბაბუაჩემი დახვრიტეს, მამიდის ქმარი დახვრიტეს და მამიდაჩემი პატარა ბავშვით გადაასახლეს, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ვაცხადებ, რომ სტალინისა და ჰიტლერის შედარება დაუშვებელია. ჰიტლერი ერების ამოწყვეტას აპირებდა, მხოლოდ არიულ რასას უნდა ეცხოვრა... სტალინი ნამდვილად უდიდესი ფიგურა იყო მსოფლიოს ისტორიაში. მას უნდა შევხედოთ არა როგორც ქართველ, არამედ როგორც საბჭოთა მოღვაწეს. ის ეთნიკურად იყო ქართველი, მაგრამ იყო საბჭოთა მოღვაწე. **ნაპოლეონი** წარმოშობით კორსიკიდან იყო, მაგრამ ფრანგი პოლიტიკური მოღვაწე გახლდათ, ასევეა სტალინიც...

ესაუბრა **გვანცა ნამიჭეიშვილი**

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

## სამართალი

**ხალხს ყველაზე მეტად უსამართლობის განცდა აწუხებს. აწუხებს ის, რომ ადამიანები, რომლებიც იჭერდნენ, კლავდნენ, აუპატიურებდნენ დღეს ისევ თანამდებობებზე არიან, ხოლო ადამიანები, რომლებიც მათ ამის უფლებას აძლევდნენ, ან პარლამენტში სხედან, ან ხალხისთვის წართმეულ ბიზნესს განაგებენ და ერთადერთი, რაც დისკომფორტს უქმნით, არის ის, რომ მკვლელობის უფლება დაკანონებული აღარ აქვთ.**

# სად არის ქალი, რომლის მინისტრობის პერიოდში ყველაზე მეტი პატიმარი მოკვდა ქართულ ციხეებში?!

**პოლიტიკის ექსპერტებისგან ხშირად მოისმენთ ფრაზას, რომ პოლიტიკა ტყუილის ხელოვნებაა და იმარჯვებს ის, ვინც ყველაზე დამაჯერებლად ტყუის. და, რაც მთავარია, ამომრჩეველთა უდიდეს ნაწილს ამ ცრუ დაპირებების ახდენა უნდა სურდეს.**

2012 წლის საპარლამენტო არჩევნების წინ „ქართული ოცნების“ მთავარი დაპირება სამართლიანობის აღდგენა იყო. ცხრა წლის განმავლობაში ტერორში მცხოვრები მოქალაქეები ამ დაპირებას აჰყვნენ, აჰყვნენ იმის მიუხედავად, რომ „ქართული ოცნების“ ლიდერები სხვა დაპირებებსაც გასცემდნენ — უპროცენტო კრედიტი, გადასახადების შემცირება, სოფლის მეურნეობის უპრეცედენტო განვითარება, უფასო ჯანდაცვა... მაგრამ მთავარი მაინც სამართლიანობის აღდგენა იყო. მოსახლეობას სურდა, ის ადამიანები, რომლებიც კლავდნენ, აუპატიურებდნენ, იჭერდნენ, აკეთებდნენ ყველაფერს, რაც მოესურვებოდათ, კანონის ძალით დასჯილიყვნენ. რეალურად, 2012 წელს „ქართული ოცნების“ გამარჯვება იყო ქართველი ხალხის კანონიერი აჯანყება რეჟიმის წინააღმდეგ...

მეხუთე წელი დაიწყო, რაც ხელისუფლებაში „ქართული ოცნება“ მოვიდა და სამართლიანობის აღდგენის კუთხით პრაქტიკულად არაფერი გაკეთებულა. არაფერს ვამბობთ იმაზე, რომ უპროცენტო კრედიტი, გადასახადების შემცირება, სოფლის მეურნეობის უპრეცედენტო განვითარება, უფასო ჯანდაცვა და სხვა მრავალი დაპირება არ შესრულდა, **ხალხს ყველაზე მეტად უსამართლობის განცდა აწუხებს. აწუხებს ის, რომ ადამიანები, რომლებიც იჭერდნენ, კლავდნენ, აუპატიურებდნენ, დღეს ისევ თანამდებობებზე არიან, ხოლო ადამიანები, რომლებიც მათ ამის უფლებას აძლევდნენ, ან პარლამენტში სხედან, ან ხალხისთვის წართმეულ ბიზნესს განაგებენ და ერთადერთი, რაც დისკომფორტს უქმნით, არის ის, რომ მკვლელობის უფლება დაკანონებული აღარ აქვთ.**

ბოლო მაგალითი ავიღოთ — ბათუმში განვითარებული მოვლენების შემდეგ, სამართალდამცავებმა 70-ზე მეტი მოქალაქე დააკავეს და ბრალად პოლიციელებისთვის წინააღმდეგობის გაწევა და ქალაქის დარბევა წაუყენეს. ხელისუფლება ხელს „ნაციონალური მოძრაობისკენ“ იშვერს და ამბობს, რომ ეს პროვოკაცია სწორედ ნაციონალებმა დაგეგმეს, თუმცა... 70 დაკავებულიდან ერთსაც არ უთქვამს, დავალება ნაციონალებისგან მოდიოდაო. აქ ორი ვარიანტია — ან ნაციონალები არაფერ შუაში არიან, ან უარესი — არის დაჯგუფება, რომელიც იდეისა თუ პრინციპების გამო, ხელს არავისკენ იშვერს და ელოდება, როდის მიეცემა შანსი, საქართველოში უკრაინული მაიდანი მოეწყოს. არის კიდევ მესამე მოსაზრება, რომელზეც ხალხი საუბრობს: ხელისუფლებას არ შესწევს უნარი, რომელიმე საქმე გამოიძიოს, ბოლომდე მიიყვანოს და დამნაშავეებს შესაბამისი სასჯელი შეუფარდოსო. ხელისუფლების წარმომადგენელთა ეს ერთგვარი შიში მაშინაც გამოჩნდა, როცა ისინი ქვეყნის სათავეში მოვიდნენ — თითქოს არ ელოდნენ, თითქოს შემთხვევით ჩაუვარდათ გამარჯვება ხელში, თითქოს... თითქოს...

სწორედ ამ შიშისა და უნიათობის ბრალი უნდა იყოს ის, რომ სამეგრელოს ერთ-ერთი მაოხრებელი გზირი, სანდრო გირგვლიანის მკვლელობის დამგეგმავი, ორგანიზატორი და მონაწილე **დათა ახალაია** ისევ თავისუფალია და, იმის მიუხედავად, რომ საბერძნეთის ხელისუფლებამ ქართული მხარის მოთხოვნით ახალაია დააკავა, ჩვენმა პროკურატურამ შესაბამისი მტკიცებულებები ვერ ან არ დადო. „ვერ“ იმიტომ, რომ უნიათოა და „არ“ იმიტომ, რომ ძალოვან სტრუქტურებში ისევ **ახალაიების, მერაბიშვილის, უგულავას, კეზერაშვილისა** და ნაციონალების სხვა ლიდერების მიერ დანიშნული ერთგული ხალხი მუშაობს. დიახ, ის ხალხი, რომელიც ნაციონალების ერთგულია, რომელიც ყველა იმ უმსგავსობაში მონაწილეობდა, რომელიც მონურ მორჩილებას მიაჩვიეს და ახლაც მონურ მორჩილებაშია. სწორედ ამიტომ ამბობენ ხოლმე „ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენლები ირონიულად, **თუ ფაქტები გვაქვთ, შექმენით კომისია, გამოიძიეთ, თუ რამე დავაშავეთ, დაგვიჭირეთ, თუ არა და გაჩუმდით.** სწორედ ეს უთხრა დებატებისას **თინათინ ბოკუჩავამ ზაზა გაბუნიასაც** და... სამწუხაროდ, ეს ის მწარე სიმართლეა, რომელსაც ნაციონალები „ქართულ ოცნებას“ ყოველთვის გააწნავენ სახეში და, სანამ სამართლიანობა არ აღსდგება, მანამ ამის ატანა მოუწევთ. სხვათა შორის, ვერ გეტყვით, რომ ამით საპარლამენტო უმრავლესობა ან ხელისუფლება ძალიან შეწუხებულია. ისინი მშვიდად მიჰყვებიან დინებას, მშვიდად იღებენ სოლიდურ ხელფასებს და ასევე მშვიდად იმართლებენ ხოლმე თავს, როცა რამე სისულელეს გააკეთებენ, შემდეგ




**ბაჩანა ახალაია სასჯელს იხდის და მალე გამოვა, დათა ახალაია ევროპაში ცხოვრობს, ქარდავები გაქცეულები არიან, გოროზია ბიზნესს ეწევა, გუნავა ისევ პოლიტიკოსია და ამ ყველაფრის მხედართმთავარი როლანდ ახალაია ზუგდიდში დაცვით დადის, იმიტომ კი არა, რომ უნიათო ხელისუფლებისგან ემუქრება რამე, არამედ იმიტომ, რომ ეშინია, მის (ან მისი შვილების) მიერ გამწარებულმა რომელიმე ადამიანმა თავი არ გაუტეხოს ან ისე არ მოექცეს, როგორც ბატონი როლანდი ექცეოდა ყმაწვილკაცობაში უწყინარ თხებს**

კი ამბობენ, წინა ხელისუფლება ცხრა წელი რომ გტანჯავდათ, კარგი იყოო?

სისულელეები კი იცოცხლეთ, იმდენი ვნახეთ, ძალიან რომ მოინდომო, ვერ გააკეთებ. **ვნახეთ ეროვნული ბანკისთვის წართმეული და შემდეგ ისევ დაბრუნებული ზედამხედველობის უფლება, ვნახეთ საყოველთაო ჯანდაცვა, რომელიც უკვე აღარ არის საყოველთაო, ვნახეთ თოვლში დაკარგული ტრაქტორი (უფრო სწორად, ეგ ვერ ვნახეთ, გავიგეთ და იმედია, ამ გაზაფხულზე, რომ დათბება და თოვლი დადნება, ვნახავთ), ვნახეთ მუნიციპალიტეტების დონეზე სამსახურიდან გაშვებული რიგითი ადამიანები, რომლებიც თურმე იმიტომ გაუშვეს, რომ წინა ხელისუფლების პერიოდში მუშაობდნენ და... მუშაობა დანაშაულად ჩაეთვალათ. ვნახეთ ცაგერის მუნიციპალიტეტში შექმნილი 36 ა(ა)იპ-ი, სადაც იმაზე რვაჯერ (!) მეტი ადამიანი დასაქმდა, ვიდრე უშუალოდ ცაგერის მუნიციპალიტეტში და საკრებულოში ერთად...**

სხვათა შორის, მარნეულში არჩევნების მიმდინარეობისას, **როცა ნაციონალების კანდიდატმა აკმამედ იმამყულიევმა ანტისახელმწიფოებრივი მოწოდება გააკეთა, როცა მისი გამოსვლის შემდეგ შეკრებილმა მოსახლეობამ „ბორჩალო, ბორჩალო“ იძახა, ხელისუფლება დაიმუქრა, არჩევნების შემდეგ ამ ჩანაწერს ამოვიღებთ, იმამყულიევს ბრალს წავუყენებთო, მაგრამ არც ჩანაწერი ამოუღიათ, არც ბრალი წაუყენებიათ და იმამყულიევიც ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში უმრავლესობის მოპოვებას აპირებს და გვერწმუნეთ, დაუსჯელობის სინდრომით გათამამებული მისი მხარდამჭერები ამის გაკეთებას მოახერხებენ. და ასე იქცევა მარნეული ერთ მუნიციპალიტეტად, რომელიც ხელისუფლების კონტროლიდან გავა...**

სამეგრელოში ახალაიების, ქარდავების, გოროზიებისა და გუნავების კლანი წლების განმავლობაში ატერორებდა ადგილობრივ მოსახლეობას. პროცენტულად ქართულ ციხეებში ყველაზე მეტი პატიმარი სწორედ სამეგრელოს რეგიონიდან გახლდათ და, როცა სამეგრელომ 2012 წელს საკუთარი სიცოცხლის (ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით) ფასად წინა ხელისუფლებას განაჩენი გამოუტანა, იმის სჯეროდა, რომ ეს რისკი დაუფასდებოდა და დაუფასდებოდა არა სამსახურებით ან მატერიალური სიკეთით, არამედ სამართლიანობის აღდგენით, მაგრამ ნურას უკაცრავად — **ბაჩანა ახალაია სასჯელს იხდის და მალე გამოვა, დათა ახალაია ევროპაში ცხოვრობს, ქარდავები გაქცეულები არიან, გოროზია ბიზნესს ეწევა, გუნავა ისევ პოლიტიკოსია და ამ ყველაფრის მხედართმთავარი როლანდ ახალაია ზუგდიდში დაცვით დადის, იმიტომ კი არა, რომ უნიათო ხელისუფლებისგან ემუქრება რამე, არამედ იმიტომ, რომ ეშინია, მის (ან მისი შვილების) მიერ გამწარებულმა რომელიმე ადამიანმა თავი არ გაუტეხოს ან ისე არ მოექცეს, როგორც ბატონი როლანდი ექცეოდა ყმაწვილკაცობაში უწყინარ თხებს.**

ციხეები ვახსენეთ და **ვინმემ იცის, სად არის ხათუნა კალმახელიძე** — **ქალი, რომელიც სასჯელაღსრულების მინისტრი იყო და მისი მინისტრობის პერიოდში ყველაზე მეტი პატიმარი მოკვდა ქართულ ციხეებში?** არ იცის ხელისუფლებამ, ხათუნა კალმახელიძეს რესტორნის წინ მდგარი მანქანა „ბე-ემ-ვე X6“ რომ მოეწონა და პატრონს სთხოვა, მაჩუქეო და უარის შემდეგ ის პიროვნება საბურთალოზე დააკავეს, მანქანაში სუბოტექსი ჩაუდეს და ავტომობილი, როგორც „პადელნიკი“, საქმეში ისე გაიყვანეს, შემდეგ კი დაკავებულს 4 წელი მიუსაჯეს, ჩამორთმეული ავტომანქანა კი საზეიმო ვითარებაში სასჯელაღსრულების სამინისტროს საჩუქრად გადასცეს? ეს დაზარალებული ციხიდან რომ გამოვიდა, თავისი ავტომობილი მოიკითხა, მაგრამ აუხსნეს, ის უკვე სამინისტროს კუთვნილებაა და მერე რა, რომ ამ ავტოთი ხათუნა კალმახელიძე დადიოდა, მერე რა, რომ დაზარალებულს ავტომობილის ჩამორთმევაზე ხელი ღამის სამ საათზე მოაწერინეს ნუცუბიძის ქუჩაზე მდებარე სანოტარო ბიუროში, არადა, ის ლოგიკურად გლდანის ციხის ჯურღმულებში უნდა მჯდარიყო.

ასეთი ადამიანი ძალიან ბევრია, ძალიან ბევრია ისეთიც, წინა ხელისუფლებამ თავისი კაპრიზების გამო ცხოვრება რომ დაუნგრია და... ერთ დღეს ხალხმა სამართლიანობის აღდგენა თვითონ თუ გადაწყვიტა, გვერწმუნეთ, წინა ხელისუფლებას მოქმედიც გაჰყვება. ამიტომ შეეცადეთ, ბატონებო, დაპირებების შესრულებას, თორემ...

კომბლე და კომბალი თქვენს მინისტრს სძულს, ხალხს — არა!

**ერთ დღეს ხალხმა სამართლიანობის აღდგენა თვითონ თუ გადაწყვიტა, გვერწმუნეთ, წინა ხელისუფლებას მოქმედიც გაჰყვება. ამიტომ შეეცადეთ, ბატონებო, დაპირებების შესრულებას, თორემ...**

**ბესო ბარბაქაძე**

**დღეს სომხეთი არ წარმოადგენს აშშ-ისა და ევროკავშირის საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტს და ნაკლებად სავარაუდოა, ამჯერად „ფერადი გადატრიალების“ ინიციატორებად მოგვევლინონ. ამ ეტაპზე რუსეთის პოზიციები ერევანში გაცილებით მყარია და ავანტიურისტული მოქმედება სომხეთში დასავლეთისთვის შეიძლება მძიმე მარცხით დასრულდეს, ამიტომ დასავლურ დედაქალაქებში, ალბათ, ამჯობინებენ, ინიციატივა ადგილობრივ ძალებს დაუთმონ და პოსტსაარჩევნო პროტესტს, სავარაუდოდ, მხოლოდ მისი დაწყებისა და პერსპექტივების შეფასების შემდეგ დაუჭირენ მხარს.**

მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# სომხური არჩევნების ქართული ანარეკლი

**2 აპრილს სომხეთში საპარლამენტო არჩევნები გაიმართება. პრეზიდენტი სარქისიანი, მეორე ვადის დასრულებიდან გამომდინარე, ცდილობს, პრემიერმინისტრის სავარძელში გადაჯდეს და, მიხეილ სააკაშვილისგან განსხვავებით, ეს ნამდვილად შეიძლება გამოუვიდეს. თუმცა მეზობელი ქვეყნის ხელისუფლება მოულოდნელობებისგან 100%-ით დაზღვეული ნამდვილად არაა.**



საკონსტიტუციო ცვლილებებზე მმართველი გუნდი ჯერ კიდევ 2013 წელს ალაპარაკდა, მას შემდეგ, რაც სარქისიანმა საპრეზიდენტო არჩევნები მეორედ მოიგო. 2015 წლის დეკემბერში მან საკანონმდებლო ცვლილებების პაკეტი რეფერენდუმზე გაიტანა და მას მხარი ამომრჩეველთა 63%-მა დაუჭირა. ახალი ნორმების თანახმად, მთელი ძალაუფლება საპარლამენტო უმრავლესობისა და მის მიერ არჩეული პრემიერმინისტრის ხელში გადადის, ხოლო პრეზიდენტი ცერემონიალური ფიგურა ხდება. მას პარლამენტი უპარტიო კანდიდატებიდან შვიდი წლით (მხოლოდ ერთი ვადით) აირჩევს.

კონსტიტუციისა და საარჩევნო კოდექსის რედაქტირების პროცესში მმართველი რესპუბლიკური პარტია მაქსიმალურად ცდილობდა, კანონები საკუთარ ინტერესებზე მოერგო და საკმაოდ ჩახლართული სისტემა შექმნა. ახალ პარლამენტს მხოლოდ პროპორციული სისტემით აირჩევენ, საარჩევნო სუბიექტებმა 13 საარჩევო ოლქში ადგილობრივი, 15-კაციანი სიები უნდა წარმოადგინონ (პლუს საერთო-ეროვნული სია). პარლამენტში შესული კონტინგენტის ნახევარს რეგიონული სიებით არჩეულები შეადგენენ, მეორე ნახევარს კი — ეროვნული სიით არჩეულები. ეს ნიუანსი საინტერესოა, რადგან გადასვლას პროპორციულ არჩევნებზე რეგიონული (ან რეგიონული+ეროვნული) სიებით საქართველოს საკონსტიტუციო კომისიაც განიხილავს.

თუ რომელიმე პარტია ხმათა 50%-ზე მეტს და 54%-ზე ნაკლებს მიიღებს, ცესკო იმდენ მანდატს მიაკუთვნებს, რომელსაც ხმათა 54% შესაბამება. ამ „დამატებითი“ მანდატების გაცემა სხვა პარტიების ხარჯზე კი არ მოხდება, არამედ ახალი სადეპუტატო ადგილების შექმნის ხარჯზე. ამგვარად, დღეს შეუძლებელია იმის გამოთვლა, რამდენი დეპუტატი იქნება ახალ პარლამენტში. თუ 50%-ს ვერც ერთი პარტია ვერ დააგროვებს, უნდა შეიქმნას მმართველი კოალიცია, რომლის შემადგენლობაში შეიძლება შევიდეს სამი (მაგრამ არა მეტი) პოლიტიკური გაერთიანება. თუ მისი ფორმირება ვერ მოხერხდება, არჩევნებიდან სამ კვირაში გაიმართება მეორე ტური, მონაწილეობას მასში ორი საუკეთესო მაჩვენებლის მქონე პარტია მიიღებს. გამარჯვებულს, თუ ის 50%-ზე მეტ და 54%-ზე ნაკლებ ხმას მიიღებს, მანდატების რაოდენობას გაუზრდიან ზუსტად ისე, როგორც ამას პირველი ტურის გამართვის წესები ითვალისწინებს.

საინტერესოა სხვა ნიუანსებიც — ახალი საარჩევნო კოდექსის თანახმად, ოთხი მანდატი ეროვნული უმცირესობების, კერძოდ კი, რუსების, იეზიდების, ქურთებისა და ასირიელების წარმომადგენლებს უნდა გადაეცეთ. ქალების კვოტა საარჩევნო სიებში 20-25%-ზე დაბალი არ უნდა იყოს, სიის ყოველი ოთხი ნომრიდან მინიმუმ ერთი მათ უნდა ეკუთვნოდეს. თუ ერთ-ერთი დეპუტატი პარლამენტს დატოვებს, მისი ადგილმონაცვლე არა უბრალოდ სიის მომდევრო ნომერი ხდება, არამედ მომდევნო ქალი სიაში. ამასთანავე, იკრძალება ისეთი ფრაქციების შექმნა, რომლებიც მხოლოდ ერთი სქესის წარმომადგენლებს გააერთიანებს. თუმცა ამ ეგზოტიკურ ნორმებზე გაცილებით დიდი ყურადღება ახალი საარჩევნო კოდექსით გათვალისწინებულმა შეზღუდვამ მიიპყრო — **საარჩევნო უბანზე ერთდროულად შეიძლება იმყოფებოდეს მხოლოდ 15 ადგილობრივი დამკვირვებელი და მასმედიის წარმომადგენელი. ადრე საარჩევნო კოდექსი დაკვირვების უფლებას უცხოურ დიპლომატიურ წარმომადგენლობებს ანიჭებდა, თუმცა ახალი კოდექსიდან ეს ნორმა ამოღებულია.** ამასთანავე, დამკვირვებლების და ნდობით აღჭურვილი პირების გაძევება საარჩევნო უბნებიდან ადრე მხოლოდ მათი დაკავება-დაპატიმრების შემდეგ შეიძლებოდა, **ახლა კი კომისიის თავმჯდომარე თვითონ წყვეტს, ვინ და როდის გააძევოს უბნიდან.**

ბოლოდროინდელი საკანონმდებლო ცვლილებები ცალსახად მიუთითებს იმაზე, რომ სერჟ სარქისიანი და მისი გარემოცვა აკეთებენ ყველაფერს, რათა ხელისუფლებაში დარჩნენ. ოპოზიციური ძალები დაქსაქსულები არიან და ამ მხრივ პარალელების გავლება 2012 წლის საქართველოსთან შეუძლებელია — მძლავრი ოპოზიციური ფრონტი არ არსებობს და „შუა გაკრეფილი არაა“. ოპოზიციის ერთ-ერთი ლიდერის გაგიკ ცარუკიანის შედარება ბიძინა ივანიშვილთან, რომელიც ზოგიერთ სომხურ გაზეთში გაჩნდა, უადგილოა, რადგან ცარუკიანი მდიდარი ადამიანი კია, მაგრამ ამჯერად სარქისიანისთვის და მმართველი რესპუბლიკური პარტიისთვის „კონსტრუქციული“, მარტივად რომ ვთქვათ, „ჯიბის ოპოზიციის“ როლს ასრულებს და ხელს ოპოზიციური ელექტორატის დაქსაქსვას უწყობს. ეს დაახლობით იგივე ვარიანტია, 2012-ში ვინმეს რომ ეთქვა, — კობა ნაყოფია სააკაშვილს დაუპირისპირდა და შეურიგებელი ოპოზიციონერი გახდაო.

**სომხეთის, ისევე როგორც საქართველოს, პოლიტიკა, არა იდეების, არამედ ინტერესების კონკურენციას ეფუძნება. ამგვარად, საუბარი იმაზე, რომ ვილაც ერევანში ცალსახად ლიბერალურ და პროდასავლურ ან კონსერვატიულ და პრორუსულ პოზიციაზე დგას მეტისმეტად ზედაპირულია. ოპოზიციის ლიდერების აბსოლუტურ უმრავლესობას ყოფილი მაღალჩინოსნები შეადგენენ, რომლებიც თავიანთ კლანებთან ერთად გავლენის სფეროს გაფართოებისთვის იბრძვიან.**

> **სომხეთის, ისევე როგორც საქართველოს, პოლიტიკა, არა იდეების, არამედ ინტერესების კონკურენციას ეფუძნება. ამგვარად, საუბარი იმაზე, რომ ვილაც ერევანში ცალსახად ლიბერალურ და პროდასავლურ ან კონსერვატიულ და პრორუსულ პოზიციაზე დგას, მეტისმეტად ზედაპირულია. ოპოზიციის ლიდერების აბსოლუტურ უმრავლესობას ყოფილი მაღალჩინოსნები შეადგენენ, რომლებიც თავიანთ კლანებთან ერთად გავლენის სფეროს გაფართოებისთვის იბრძვიან**

გარკვეულ პირობებში, მათ შეიძლება მიიღონ მონაწილეობა დასავლეთის მიერ მხარდაჭერილ „ფერად რევოლუციაში“, თუმცა ეს მათ პროდასავლელ ლიბერალებად არ აქცევს, ისევე, როგორც უკრაინელ ოლიგარქებს ან ულტრანაციონალებს, რომლებიც „ევრომაიდანში“ მონაწილეობდნენ.

„ფერადი“ ტექნოლოგიების გამოყენების მცდელობას სომხეთში რამდენჯერმე ჰქონდა ადგილი, თუმცა ხელისუფლებამ, მათ შორის ძალის გამოყენებით, ეს აღკვეთა. მიუხედავად ამისა, სერჟ სარქისიანს დამშვიდების შესაძლებლობა არ აქვს. 2015 წლის „ენერგომაიდანმა“, აგრეთვე, საპრეზიდენტო არჩევნების შედეგებმა (სარქისიანმა, მართალია, პირველსავე ტურში მოიგო, მაგრამ მისმა მთავარმა კონკურენტმა რაფი ოვანესიანმა ხმათა 36,75% დააგროვა) ნათლად აჩვენა, რომ მოქალაქეების, მათ შორის ერევნელი **ახალგაზრდების მნიშვნელოვანი ნაწილი დაიღალა რესპუბლიკური პარტიისა და სერჟ სარქისიანის მმართველობისგან. ის ფაქტი, რომ მას მხარს მოსახლეობის უმრავლესობა უჭირს, „ფერადი ტექნოლოგიების“ კონტექსტში განსაკუთრებულს არაფერს ნიშნავს, რადგან გამოცდილება ცხადყოფს, რომ უკმაყოფილოთა თუნდაც 20-25%-ის არსებობა ქვეყნის სერიოზული დესტაბილიზაციის და, გარკვეულ პირობებში, ხელისუფლების შეცვლისთვისაც კი სავსებით საკმარისია.**

**სერჟ სარქისიანი აცნობიებს, რომ მოსახლეობის ნაწილს ძალიან არ მოსწონს, ამიტომ მმართველი პარტიის მთავარი „სახე“ არჩევნების წინ ახალი პრემიერმინისტრი კარენ კარაპეტიანი გახდა** (ისევე, როგორც გიორგი კვირიკაშვილი — საქართველოში, 2016 წლის საპარლამენტო არჩევნების წინ) — ქარიზმატული, დალაგებული პიროვნება, რომლის წარსული თავისუფალია კორუფციული სკანდალებისგან და პოლიტიკური გარჩევებისგან. ის პრემიერმინისტრად გასული წლის სექტემბერში დაინიშნა, ხოლო მმართველი პარტიის რიგებში ნოემბერში შევიდა. კარაპეტიანი წლების განმავლობაში „გაზპრომის“ სტრუქტურებში მაღალ თანამდებობებზე მუშაობდა, თუმცა ეს სომხეთისთვის კომპრომატი არ არის (უფრო — პირიქით).

სომხური სოციოლოგიური ჯგუფების მონაცემები მაღალი სანდოობით არ გამოირჩევა, მაგრამ მათი შეჯერებიდან ჩანს, რომ ყველაზე მეტ ხმას, სავარაუდოდ, მმართველი რესპუბლიკური პარტია და ზემოთ ნახსენები ოლიგარქისა და ქველმოქმედის — გაგიკ ცარუკიანის ბლოკი მიიღებენ. საკმაოდ მაღალი ბარიერის (7% ბლოკებისთვის, 5% პარტიებისთვის) გადალახვის შანსი აქვს პოლიტიკურ გაერთიანება „ელკს“ („გამოსავალი“), რომელსაც შედარებით ახალგაზრდა ლიდერები ხელმძღვანელობენ — მას ხშირად პროდასავლურ ძალას უწოდებენ. შემდეგ არაოფიციალურ რეიტინგში მოდიან „დაშნაკცუტიუნი“ და „სომხური აღორძინება“. კიდევ ერთ მკვეთრად პროდასავლურ ძალას „თავისუფალ დემოკრატებს“, ისევე, როგორც სომხეთის კომუნისტურ პარტიას და „ეროვნულ კონგრესს“ ბარიერის გადალახვა შეიძლება გაუჭირდეს. ყველაზე ძნელია კიდევ ერთი პოლიტიკური გაერთიანების შედეგის პროგნოზირება, რომელშიც ყოფილი მინისტრები: სეირან ოგანიანი, რაფი ოვანესიანი და ვარდან ოსკანიანი გაერთიანდნენ (მათ ზურგს უკან ზოგიერთი კომენტატორი ყოფილი პრეზიდენტის — რობერტ ქოჩარიანისა და მისი კლანის ინტერესებს ხედავს). მათი ელექტორალური რესურსი არც ისე დიდია, სამაგიეროდ აქვთ გავლენა და ძველი კავშირები სახელისუფლო სტრუქტურებში, ამიტომ იმ პოლიტიკური ძალებისთვის, რომელნიც გადაწყვეტენ (და გაბედავენ) ერევნული „ევრომაიდნის“ აგორებას, ყოფილი მინისტრები შეიძლება მნიშვნელოვან მოკავშირეებად იქცნენ.

დღეს სომხეთი არ წარმოადგენს აშშ-ისა და ევროკავშირის საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტს და ნაკლებად სავარაუდოა, ამჯერად „ფერადი გადატრიალების“ ინიციატორებად მოგვევლინონ. ამ ეტაპზე რუსეთის პოზიციები ერევანში გაცილებით მყარია და ავანტიურისტული მოქმედება სომხეთში დასავლეთისთვის შეიძლება მძიმე მარცხით დასრულდეს, ამიტომ დასავლურ დედაქალაქებში, ალბათ, ამჯობინებენ, ინიციატივა ადგილობრივ ძალებს დაუთმონ და პოსტსაარჩევნო პროტესტს, სავარაუდოდ, მხოლოდ მისი დაწყებისა და პერსპექტივების შეფასების შემდეგ დაუჭირენ მხარს. მხოლოდ მათ შეუძლიათ ერთ მუშტად შეკრან დაქსაქსული, ხშირ შემთხვევაში ერთმანეთთან დაპირისპირებული ოპოზიციური ჯგუფები, როგორც ეს 2012—2014 წლების მიჯნაზე უკრაინაში გააკეთეს; დამოუკიდებლად სომეხი პარტნიორები ამას, სავარაუდოდ, ვერ მოახერხებენ. ასე რომ, საპარლამენტო არჩევნების კვალობაზე მეზობელი ქვეყნის დესტაბილიზაციის საფრთხე შედარებით მცირეა, თუმცა ბოლოდროიდელმა მოვლენებმა რეგიონსა და მსოფლიოში ნათლად აჩვენა, რომ 100%-იანი სტაბილურობის გარანტია, უბრალოდ, არ არსებობს და, აქედან გამომდინარე, ალბათ, აუცილებელია, მეზობლებს საპარლამენტო არჩევნების მშვიდობიანი გადაგორება ვუსურვოთ.

> **საპარლამენტო არჩევნების კვალობაზე მეზობელი ქვეყნის დესტაბილიზაციის საფრთხე შედარებით მცირეა, თუმცა ბოლოდროიდელმა მოვლენებმა რეგიონსა და მსოფლიოში ნათლად აჩვენა, რომ 100%-იანი სტაბილურობის გარანტია, უბრალოდ, არ არსებობს**

**ლუკა ნემსაძე**

ბაკურ სვანიძის
საავტორო გვერდი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**დეკადანსის პერიოდში, მიუხედავად იმისა, რომ არანაკლები რაოდენობის ნიჭიერი იბადება, საზოგადოება, სახელმწიფო მანქანა, სახელისუფლო სისტემა ისე მახინჯად არის აწყობილი, რომ ნიჭიერი ადამიანები სრულიად უყურადღებოდ რჩებიან, ხოლო უნიჭოები, სწორხაზოვნად მოაზროვნე არაფრით გამორჩეული და ხშირად სულელი ადამიანები ამა თუ იმ სფეროში პროფესიონალებად ცხადდებიან.**

# «გაკვესტებული» ქართული მედია და «გაქუცნული» ქართული პოლიტიკა

**ნორმალურ ვითარებაში ამ და ასეთი თემისთვის განსაკუთრებული საგაზეთო სტატიის მიძღვნა ნამდვილად არ იქნებოდა მიზანშეწონილი, მაგრამ, ქვეყანაში ნორმალური ვითარება რომ იყოს, ამ თემის გარშემო არც ის ამბავი ატყდებოდა, რომელიც „ჟურნალისტ" ეკა კვესიტაძისა და „პოლიტიკოს" ზაქარია ქუცნაშვილის საეთერო დაპირისპირების გამო ატყდა. და ნორმალურ ვითარებაში არც ეკა კვესიტაძე იქნებოდა საყოველთაოდ ცნობილი და სახელგანთქმული ჟურნალისტი და არც ზაქარია ქუცნაშვილი — სახელმწიფოს მმართველი პარტიის ერთ-ერთი აქტიური ლიდერი და წონიანი ფიგურა.**



მოკლედ, შევთანხმდით, რომ სახელმწიფოში ნორმალური ვითარება არ გვაქვს, ამიტომაც ნებას ვითხოვ მკითხველისგან, ისეთ თემას შევეხოთ, რომელიც ყველაზე ნათლად ასახავს, რა დღეში ვართ და როგორ დაბლა აქვს საზოგადოებას დაწეული ის თამასა, რომლითაც აფასებს, ანუ „ნიშანს უწერს" ნებისმიერ სფეროში მოღვაწე პერსონებს, იქნება ეს სახელმწიფოს მართვა, მასმედიის საშუალებები, ხელოვნების სფერო თუ კიდევ სხვა რამ.

თავიდანვე ვახსენე და კიდევ გავიმეორებ: ამ სტატიის დაწერა უფრო მას შემდეგ გადავწყვიტე, როცა ვიხილე სოციალურ ქსელში ატეხილი ყიჟინა და დაფდაფების ცემა იმის გამო, რომ „ქართული ოცნების" წევრმა **ზაქარია ქუცნაშვილმა** „რუსთავი 2"-ის ჟურნალისტი **ეკა კვესიტაძე** პირდაპირ ეთერში ბეჭებზე გააკრა, შეარცხვინა, გააფარჩაკა და ა. შ. ამ ამბავმა, უბრალოდ, მოთმინების ფიალის ბოლო წვეთის როლი შეასრულა ჩემთვის, თორემ თემაზე „ბულბულები დაიხოცნენ, ვირებს დარჩათ ასპარეზი" ისედაც მქონდა განზრახული საგაზეთო წერილის მომზადება.

თუმცა ჩვენი ქვეყნის მთავარი უბედურება არის ის, რომ „ბულბულები" სულაც არ დახოცილან, პირიქით — ბევრიც არიან, მაგრამ ქვეყანაში ასპარეზი მაინც „ვირებს" აქვთ დათმობილი და ყროყინებენ და ყორყინებენ გამაყრუებლად.

„ბულბულები" კი, უყურადღებოდ მიყრილნი, ან უცხოეთში გაქცევით ცდილობენ თავის შველას, ან კიდევ რაიმე უბრალო სამუშაოს შესრულებითა და თავის რჩენით არიან დაკავებული.

ასეთ მოვლენას, მოგეხსენებათ, დეკადანსი ეწოდება. წამიკითხავს თვალსაზრისი, რომ „რენესანსის" (აღორძინების) ეპოქაში უამრავი გენიოსი იბადება, ხოლო დეკადანსის (დალმასვლის) ეპოქაში ისინი აღარ იბადებიან. ზოგიერთი ცდილობს, გამოიკვლიოს ეს საკითხი, ახსნას გარკვეული „გენეტიკური შესვენებით" თუ რაღაც მსგავსით.

სინამდვილეში კი, ჩემი აზრით, **რენესანსსაც და დეკადანსსაც ნებისმერ ქვეყანაში და ყოველთვის არა გენიოსების დაბადება-არდაბადება არამედ სახელმწიფოში შექმნილი ვითარება, მმართველობის სტილი, საზოგადოების მიერ ნიჭიერი ადამიანების სწორად დანახვისა და გამოყენებისთვის მზადყოფნა განაპირობებს.** გენიოსები თუ, უბრალოდ, ნიჭიერი ადამიანები ყველა დროსა და ეპოქაში, ზუსტად თანაბრად თუ არა, დაახლოებით ერთი რაოდენობით იბადებიან. უბრალოდ, კონკრეტულ მოცემულობაში საზოგადოება აღმოაჩენს ხოლმე მათ, მისცემს გზას, ანუ ქვეყანა, სახელმწიფო ბოლომდე პოულობს და იყენებს თავის გამორჩეულ შვილებს — აი ეს ქმნის რენესანსს, ანუ აღორძინებას; ხოლო **დეკადანსის პერიოდში, მიუხედავად იმისა, რომ არანაკლები რაოდენობის ნიჭიერი იბადება, საზოგადოება, სახელმწიფო მანქანა, სახელისუფლო სისტემა ისე მახინჯად არის აწყობილი, რომ ნიჭიერი ადამიანები სრულიად უყურადღებოდ რჩებიან, ხოლო უნიჭოები, სწორხაზოვნად მოაზროვნე არაფრით გამორჩეული და ხშირად სულელი ადამიანები ამა თუ იმ სფეროში პროფესიონალებად ცხადდებიან.**

ყველაზე ნათელი მაგალითი ამისა ის უამრავი ტელეკონკურსია, რომლებიც სხვადასხვა ტელეარხზე წელიწადში ხუთ-ექვსჯერ იმართება და სადაც ყველა „ნიჭიერია", „ვარსკვლავია", „შოკისმომგვრელია", „ფენომენია"!

და, თუკი ვინმე მართლა ნიჭიერი და მართალი ადამიანი ხმას ამოიღებს და იტყვის, რომ ესა თუ ის გაფეტიშებული „ვარსკვლავი" სულაც არ არის არც შოკისმომგვრელი და არც გადასარევი, ის, რა თქმა უნდა, შურიანია, დაბოღმილია, გაბოროტებულია, წარუმატებელია და ა. შ.

ანალოგიური რამ ხდება პოეზიის, საზოგადოდ, ლიტერატურის სფეროშიც — თუკი გარკვეულ წრეებში ძალიან მიღებულ და გაფეტიშებულ „პოეტებზე" იტყვი, დიდად არ მომწონსო, ეს ნიშნავს, რომ მათი გშურს. ეს პოეტები, ძირითადად, ისინი არიან, ვისაც „ნანუკას შოუს" მსგავს ტელეგადაცემებში დიდი მონდომებით „არეკლამებენ" და საზოგადოებას, შეიძლება ითქვას, ცხვირში ტენიან.

**გარანტიას ვიძლევი, ეკა კვესიტაძეს ნებისმიერი ჩემი უბნელი «ბირჟავიკი» მოუგებს ნებისმიერ დებატს, ხოლო ზაქარია ქუცნაშვილს ნებისმიერი ის ჟურნალისტი «გაწურავს» და «ოხშივარს აადენს», რომლებიც 1990-იან წლებში გავიცანი და რომლებიც დღეს, როგორც უკვე ვთქვი, ლუკმაპურის საშოვნელად ან უცხოეთში არიან გადახვეწილნი, ან «ელიავას ბაზრობაზე» დგანან «ბარგალკით» და თარაზოთი ხელში...**

**თუმცა სამართლიანობისთვის უნდა აღინიშნოს, რომ ჯერ ვერც საზოგადოებაა იმ დონეზე მზად, პიტნა და ხურმა ერთმანეთისგან რომ გაარჩიოს.** უმეტესად კი საქმე გვაქვს ერთგვარ ფსიქოლოგიურ კომპლექსთან, როდესაც საზოგადოების გარკვეული ნაწილი, უბრალოდ, შეშინებულია — ემანდ, უგემოვნოდ და „გამოუსვლელად" არ ჩამთვალონო და მხოლოდ ამიტომ ეთანხმება „სვეტსკების წრეს" თუ რაღაც მაგდაგვარს, რომელ წრეებსაც გავლენა აქვთ ყველა ტელევიზიაზე — იქნება ეს სახელისუფლო თუ ოპოზციური.

ეს — რაც შეეხება მაყურებელს, ხოლო რაც შეეხება ტელეეკრანებზე მოკეკლუცე პერსონებს, იქნება ეს სახელისუფლო წრეებიდან თუ პირიქით — ოპოზიციიდან, აშკარაა **დანინგ-კრუგერის** ეფექტის პირდაპირი გამოვლინება.

ფსიქოლოგიაში ეს ტერმინი განმარტებულია, როგორც **„მდგომარეობა, როდესაც არაკვალიფიციური ადამიანები განიცდიან მოჩვენებით უპირატესობას სხვების მიმართ, ანუ გარკვეული მცირე ცოდნა მათ არწმუნებს, რომ სრულყოფილად იციან ეს სფერო და ეჩვენებათ, რომ ამ კონკრეტულ სფეროში სხვაზე მეტი იციან ."**

ყოველივე ეს ამჟამინდელ დეკადანსურ საქართველოში ყველა სეფროში შეიმჩნევა, მაგრამ ჟურნალისტებისა და პოლიტიკოსების შემთხვევაში დანინგ-კრუგერის ეფექტი გაცილებით თვალშისაცემია, რადგან ისინი ყველაზე ხშირად არიან ტელეეკრანებზე, ოცდამეერთე საუკუნის საზოგადოება კი, სამწუხაროდ, ტელეეკრანებიდან იღებს ძირითად ცოდნას და რომელიმე პერსონის ჭკვიანობა-უჭკუობასაც იმის მიხედვით საზღვრავს, კვირაში რამდენჯერ ხედავს მის „ბრძნულ" გამომეტყველებას ტელეეკრანზე.

აი, **„ბრძნული" გამომეტყველების „შეკერვაში" კი „პროფესიონალები" არიან ჩვენი ჟურნალისტებიცა და პოლიტიკოსებიც. მაგალითად, სახეზე სათვალე, ხელში კალამი და თავის ერთგვარი, ირიბი გადაქნევა ჟურნალისტს უქმნის „ინტელექტუალის" ურყევ იმიჯს. განსაკუთრებით ეს მდედრობითი სქესის ჟურნალისტებს ახასიათებთ ბოლო პერიოდში, ხოლო დამაჯერებელი ტონი, ერთგვარი მოწყალე ღიმილი, რომელიც გამოხატავს „აი, თქვენ არ იცით და მე გიხსნით", გვიქმნის პოლიტიკოსზე, მინისტრსა თუ პარლამენტარზე „მცოდნისა" და „თავის საქმეში ღრმად ჩახედულის" შთაბეჭდილებას.**

ქართველი საზოგადოებისთვის, სამწუხაროდ, ტელევიზორი ჯერ კიდევ „ჯადოსნური ყუთია", ხოლო იქ გამოჩენელი ადამიანები უპირობოდ ჭკვიანი ტიპები არიან, — „ჭკვიანი რომ არ იყოს, ტელევიზორში ვინ გამოყვანდა?!" ამიტომაც, ასეთი საზოგადოება უპირობოდ იწყებს განსჯას და ქებადიდებას, თუკი „ტელევიზორში" ერთი მოკამათე მხარე უფრო მოეწონა, ვიდრე მეორე.

თავიდანვე ვთქვი, ამ სტატიის დასაწერად ჩემთვის ბოლო წვეთი ეკა კვესიტაძისა და ზაქარია ქუცნაშვილის კამათი იყო-მეთქი. დიახ, სოციალურ ქსელებში ერთი ამბავი ატყდა — **„ო, დიდო ზაქარია! შენ ყოფილხარ, რაც ყოფილხარ!", „ვაღიარე უკვე ქუცნაშვილის სიდიადე და ნიჭი! ყოჩაღ!", „ვაიმე, გამაგიჟა ქუცნაშვილმა, ეს რა უქნა ეკა კვესიტაძეს", „ზაქარია ქუცნაშვილზე აწი ვინც რამეს ცუდს იტყვის, ჩემთან ექნება საქმე"** და ასეთები. ამიტომ, სპეციალურად ვიპოვე ინტერენტში ეს ვიდეოჩანაწერი და „სასწაულმოქმედი ზაქარიას" შთამბეჭდავი „მასტერკლასის" მოლოდინში თავიდან ბოლომდე სულმოუთქმელად ვუყურე...

ალბათ, შურიანის, დაბოღმილის, წარუმატებლის სტატუსს კიდევ ერთხელ დავიმსახურებ გარკვეული წრეების თვალში, მაგრამ პირდაპირ უნდა ვთქვა — არაფერი განსაკუთრებული! **ერთი ჩვეულებრივი და სრულიად ბანალური იურისტი, „პოლიტიკოსის" სტატუსით, მარტივ კამათში უგებს სრულიად უვიც, უწიგნურ, უინტელექტო და აბსოლუტურად უიმედო „ჟურნალისტს".** ეგაა და ეგ! ამიტომ მხოლოდ ის შემიძლია ვთქვა, რომ **მეცოდება საზოგადოება, რომელიც ასე აღფრთოვანდება და გადაირევა იმით, რომ ვინმემ საშუალოზე გაცილებით დაბალი დონის ჟურნალისტი დებატში დაამარცხა. ხოლო ეს ვინმე, ამის გამო „გმირად" და „გენიოსად" ცხადდება და არის ერთი ამბავი, აი, როგორი ინტელექტუალების გუნდი მართავს დღეს ჩვენს სახელმწიფოსო.**

არადა, **გარანტიას ვიძლევი, ეკა კვესიტაძეს ნებისმიერი ჩემი უბნელი „ბირჟავიკი" მოუგებს ნებისიმერ დებატს, ხოლო ზაქარია ქუცნაშვილს ნებისმიერი ის ჟურნალისტი „გაწურავს" და „ოხშივარს აადენს", რომლებიც 1990-იან წლებში გავიცანი და რომლებიც დღეს, როგორც უკვე ვთქვი, ლუკმაპურის საშოვნელად ან უცხოეთში არიან გადახვეწილნი, ან „ელიავას ბაზრობაზე" დგანან „ბარგალკით" და თარაზოთი ხელში...**

სიტყვამ მოიტანა და ამასაც ვიტყვი: „ფეისბუქმა" უცნაური გამოცდილებაც შემძინა — მათ, ვინც ამ სოციალურ სივრცეში ჭკვიანი, ინტელექტუალი, საღად და სხარტად მოაზროვნე გავიცანი და მოვიხიბლე მათი ნააზრევით, როდესაც ვეკითხები — სად მუშაობ? რით ხარ დაკავებული? რას აკეთებ? – უმეტესობის პასუხია: უმუშევარი ვარ, გაჯზე ვმუშაობ და მლესავობით ვირჩენ თავს, უცხოეთში ვარ და მშენებლობაზე ძლივს ვიშოვე სამუშაო... ხოლო, როცა სულელს, რეგვენსა და ხეპრეს გადავაწყდები და ვინტერესდები, ამ დონის ჩლუნგი, ნეტავ, სად უნდა მუშაობდეს და რას უნდა აკეთებდეს-მეთქი, ხშირად გაბღენძილ პასუხს ვიღებ — ამა და ამ სახელმწიფო დაწესებულების დეპარტამენტში, უფროს სპეციალისტად ვმუშაობ, ამა და სამსახურის უფროსად დამაწინაურეს ერთი თვის წინათ, ამა და ამ სამინისტროში მინისტრის თანაშემწე ვარ და ა.შ.

ახლა, დაფიქრდით, ქვეყანაში არსებული დეკადანსი ნიჭიერი ადამიანების არდაბადების ბრალია თუ მათი არგამოყენების? იფიქრეთ, განა შეიძლება ადამიანმა ნიადაგში ერთი ბარის პირი ამოთხაროს და იმწამს დაასკვნას — აქ სასარგებლო წიაღისეული არ მოიპოვებაო, მერე კი ბარის პირს ამოყოლილი ყვითელი ქვიშა „ოქროდ" გაასაღოს? წიაღისეულს ღრმად, გულდასმით, უნდა მოძებნა და, რაც მთავარია, სახელმწიფოს ამის სურვილი უნდა ჰქონდეს!

რა გაეწყობა, როგორც ჩანს, **დღევანდელ საქართველოში ჟურნალისტიკის ეტალონი ეკა კვესიტაძეა, ხოლო პოლიტიკოსის იდეალი — ზაქარია ქუცნაშვილი. ჩვენც სხვა რა გზა დაგვრჩენია — რამდენიმე წელი უნდა ავიტანოთ „გაკვესტებული" ქართული ჟურნალსტიკა და „გაქუცნული" ქართული პოლიტიკა. ოპტიმიზმის იმედს მხოლოდ ის მაძლევს, რომ ჩვენი საზოგადოება ასე თუ ისე მაინც იზრდება.** აკი, ჩვენ სწორედ ის საზოგადოება ვართ, რომელმაც 2003 წელს აშკარა და უნიჭო ავანტიურა, „ვარდების რევოლუცია", ბალიშა კანფეტივით ტკბილად შეჭამა, ხოლო დღეს მსგავსი ავანტიურა აღარ გამოსდით „ნაციონალური მოძრაობის" გამოცდილ ავანტიურისტებს. მოვა დრო და საზოგადოება იმასაც მიხვდება, რომ კვესიტაძის დამარცხება სულაც არ არის ვიღაცის მაღალი ინტელექტის მაჩვენებელი. ვიყოთ ოპტიმისტები და ცოტა ხანს კიდევ იმედიანად დაველოდოთ ქართულ რენესანსს.

სამწუხაროა, რომ საქართველოში ფესვები მყარად გაიდგა სხვისი ნათქვამის (პროპაგანდის) შეუმოწმებლად დაჯერებამ და გამეორებამ, წიგნის უარყოფამ, შედეგად — უვიცობამ, გაუნათლებლობამ... არადა, სწორედ გაუნათლებლობის გამოა ის, რაც დღეს გვჭირს — სიდუხჭირე, უმუშევრობა, უცხოელებისადმი მონური მორჩილება, მათი ბრძანებების უსიტყვოდ შესრულება, ქართული ფასეულობების დაკნინება-უარყოფა და ე.წ. დასავლური ფასეულობების დამკვიდრების მცდელობა. ქართველი ერი მხოლოდ „დაგუგვლითა“ და ინგლისურის ცოდნით წარმატებას ვერასოდეს მიაღწევს და ვერც თავისუფალი იქნება. ქვეყანას განათლებული და სამშობლოს მოყვარული ახალგაზრდები სჭირდება და არა ისეთი, როგორიც არის დიმიტრი ბიძინაშვილი.

რეპლიკა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# Made in ჯეჯელავა

## ანუ როგორ წაგვართვა სტალინმა და კომუნისტურმა რეჟიმმა პაულო კოელიე

**საქართველოს განათლების სისტემის ნგრევა 2003 წლიდან, ქვეყნის ხელისუფლების სათავეში „ნაციონალური მოძრაობის“ მოსვლის შემდეგ დაიწყო და დღემდე გრძელდება.**

ბოლო 15 წლის განმავლობაში განათლების სისტემას ნორმალური მინისტრი არ ჰყოლია. შეგახსენებთ ადამიანებს, რომლებიც ხელმძღვანელობდნენ განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს: **ალექსანდრე ლომაია** (2004-2007), რომელმაც დაფაზე სიტყვა „ბავშვი“ სწორად ვერ დაწერა; არასამთავრობო ორგანიზაცია „მშვიდობის, დემოკრატიისა და განვითარების კავკასიური ინსტიტუტის“ ყოფილი ხელმძღვანელი **გია ნოდია** (2008 წ.), რომელსაც ეკუთვნის ფრაზები: **„ნოდარ დუმბაძე იყო კრიმინალური გაგების“; „დათა თუთაშხია“ ძალიან სუსტი რომანია“; „კონსტანტინე გამსახურდია რატომ ითვლება დიდ და გამოჩენილ მწერლად, საერთოდ არ მესმის“. ნიკა გვარამია** (2009 წ.) — სააკაშვილის სისხლიანი რეჟიმის „გამპრავებელი“, გენერალური პროკურორის ყოფილი მოადგილე, ფილმ „ნოემბრიდან ნოემბრამდე“-ს შემქმნელი, ამჟამად „რუსთავი 2“-ის გენერალური დირექტორი“; **დიმიტრი შაშკინი** (2009-2012), პირწავარდნილი ნაციონალი, რომელიც 2013 წელს წინასწარმეტყველებდა, „ხელისუფლებაში სააკაშვილის დაბრუნება გარდუვალია“-ო; **ხატია დეკანოიძე** (2012), მიხეილ სააკაშვილის ძმის ყოფილი ცოლი, უკრაინის ნაციონალური პოლიციის ყოფილი უფროსი; „ქსლის მბეჭველი“ და პლასტილინა პრეზიდენტი **გიორგი მარგველაშვილი** (2012-2013); „თოჯინა“ **თამარ სანიკიძე** (2013-2016) სოროსის ფონდის ყოფილი თანამშრომელი, **„ტრანსფორმაციული ტრენერი“** (ასე წერია „გუგლით“ მოძიებულ ბიოგრაფიაში) **ალექსანდრე ჯეჯელავა** (2016 წლიდან დღემდე), რომელმაც მინისტრობა ქართულ ზღაპრებთან და ლექსებთან ბრძოლით დაიწყო. აი ჯეჯელავას „ფრთიანი ფრაზები“: **„კომბლე მოძალადე და ცუდი მეცხვარეა“; „თამადაც ვიყავი და იქაც არ გამომადგა ლექსები და საზეპიროები“; „კომბლე ცუდი მეცხვარეა, სუპერმენი და სპაიდერმენი მასწავლებლები არიან“; „როცა ვკითხულობდი — ჭირი იქა, ლხინი აქა, მიკვირდა, რატომ არ შეიძლება იქაც ლხინი იყოს და აქაც-მეთქი? მეზობელთან ცუდი რატომ უნდა ხდებოდეს, მას ქატო რატომ უნდა ჰქონდეს და მე — ფქვილი?“. „იქნებ ამიხსნათ, რატომ უნდა იცოდეს და ისწავლოს ბავშვმა ქართული ნაწარმოებიდან საზეპიროები? არსებობს „გუგლი“, რომლის მეშვეობითაც ადამიანს თავის გამოტვინვა აღარ დასჭირდება“**.

**„ჭიანჭველას კვალიფიკაცია არ ჰქონდა ხტომაში და მაინც გადახტა, გადახტა და ჩავარდა. ჭიანჭველა არის ადამიანი, რომელიც შარში გაეხვია თავისი უნიჭობით“,** — აი ეს არის განათლების ამჟამინდელი მინისტრის თვალსაზრისი ქართულ ზღაპრებსა და ლექსებზე.

სწორედ ზემოჩამოთვლილი ადამიანების მიერ „რეფორმირებული“ განათლების სისტემის ნაყოფია ის, რაც 16 მარტს ტელეკომპანია „იბერიის“ ეთერში მოხდა. გადაცემა „პრიორიტეტებში“ გორში სტალინის ძეგლის კუთვნილ ადგილზე დაბრუნების საკითხზე სასაუბროდ მიწვეული ჰყავდათ საერთაშორისო საზოგადოება „სტალინის“ თავმჯდომარე **გრიგოლ ონიანი**. მას ოპონენტად დაუსვეს მონიტორინგის ცენტრ „მედიატორის“ თავმჯდომარე **დიმიტრი ბიძინაშვილი**, რომელმაც ისტორიის ისეთი ცოდნა გამოამჟღავნა, რომ განათლების მინისტრ ჯეჯელავასაც კი შეშურდებოდა (გადაცემის მსვლელობისას დიმიტრი ბიძინაშვილმა რამდენჯერმე შეაწყვეტინა გრიგოლ ონიანს ლაპარაკი, ამის გამო აღშფოთებულმა ბატონმა გრიგოლმა ბიძინაშვილს უვიცი უწოდა და სტუდია დატოვა):

**„სტალინი იყო სწორედ, რომელმაც საქართველოს ტერიტორიები საქართველოს მიწა-წყალი აჩუქა სხვა ქვეყანას და ამ ადამიანის ძეგლის დადგმა გვინდა დღეს და ამ ადამიანზე ვსაუბრობთ? გერმანიაში ჰიტლერის სახელის ხსენებაც სირცხვილია და ეს რითი იყო ჰიტლერზე ნაკლები? იმაზე მეტი ადამიანი დახვრიტა, ვიდრე ჰიტლერმა დახვრიტა... ქართველი ინტელიგენცია დაგვიხვრიტა, 23 მილიონი კაცი დახვრიტა...**

**კომუნისტურმა რეჟიმმა წაგვართვა... ჯავახიშვილი წაგვართვა, ტიციან ტაბიძე წაგვართვა, პაულო კოელიე წაგვართვა“...**




**«კომუნისტურმა რეჟიმმა... ჯავახიშვილი წაგვართვა, ტიციან ტაბიძე წაგვართვა, პაულო კოელიე წაგვართვა»... კადრებში ჩანს, როგორ წაიკითხა დიმიტრი ბიძინაშვილმა ზემომოყვანილი ტექსტის ბოლო ფრაზა, უფრო ზუსტად, გვარები — ეტყობა, ჯეჯელავას რჩევა გაითვალისწინა — «დაგუგლა», მერე «ამოპრინტა», მაგრამ სატელევიზიო ეთერში სწორად ვეღარ წარმოთქვა**

კადრებში ჩანს, როგორ წაიკითხა დიმიტრი ბიძინაშვილმა ზემომოყვანილი ტექსტის ბოლო ფრაზა, უფრო ზუსტად, გვარები — ეტყობა, ჯეჯელავას რჩევა გაითვალისწინა — „დაგუგლა“, მერე „ამოპრინტა“, მაგრამ სატელევიზიო ეთერში სწორად ვეღარ წარმოთქვა.

ამ შემთხვევაში კარგად გამოჩნდა დასავლეთის მიერ აგორებულ ანტისტალინურ პროპაგანდას აყოლილი ქართველი ანტისტალინელების (ძირითადად, უცხოეთიდან დაფინანსებული არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლების) განათლების დონე და კვალიფიკაცია (ჯეჯელავას ჭიანჭველას მსგავსად), რომლებსაც არათუ ისტორია აქვთ შესწავლილი, არამედ არაფერი იციან სსრკ-ზე, სტალინის მოღვაწეობაზე, მაგრამ დასავლეთის შეკვეთით, ცდილობენ, დააკნინონ სტალინის როლი და მისი მოღვაწეობის მნიშვნელობა ისტორიაში. **არ იციან**, რომ სწორედ სტალინმა იხსნა კაცობრიობა, ჰიტლერის ფაშისტური ურდოებისგან, იმ ჰიტლერისგან, რომელიც დღეს ე.წ. დემოკრატიულ დასავლეთში ნელ-ნელა იბრუნებს პოპულარობას: **ფიურერის „მაინ კამპფი“ შარშან კიდევ ერთხელ გამოიცა გერმანიაში და ბესტსელერად იქცა, ახლახან კი ადოლფ ჰიტლერისა და მისი თანამზრახველების ფოტოები ბრიტანეთში მოწყობილ აუქციონზე 41 ათას დოლარად (?!) გაიყიდა; არ იციან,** რომ სტალინის მითითებით ჩამოიყვანეს საქართველოში **ექვთიმე თაყაიშვილი** — „ქართული საგანძურის“ მცველი და, სტალინისვე მითითებით, საფრანგეთის იმჟამინდელმა პრეზიდენტმა **შარლ დე გოლმა** ეს საგანძური საქართველოს დაუბრუნა. **არ იციან**, რომ მეორე მსოფლიო ომში გერმანელებმა სსრკ-ში 15,7 მლნ მშვიდობიანი ადამიანი გამოასალმეს სიცოცხლეს, საბჭოთა ჯარისკაცი — 8,8 მლნ (მათ შორის, ათი ათასობით ქართველი). აშშ-მა 405 ათასი ჯარისკაცი დაკარგა, დიდმა ბრიტანეთმა — 286 ათასი, საფრანგეთმა — 253 ათასი. მეორე მსოფლიო ომში სულ 46,7 მლნ მშვიდობიანი მოქალაქე დაიღუპა, ჯარისკაცი კი —24,4 მლნ (დაიჭრა 37,4 მლნ.).

სამწუხაროა, რომ საქართველოში ფესვები მყარად გაიდგა სხვისი ნათქვამის (პროპაგანდის) შეუმოწმებლად დაჯერებამ და გამეორებამ, წიგნის უარყოფამ, შედეგად, უვიცობამ, გაუნათლებლობამ... არადა, სწორედ გაუნათლებლობის გამოა ის, რაც დღეს გვჭირს — სიდუხჭირე, უმუშევრობა, უცხოელებისადმი მონური მორჩილება, მათი ბრძანებების უსიტყვოდ შესრულება, ქართული ფასეულობების დაკნინება-უარყოფა და ე.წ. დასავლური ფასეულობების დამკვიდრების მცდელობა. ქართველი ერი მხოლოდ „დაგუგვლითა“ და ინგლისურის ცოდნით წარმატებას ვერასოდეს მიაღწევს და ვერც თავისუფალი იქნება. ქვეყანას განათლებული და სამშობლოს მოყვარული ახალგაზრდები სჭირდება და არა ისეთი, როგორიც არის დიმიტრი ბიძინაშვილი.

თუმცა, ის ხომ ჯეჯელავასნაირი მინისტრების მიერ ”რეფორმირებული” განათლების სისტემის პროდუქტია.

**ანუ MADE IN ჯეჯელავა!**

**ნიკა კორინთელი**

**ცნობისთვის: სტალინის პირად ბიბლიოთეკაში 20 ათასამდე წიგნი ინახებოდა. სტალინს უბრალოდ კითხვა კი არ უყვარდა, არამედ რეგულარულად მუშაობდა წიგნზე, რასაც ადასტურებს წიგნების არშიებზე გაკეთებული უამრავი მინაწერი. როგორც სტალინის ჩანაწერებიდან ირკვევა, მის ბიბლიოთეკაში წიგნები ასე იყო კლასიფიცირებული: ფილოსოფია; ფსიქოლოგია; სოციოლოგია; პოლიტეკონომია; ფინანსები; მრეწველობა; სოფლის მეურნეობა; კოოპერაცია; რუსეთის ისტორია; საზღვარგარეთის ქვეყნების ისტორია; დიპლომატია; საგარეო და საშინაო ვაჭრობა; სამხედრო საქმე; ეროვნული საკითხი; ყრილობები და კონფერენციები; მუშათა მდგომარეობა; გლეხების მდგომარეობა; პროფკავშირები; ბელეტრისტიკა, მხატვრული კრიტიკა; პოლიტიკური ჟურნალები, საბუნებისმეტყველო სამეცნიერო ჟურნალები; სხვადასხვა ლექსიკონი, მემუარები. გრძელი ჩამონათვალის ბოლოს მიწერილი აქვს — „ანტირელიგიური მაკულატურა“.**

# მოსკოვში ქართველმა ექიმმა სიცოცხლე განირა მოხუცის გადასარჩენად

**მოსკოვში ტრაგიკულად დაიღუპა ქართველი ექიმი-გინეკოლოგი ნანა ადამაძე. 68 წლის ექიმმა სიკვდილს გადაარჩინა სმენადაქვეითებული მოხუცი ქალბატონი, რომელიც რკინიგზის ლიანდაგზე იდგა, როცა მატარებელი უახლოვდებოდა. ნანა ადამაძე რელსებისკენ გაიქცა, მოხუცს ხელი ჰკრა და გადაარჩინა, თვითონ კი გარიდება ვერ მოასწრო და დაიღუპა.**



ტრაგედია მოხდა 9 მარტს მიტიშჩის რკინიგზის სადგურ „პერლოვკაზე“. თვითმხილველების თქმით, მოხუც ქალს არ ესმოდა არც ადამიანების ყვირილი და არც მოახლოებული მატარებლის საყვირის ხმა. მატარებელმა ნაკუწებად აქცია **ნანა ადამაძე**, მოხუცი კი ვერც მიხვდა, რა მოხდა.

**„ნანა ადამაძე იყო შესანიშნავი ადამიანი და პროფესიონალი სპეციალისტი. ჰყავდა ათასობით მადლიერი პაციენტი. მას ძალიან აფასებდნენ არა მხოლოდ გამოცდილებისა და ცოდნის, არამედ სიკეთის, დელიკატურობის, ოპტიმიზმისა და სიცოცხლის სიყვარულისთვისაც. ის არასოდეს ყოფილა გულგრილი სხვისი პრობლემების მიმართ, ყოველთვის მზად იყო დასახმარებლად. ექიმად 40 წელი იმუშავა. იგი საქართველოში დაიბადა, ქალაქ სოხუმში, დაამთავრა იაროსლავლის სამედიცინო ინსტიტუტი“,** — ასე იხსენებენ ნანა ადამაძეს მისი კოლეგები კლინიკა „ისიდადან“, სადაც ის ბოლო 12 წლის განმავლობაში მუშაობდა.

ნანა ადამაძე მედიკოსთა ოჯახში დაიბადა 1948 წელს. დედამისი სოხუმის სამშობიარო სახლის დირექტორი იყო. ნანაც მის კვალს გაჰყვა. იაროსლავლის სამედიცინო ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ სოხუმის სამშობიაროში დაიწყო მუშაობა. ისეთი ყურადღებიანი და მზრუნველი ექიმი იყო, რომ მის სახელს პაციენტები ხშირად არქმევდნენ ახალშობილ გოგონებს. ნანა ადამაძის მეუღლე გაზეთ „საბჭოთა აფხაზეთის“ რედაქტორი იყო. შეეძინათ ქალ-ვაჟი — ქეთა და გიორგი. აფხაზეთში კონფლიქტის დაწყების გამო საცხოვრებლად ფსკოვში გადავიდნენ, მეუღლის გარდაცვალების შემდეგ კი ნანა შვილებთან ერთად მოსკოვის ოლქში ცხოვრობდა.

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ბექა ოდიშარიას 2016 წლიდან 2021 წლამდე იჯარით გაუსხვისებია ფართობი, რომლიდანაც მისი წლიური შემოსავალი 12 500 აშშ დოლარია. დეპუტატს 2016 წელს 170 000 აშშ დოლარიც გაუსესხებია, რომლიდანაც მისი წლიური შემოსავალი 22 723,86 აშშ დოლარს შადგენს. ბექა ოდიშარიას 270 000 აშშ დოლარიც აქვს გასესხებული, თუმცა ამ შემთხვევაში, როგორც ჩანს, უპროცენტოდ, რადგან შესაბამის გრაფაში მას შემოსავალი ნული ლარით აქვს განსაზღვრული.**

# რა ქონებას ფლობენ პარლამენტარები — ბექა ოდიშარია და სერგო რატიანი

**საქართველოში, ოფიციალური მონაცემებით, 900 ათასამდე მოქალაქე დამოკიდებულია სოციალურ შემწეობასა და პენსიაზე, რომლებიც სრულფასოვანი კვებისთვისაც არ არის საკმარისი. საქართველოს პარლამენტში კი 41 მილიონერი დეპუტატია (დამთხვევა სიმბოლურია — 41 ხომ „ქართული ოცნების“ საარჩევნო ნომერია). „საქართველო და მსოფლიო“ რეგულარულად შემოგთავაზებთ უკიდურეს სიდუხჭირეში მყოფი მოსახლეობის მილიონერი რჩეულების დეკლარაციებს. ამჯერად „ქართული ოცნების“ ახალი სახის — ბექა ოდიშარიასა და „ევროპული საქართველოს“ ერთ-ერთი ლიდერის, სერგო რატიანის ქონებრივ დეკლარაციებს გაგაცნობთ. სხვადასხვა წყაროს ინფორმაციით, ბექა ოდიშარიას ქონება 12 414 270 ლარია და იგი „ქართული ოცნების“ მილიონერი დეპუტატების პირველ სამეულშია, ხოლო მისი ოპონენტი დეპუტატის, „ნაციონალური მოძრაობის“ ყოფილი წევრის — სერგო რატიანის ქონება 1 560 900 ლარს ითვლის.**



ბექა ოდიშარია



სერგო რატიანი

კრწანისის რაიონის მაჟორიტარი დეპუტატი **ბექა ოდიშარია** 1974 წლის 2 სექტემბერს დაიბადა თბილისში. დეპუტატმა ქონებრივი დეკლარაცია 2017 წლის 18 იანვარს შეავსო; ჰყავს მეუღლე — **მარიამ გამცემლიძე**, რომელიც ასევე თბილისში დაიბადა 1982 წლის 20 აგვისტოს; შვილები — **ლაშა და ჯაბა** ოდიშარიები 2002 წლის 9 მარტსა და 2004 წლის 1 მარტს თბილისში დაიბადნენ, **მანანა ოდიშარია** კი — 2012 წლის 27 მაისს აშშ-ში, ილინოისში. დეპუტატთან ცხოვრობს მამამისიც — **მერაბ ოდიშარია**, რომელიც 1948 წლის 13 ოქტომბერსაა დაბადებული.

ბექა ოდიშარიას საკუთრებაა ირაკლი აბაშიძის №34-ში, მეორე სადარბაზოს პირველ სართულზე II ბლოკში 157,80 კვ მ კომერციული ფართობი, რომელიც მის საკუთრებაში 2016 წელს გადავიდა და გადახდილი საფასურის ოდენობა დეკლარაციაში ნული ლარითაა განსაზღვრული. დეპუტატის საკუთრებაა, აგრეთვე, ირ. აბაშიძის №34-ში 129,56 კვ მ და 125,03 კვ მ კომერციული ფართობები. 2007 წელს ბექა ოდიშარიას საგურამოში 4000 დოლარად შეუძენია 400 კვ.მ მიწის ნაკვეთი. ასევე, 2007 წელს 7350 აშშ დოლარად შეუძენია 735 კვ. მ მიწის ნაკვეთი წიწამურში. ბექა ოდიშარიას საკუთრებაა 1500 კვ მ მიწის ნაკვეთი გარდაბნის რაიონის დაბა ლილოში, თუმცა დეკლარაციაში არ არის მითითებული, შეიძინა მან ეს მიწის ნაკვეთი, აჩუქა ვინმემ თუ მემკვიდრეობით მიიღო.

პარლამენტარს 2010 წელს ბაკურიანში 600 კვ.მ მიწის ნაკვეთი გაცვლით მიუღია საკუთრებაში. მსგავსი მანიპულაციით „ქართული ოცნების“ ახალბედა დეპუტატს 2013 წელსაც აქვს დაკანონებული ბაკურიანში 600 კვ.მ მიწის ნაკვეთი. იმავე წელს ბაკურიანში მას 205,50 კვ მ ფართობის საცხოვრებელი სახლიც აუშენებია. 2012 წელს ამხანაგობის წილის სახით ბექა ოდიშარიას საკუთებაში გადავიდა თბილისში, ბერძნის ქ. №39-ში ბინები (206,93 კვ.მ; 153,71 და 154,23 კვ. მ) და საცხოვრებელი სახლი (168,47 კვ. მ). 2012 წელს დეპუტატს 3 284 000 აშშ დოლარად თბილისში ბერძნის ქ. №39-ში 3284 კვ. მ მიწის ფართობი შეუძენია.

2013 წელს „ოცნების“ დეპუტატს 35 000 აშშ დოლარად მსუბუქი ავტომანქანა RANGE ROVER EVOQUE შეუძენია, ხოლო მსუბუქი ავტომანქანა LEXUS LX570 — 42 000 აშშ დოლარად. ბექა ოდიშარიას საკუთრებაა, ასევე, მსუბუქი ავტომანქანა TOYOTA LAND CRUIZER LC 200, რომელიც 2014 წელს 33000 აშშ დოლარად უყიდია.

„ქართული ოცნების“ წევრის საკუთრებაშია ათეულობით ფერწერული ტილო, რომელთა შეძენა მას, ჯამში, 110 500 ლარი დაუჯდა.

ბექა ოდიშარია სს „ბათუმი ბულვარ საიდის“ A და B კატეგორიაში აქციებსაც ფლობს. ორივე შემთხვევაში ფასიანი ქაღალდების ნომინალი 12 900 აშშ დოლარია. დეკლარაციის შევსებისას „ოცნების“ დეპუტატს „საქართველოს ბანკში“ ერთ ანაბარზე 70 249,69 აშშ დოლარი ერიცხებოდა, მეორე ანაბარზე კი — 12 2629,41 ლარი. იმავე ბანკში ერთ მიმდინარე ანგარიშზე ჰქონდა 28 875,74 ლარი, მეორეზე კი — 33 478,34 ლარი; საკრედიტო ბარათზე ამავე ბანკში ანგარიშზე ჰქონდა 8 266,97 ლარი; „ვი-თი-ბი ბანკში“ კი სახელფასო ანგარიშზე 14 741 ლარი ერიცხებოდა.

დეპუტატის მეუღლეს, **მარიამ გამცემლიძეს**, „საქართველოს ბანკში“ სახელფასო ანგარიშზე დეკლარაციის შევსებისას ერიცხებოდა 400 ლარი, ხოლო მიმდინარე ანგარიშზე — 140 აშშ დოლარი.

პარლამენტარს დანაზოგიც აქვს — 7000 ლარი, ხოლო მამამისის დანაზოგი 20 000 აშშ დოლარია.

ბექა ოდიშარია შპს „ანაბაზისის“ პარტნიორია, რომლის საწარმოო კაპიტალი, დეპუტატის განმარტებით, ნული ლარია და, შესაბამისად, მას შემოსავალი არ აქვს. ბექა ოდიშარია არის შპს „ძველი დედაქალაქის“ პარტნიორი. აღნიშნული შპს-ს საწარმოო კაპიტალი 200 ლარია და მისი პარტნიორი **გიორგი კალანდაძეა.** შემოსავალი ამ შემთხვევაშიც ნული ლარითაა განსაზღვრული.

**ბექა ოდიშარიას 2016 წლიდან 2021 წლამდე იჯარით გაუსხვისებია ფართობი, რომლიდანაც მისი წლიური შემოსავალი 12 500 აშშ დოლარია. დეპუტატს 2016 წელს 170 000 აშშ დოლარიც გაუსესხებია, რომლიდანაც მისი წლიური შემოსავალი 22 723,86 აშშ დოლარს შადგენს. ბექა ოდიშარიას 270 000 აშშ დოლარიც აქვს გასესხებული, თუმცა ამ შემთხვევაში, როგორც ჩანს, უპროცენტოდ, რადგან შესაბამის გრაფაში მას შემოსავალი ნული ლარით აქვს განსაზღვრული.**

გასავალში „ოცნების“ ახალბედა დეპუტატს მითითებული აქვს შვილების სწავლის საფასური — 4000 და 3500 ლარი.

ბექა ოდიშარიას განათლება ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში აქვს მიღებული, სპეციალობა — ჟურნალისტიკა. აგრეთვე, დაუმთავრებია, პროფესორ ჯამბაკურ ბაქრაძის სახელობის თბილისის სამართლისა და ეკონომიკის ინსტიტუტი იურისტისა და ეკონომისტის სპეციალობით.

ბექა ოდიშარიას სამუშაო გამოცდილება:

*შპს „ჯინდალ პეტროლეუმ ოპერეიტინგ კომპანის“ გენერალური დირექტორი (2010-2016);

*საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციის „იორის ველის ნავთობისა და გაზის“ გენერალური დირექტორის მოადგილე, გენერალური დირექტორი (2005-2009);

*სს „ნავთობის ეროვნული კომპანიის“ გენერალური დირექტორის მოადგილე, საკოორდინაციო საბჭოს წევრი: ნ/კ „საქნავთობი-სამგორის“, ნ/კ „კანარგო ჯორჯიას“, ნ/კ „ნინოწმინდის ნავთობის კომპანისის“, ნ/კ „საქნავთობი ნორიოს“ (2004-2004);

*თბილისის ბიზნესცენტრის სატელევიზიო სტუდიის ჟურნალისტი, პროექტების მენეჯერი (1995-1998);

*ბექა ოდიშარია ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავდაცვისა და უშიშროების და რეგიონული პოლიტიკისა და თვითმმართველობის კომიტეტების წევრია.

ახლა კი გავეცნოთ დეპუტატ **სერგო რატიანის** ქონებრივ დეკლარაციას, რომელიც მას 2017 წლის 19 იანვარს შეუვსია.

სერგო რატიანი 1967 წლის 27 ნოემბერს თბილისში დაიბადა. 1968 წლის 15 ივლისსაა დაბადებული მისი მეუღლე **ეკა კეკელია.** შვილები — **ალექსანდრე** და **ნესტან** რატიანები 1993 წლის 7 ოქტომბერსა და 2001 წლის 28 ოქტომბერს დაიბადნენ. სერგო რატიანისა და მისი ოჯახის წევრების საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ნუსხა ასეთია:

ეკა კეკელიას საკუთრებაა 805 კვ. მ მიწის ნაკვეთი მცხეთაში, რომელიც მისთვის 2016 წელს ძმას უჩუქებია და რომლის ღირებულებაც 30 000 ლარს შეადგენს; სერგო რატიანის საკუთრებაა საცხოვრებელი სახლი თბილისში, მარგიანის №21-ში (267 კვ მ), რომელიც მას 2011 წელს მემკვიდრეობით მიუღია. რატიანის საკუთრებაა, აგრეთვე, 960 კვ. მ მიწის ნაკვეთი მცხეთაში, სოფელ არაშენდაში, რომელიც 2009 წელს 25000 აშშ დოლარად შეუძენია. სერგო რატიანი 40%-ის მფლობელია 68 კვ მ ბინისა, რომელიც მარჯანიშვილის ქუჩაზე მდებარეობს. ამ ბინის მესაკუთრეები არიან, აგრეთვე, **ლალი ცერცვაძე, ანუკი და ნინო რატიანები.** ყოფილ ნაციონალს 2011 წელს მემკვიდრეობით მიუღია 508 კვ.მ მიწის ნაკვეთი თბილისში, მარგიანის №21-ში, 2010 წელს კი 10000 აშშ დოლარად შეუძენია 460 კვ. მ მიწის მცხეთაში, სოფელ არაშენდაში. 2014 წელს ალექსანდრე რატიანისთვის საგურამოში 1500 კვ მ მიწის ნაკვეთი უჩუქებიათ, თუმცა დეკლარაციაში არაფერია ნათქვამი, ვინ და რისთვის აჩუქა დეპუტატის შვილს მიწის ნაკვეთი საგურამოში.

სერგო რატიანის საკუთრებაშია მსუბუქი ავტომანქანა TOYOTA RAV4, რომელიც მას 2015 წელს 15000 ლარად შეუძენია.

სერგო რატიანისა და მისი მეუღლის საბანკო ისტორია დეკლარაციის შევსების მომენტში ასე გამოიყურებოდა:

„ბაზის ბანკის“ სახელფასო (ოვერდრაფტი) 8487,34 ლარი აქვს გამოყენებული, „ბაზის ბანკის“ საკრედიტო ბარათზე 86733,97 აშშ დოლარი აქვს დავალიანება. „საქართველოს ბანკში“ საკრედიტო დავალიანება კი 15983,81 ლარია. რაც შეეხება „რესპუბლიკა ბანკს“, მიმდინარე ანგარიშზე ნული ლარი აქვს; სერგო რატიანს „თი-ბი-სი ბანკის“ საკრედიტო ბარათზე 727,30 ლარი აქვს დავალიანება. ეკა კეკელიას „თი-ბი-სი ბანკში“ სახელფასო ანგარიშზე 40,29 ლარი ერიცხება. „თი-ბი-სი ბანკში“ დეპუტატის მეუღლის დავალიანება 547,80 და 310,74 ლარია. სერგო რატიანი ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სრული პროფესორია და მისი წლიური შემოსავალი 58100 ლარს შეადგენს. ეკა კეკელია ააიპ საქართველოს პორტიჯის ასოციაციაშია დასაქმებული ადრეული განვითარების სპეციალისტად და მისი წლიური შემოსავალი 10155,64 ლარია. პარლამენტში რატიანის წლიური შემოსავალი 61659,53 ლარს შეადგენს. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საგრანტო პროექტიდან კი მას 4715,91 ლარი მიუღია.

სერგო რატიანს „საქართველოს ბანკში“ აქვს სესხი ოვერდრაფტის სახით 16000 ლარი და მისი შემოსავალი შეადგენს 5106,51 ლარს. „ბაზის ბანკში“ 90000 აშშ დოლარი აქვს სამომხმარებლო სესხი 2034 წლამდე და მისი წლიური გასავალი აღნიშნული სესხის დასაფარავად 1779,08 აშშ დოლარია. „ბაზის ბანკში“ მისი ოვერდრაფტი 9200 ლარია, წლიური შემოსავალი კი — 399,57 ლარი. დეპუტატს „თი-ბი-სი ბანკში“ სამომხმარებლო სესხი აქვს 3000 ლარი, შემოსავალი 727,30 ლარი.

სერგო რატიანი პარლამენტში „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ პარტიული სიით მოხვდა. დამთავრებული აქვს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, სპეციალობა — ფილოსოფია.

ფრაქცია „ევროპული საქართველოს“ თავმჯდომარის სამუშაო გამოცდილება:

*ილია ჭავჭავაძის უნივერსიტეტის სრული პროფესორი (2008 წლიდან);

*ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი (2006—2012);

*ილია ჭავჭავაძის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი (2006—2008);

*თბილისის ილია ჭავჭავაძის სახელობის ენისა და კვლევების უნივერსიტეტის კათედრის გამგის მოვალეობის შემსრულებელი (2002—2006);

*თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის უფროსი მასწავლებელი (2001—2002);

*შპს „არხატის“ დირექტორი (1997—2002);

*შპს „კავკასიის“ დირექტორის მოადგილე (1995—1997);

*თბილისის სასულიერო აკადემიის მასწავლებელი (1993—1996);

*თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასპირანტი (1991—1994);

*მასწავლებელთა გადამზადების ინსტიტუტის რელიგიის კათედრის მეცნიერ-მუშაკი (1991—1993);

*თბილისის ილია ჭავჭავაძის სახელობის უცხო ენების შემსწავლელი კურსი — გერმანული ენა (1988—1989);

*საბჭოთა არმიის რიგითი (1986—1988);

არის ფილოსოფიის მეცნიერებათა კანდიდატი, ფრაქცია „ევროპული საქართველოს“ თავმჯდომარე, ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციისა და განათლების, მეცნიერებისა და კულტურის კომიტეტების წევრი.

**გიორგი გელაშვილი**

**ქალაქის მცხოვრებთა უმრავლესობას არ სურს კიდევ ერთი მეჩეთის მშენებლობა (ამას ასაბუთებს სხვადასხვა გამოკითხვა), რადგან ის საქართველოში და არამხოლოდ აჭარაში, დაძაბულობის ახალ ტალღას გამოიწვევს, ამჯერად — რელიგიურ ნიადაგზე, ამიტომ, სახელმწიფო ინტერესებიდან გამომდინარე, ასეთი მშენებლობა დაუშვებელია.**

ჩემპიონი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ბათუმის ახალი მეჩეთის პრობლემის წამალი პლებისციტია

**მეჩეთის თემაზე ქვემოთ წარმოდგენილი წერილი უკვე დაწერილი მქონდა, როდესაც ბათუმში მოულოდნელად დაიწყო არეულობა. ამ მოვლენებმა კიდევ უფრო დამარწმუნა ქვემოთ ჩამოყალიბებული მოსაზრებების მართებულობაში — თუ ხელისუფლება ხალხს არ ჰკითხავს აზრს, მაშინ პროვოკატორებს თვითონ ხალხი გამიჯნავს. საქართველოს ძირძველ კუთხეში — აჭარაში თუ სხვა რომელიმე მხარეში ვერავინ გაბედავს, საქართველოსა და ქართველებს დედა აგინოს. ბათუმის მოვლენები იყო ნაზავი ობიექტურად არსებული სახალხო უკმაყოფილებისა, ნაციონალების პროვოკაციულ-გამყიდველური ქმედებებისა, კუთხურ-ტრაიბალისტური გრძნობებისა და, რაც ზედაპირზე არ ჩანს, მაგრამ გამგები გაიგებს — ბათუმის არეულობა არის წინასწარი(!) შედეგი იმ გარე ძალების იდეოლოგიური მუშაობისა, რომლებიც აჭარაში ქრისტიანობის შესუსტებასა და ამ გზით აჭარის საქართველოსგან ჩამოცილებაზე მუშაობენ.**




და, მართლაც, პრობლემად იქცა ქალაქ ბათუმში მეჩეთის მშენებლობის საკითხი. **აქტივისტთა ჯგუფი ცდილობს, ქართველ საზოგადოებას თავს მოახვიოს აზრი, რომ ბათუმში ამჟამად არსებული და მოქმედი ისტორიული მეჩეთის პარალელურად აუცილებელია კიდევ ერთი მეჩეთის აშენება. ეს იწვევს ქვეყნის მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილის პროტესტს, მათ შორის ბათუმელთა. მიუხედავად ამისა, აქტივისტები არ ამბობენ უარს თავიანთ ჩანაფიქრზე. ქალაქში მეჩეთის ასაშენებლად მათ უკვე შეიძინეს მიწის ნაკვეთი, გახსნეს საბანკო ანგარიში შემოწირულობებისთვის და გააჩაღეს ფართომასშტაბიანი სარეკლამო-პროპაგანდისტური კამპანია.**

მეჩეთის მშენებლობის მოწინააღმდეგეთა შორის არიან ისეთებიც, ვისაც ბათუმის ახალი მეჩეთის აშენება „თურქეთის ფულით“ არ უნდა. მათთვის ასევე მიუღებელია, რომ მეჩეთს დაერქვას ოსმალეთის სულთნის — **აბდულ-აზიზის** სახელი, რომელმაც 1860-იან წლებში მეჩეთი ბათუმის თურქული გარნიზონისთვის ააგო და მას სულთნის პატივსაცემად აზიზიეს მეჩეთი ეწოდა. მაგრამ, თუკი საქართველო დააფინანსებს მშენებლობას და, თუკი მეჩეთს აზიზიეს სახელს არ დაუკავშირებენ, მაშინ მათ მშენებლობის საწინააღმდეგო არაფერი ექნებათ.

ცხადია, ასეთი არგუმენტაცია ძირშივე არასწორია და საფრთხესაც შეიცავს. ჯერ ერთი, ახალი მეჩეთის მომხრე მუსლიმმა აქტივისტებმა (საქართველოს მოქალაქეებმა), რომლებიც მჭიდროდ არიან დაკავშირებულნი არა მხოლოდ თურქეთთან, არამედ დასავლური სახელმწიფოების სტრუქტურებთან, კარგა ხანია, იმ ფულის წარმომავლობა შენიღბეს, რომლითაც მეჩეთის მშენებლობისთვის 3 ჰექტარი მიწის ნაკვეთი შეიძინეს. **„ბათუმში მეჩეთის მშენებლობის საინიციატივო ჯგუფი“ პროპაგანდისტური ვიდეოკლიპების საშუალებით ცდილობს, დაამტკიცოს, რომ ეს ფული ქართველი (აჭარელი) მუსლიმების შემოწირულია და საერთოდ არ ახსენებს თურქულ და არაბულენოვან პლაკატებს შემოწირულობის მოწოდებით. არც აზიზიეს სახელს ახსენებენ.**

ასე და ამრიგად, ახალი მეჩეთის მოწინააღმდეგეების არგუმენტები, რომ მშენებლობა უცხოური დაფინანსებით განხორციელდება და მას არაქართული დასახელება ექნება, გაბათილებულია.

მაგრამ არის სხვა, უფრო პრინციპული მიზეზი, რატომ არ უნდა აშენდეს ბათუმში ახალი მეჩეთი.

**ქალაქის მცხოვრებთა უმრავლესობას არ სურს კიდევ ერთი მეჩეთის მშენებლობა (ამას ასაბუთებს სხვადასხვა გამოკითხვა), რადგან ის საქართველოში და არამხოლოდ აჭარაში, დაძაბულობის ახალ ტალღას გამოიწვევს, ამჯერად — რელიგიურ ნიადაგზე, ამიტომ, სახელმწიფო ინტერესებიდან გამომდინარე, ასეთი მშენებლობა დაუშვებელია.**

ჩემი აზრით, ამ ვითარებიდან ერთადერთ დემოკრატიული გამოსავალი არის ბათუმელთა შორის პლებისციტის ჩატარება. დაე, მათ გადაწყვიტონ, სურთ თუ არა თავიანთ ქალაქში ახალი მეჩეთი იხილონ. იდეოლოგიზებული არგუმენტაცია, რომ მეჩეთის მშენებლობა რელიგიის თავისუფლების გამოხატვას წარმოადგენს და ადამიანის ფუნდამენტურ უფლებებს განეკუთვნება, მართებული არ არის, რადგან იკრძალება არა მეჩეთი, არამედ კონკრეტული მშენებლობა კონკრეტულ ადგილზე. ბათუმში ამჟამად მოქმედი ისტორიული მეჩეთი სრულიად აკმაყოფილებს მცირერიცხოვანი ბათუმელი მუსლიმების მოთხოვნებს; ხოლო მუსლიმები, რომლებიც აჭარის სხვა ქალაქებსა და სოფლებში ცხოვრობენ, ნამდვილად არ განიცდიან მეჩეთების ნაკლებობას.

რაც შეეხება ბათუმის სტუმრებს, რომლებსაც მეჩეთში ლოცვა სურთ, კეთილი და პატიოსანი, ილოცონ. თუ ვერ ეტევიან ერთ მეჩეთში, მაშინ გარეთ, მეჩეთის კედლებთან ილოცონ. ქართული ანდაზა ამბობს: თუ გული გულობს, ქადა ორივე ხელით იჭმევაო... და კიდევ, ასეთი მხიარული რუსული გამონათქვამიც არსებობს: **თავი იგრძენი ისე, როგორც საკუთარ სახლში, მაგრამ არ დაგავიწყდეს, რომ სტუმარი ხარ!**

**გულბაათ რცხილაძე**,
**ევრაზიის ინსტიტუტის ხელმძღვანელი**

# პუბლიკაციის კვალდაკვალ

**„საქართველო და მსოფლიოს“ ამა წლის მე-8 ნომერში გამოქვეყნდა წერილი „რა მოხდა სოფელ ნარდევანში, ანუ გადაიქცევა თუ არა ანდრანიკ მელტონიანის მკვლელობის საქმე მეორე „გირგვლიანის საქმედ?“. ამჯერად გაგაცნობთ წალკის რაიონული პოლიციის თანამშრომლების მოქმედებას მელტონიანების ოჯახის მიმართ იმ საბედისწერო დღეს (30.07.2016 წ.), როცა ანდრანიკ თამარიანმა დაურეგისტრირებული „ვინჩესტერის“ ტიპის სანადირო თოფით მოკლა საქართველოს ჩემპიონი მძლეოსნობაში, 23 წლის ანდრანიკ მელტონიანი...**


რა მოხდა სოფელ ნარდევანში, ანუ გადაიქცევა თუ არა ანდრანიკ მელტონიანის მკვლელობის საქმე მეორე «გირგვლიანის საქმედ»?

**შს მინისტრს ვთხოვ, პირადად გაარკვიოს, წალკის პოლიციის თანამშრომლებმა ვისი მითითებით არ შემოღობეს დანაშაულის ადგილი, არ ჩაატარეს საგზაო შემთხვევის ექსპერტიზა; ასევე, ვისი მითითებით არ დაკითხეს იმავე დღეს სამსონ თამარიანი და არ ჩაუტარეს მას აუცილებელი ალკოტესტი**

მას შემდეგ, რაც წალკის საკრებულოს წევრმა **სამსონ თამარიანმა** განზრახ დააჯახა თავისი ძვირად ღირებული „მერსედესი“ არასრულწლოვან **მერგელ მელტონიანს** და ფეხი მოტეხა, შემდეგ კი სცადა მიწაზე დაცემულ მერგელზე ორტონიანი მანქანით გადავლა, საკუთარი GL 550-ი სახლისკენ „გააქანა“. ნარდევანი პატარა სოფელია და, რასაკვირველია, შვილის უბედურების შესახებ უმალ შეიტყო მისმა მამამ, საქართველოს პარლამენტის ყოფილმა წევრმა (2003—2008წწ.) **აიკ მელტონიანმა.** ის გაემართა სოფლის ცენტრისკენ, სადაც (სამსონ თამარიანის მიერ უმწეო მდგომარეობაში მიტოვებული) მისი 17 წლის ბიჭი იწვა და სისხლისგან იცლებოდა. შემთხვევის ადგილზე შეიკრიბა უამრავი ადამიანი. ბატონმა აიკმა და მისმა ძმისშვილმა, **ანდრანიკ მელტონიანმა** (რომელიც, სულ რაღაც, 20—25 წუთის შემდეგ სიცოცხლეს გამოასალმეს), მომხდარზე შეატყობინეს „112“-ს და უშუალოდ წალკის პოლიციას. აიკ მელტონიანმა რვაჯერ დარეკა „112“-ში, ხოლო სოფელ ნარდევანის რწმუნებულმა **ანტარამ მელტონიანმა** ამა წლის 17 მარტის სასამართლო სხდომაზე დაადასტურა გამოძიებისთვის ადრე მიცემული ჩვენება, რომ ის პირადად დაუკავშირდა სოფელ ავრანლოს პოლიციის განყოფილების უფროსს — **ედუარდ ხაჩატრიანს...** რამდენიმე წუთში ავრანლოს პოლიციის განყოფილების თანამშრომლები სპეცმანქანით მივიდნენ იქ, სადაც იწვა ფეხმოტეხილი მერგელ მელტონიანი. დაზარალებულის მამამ — აიკმა და მისმა ბიძამ — **მორლენ მელტონიანმა** მოახსენეს პოლიციელებს, კერძოდ, ედუარდ ხაჩატრიანსა და **თემურ ნაკაიძეს**, რომ დანაშაული ჩაიდინა არაფხიზელ მდგომარეობაში მყოფმა სამსონ თამარიანმა, რომელიც შემთხვევის ადგილიდან წასვლისას დაემუქრა მერგელს და მის ბიძაშვილს, 19 წლის **ჰაიკ მელტონიანს**, რომ დაბრუნდებოდა და ორივეს ფიზიკურად გაუსწორდებოდა. მოსალოდნელი დანაშაულის თავიდან ასაცილებლად, აიკ და მორლენ მელტონიანები ემუდარებოდენ პოლიციელებს, დაეკავებინათ სამსონ თამარიანი. პოლიციელთა ჯგუფი გაემართა სამსონ თამარიანის სახლისკენ. პოლიციელების მისვლა სამსონის სახლში 17 მარტის სასამართლო სხდომაზე დაადასტურეს მოწმეებმა — **გაიანე ნაზლოიანმა** და ანტარამ მელტონიანმაც.

რამდენიმე წუთის შემდეგ პოლიციელები დაბრუნდნენ შემთხვევის ადგილას და აიკ და მორლენ მელტონიანებს განუცხადეს, სამსონი სახლში არ არის და არავინ იცის მისი ადგილსამყოფელიო. აიკ მელტონიანმა სთხოვა პოლიციელებს, არ წასულიყვნენ, — აქ, შესაძლოა, უბედურება დატრიალდესო, ხოლო, როცა უარი მიიღო, წონასწორობიდან გამოსულმა აიკ მელტონიანმა უცენზურო სიტყვების გამოყენებით ედუარდ ხაჩატრიანი სამსონ თამარიანის მფარველობაში დაადანაშაულა. პოლიციელებმა მაინც დატოვეს შემთხვევის ადგილი და განყოფილებისკენ გაემართნენ. პოლიციელების წასვლის შემდეგ, დაახლოებით 2 წუთში, სამსონ თამარიანის კუთვნილი „ფორდ ტრანზიტით“ შემთხვევის ადგილზე მივიდნენ მისი ძმა **სამველ თამარიანი** და დაურეგისტრირებელი სანადირო თოფით შეიარაღებული მისი შვილი ანდრანიკი, რომელმაც ორჯერ გაისროლა ადამიანების ჯგუფის მიმართულებით, შედეგად მოკლა ანდრანიკ მელტონიანი. ანდრანიკმა მესამეჯერაც სცადა გასროლა, მაგრამ ვაზნა გაეჭედა და მკვლელობის ადგილიდან გაიქცა; საჭესთან მჯდომი სამველ თამარიანი კი შეეცადა, „ფორდი“ დაეჯახებინა პირდაპირ მდგომ აიკ მელტონიანისთვის და მისი შვილის — ჰამბარცუმისთვის, აგრეთვე, წაქცეულ ანდრანიკ მელტონიანისთვის; ანუ დღეს დაზარალებულად ცნობილმა და თავისუფლად „მოსეირნე“ სამველ თამარიანმა 2016 წლის 30 ივლისს არა მხოლოდ მკვლელი მიიყვანა მკვლელობის ადგილას, არამედ ცდილობდა, ჩაედინა ჯგუფური მკვლელობა და აუცილებლად ჩაიდენდა, აიკ მელტონიანს რომ არ გამოეყენებინა ტაბელური იარაღი... მიუხედავად იმისა, რომ აიკ მელტონიანმა „112“-ში რვაჯერ დარეკა და პირადად დაუკავშირდა წალკის პოლიციას, ამა წლის 16 თებერვლის სასამართლო პროცესზე მოწმედ დაკითხულმა ავრანლოს პოლიციის განყოფილების უფროსმა ედუარდ ხაჩატრიანმა განაცხადა, პოლიციისთვის მომხდარზე არავის შეუტყობინებიაო... 2016 წლის 11 აგვისტოს ოფიციალური დოკუმენტით, რომელსაც ხელს აწერს შსს სსიპ „112“-ის ოპერატიული მართვის სამსახურის უფროსი **ოთარ ტატალაშვილი**, დადასტურებულია, რომ აიკ და ანდრანიკ მელტონიანებმა 2016 წლის 30 ივლისს „112“-ში რამდენჯერმე დარეკეს (17:26 საათზე პირველი ზარი). დამეთანხმებით, თეორიულადაც გამორიცხულია, რომ „112“-ს მომხდარ შემთხვევაზე არ შეეტყობინებინა წალკის პოლიციისთვის. თხოვნით მივმართავ საქართველოს შს მინისტრს — **გიორგი მღებრიშვილს**, დაუყოვნებლივ შეამოწმოს წალკის რაიონის პოლიციის უფროსის — **ნიკოლოზ გადელიას** პროფესიული კვალიფიკაცია. ვინაიდან აშკარად იკვეთება წალკის პოლიციის კოლექტიური სამსახურეობრივი გულგრილობის ფაქტი, **შს მინისტრს ვთხოვ, პირადად გაარკვიოს, წალკის პოლიციის თანამშრომლებმა ვისი მითითებით არ შემოღობეს დანაშაულის ადგილი, არ ჩაატარეს საგზაო შემთხვევის ექსპერტიზა; ასევე, ვისი მითითებით არ დაკითხეს იმავე დღეს სამსონ თამარიანი და არ ჩაუტარეს მას აუცილებელი ალკოტესტი.** ასეთ უხეშ დარღვევებს ედუარდ ხაჩატრიანი მარტო ნამდვილად ვერ გაბედავდა...

**გიორგი კორძაძე**

გრიგოლ ონიანის საავტორო გვერდი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



„მითხრეს, რომ ევროპაში დიდი თანაგრძნობა გვაქვს, დიდ მუშაობას აწარმოებენ ჩვენები მეორე ინტერნაციონალში და, საერთოდ, მუშათა წრეებში. აგრეთვე, მითხრეს, რომ, თუ ჩვენ შევძლებთ ძალაუფლების ხელში ჩაგდებას, მაშინ ევროპა გვპირდება პირველ ხანებში დიპლომატიურ დახმარებას და შემდეგ — ყოველგვარ დახმარებას, რათა ჩვენი ერი გავათავისუფლოთ“.

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №1-10 (377-386)

# რატომ იყო სტალინი ხალხის ჯალადი

## სვანეების აჯანყების გამომწვევი ჭეშმარიტი მიზეზები

**საბჭოთა ხელისუფლებამ 1922 წლის 12-13 აპრილს, მოლაპარაკების შემდეგ, ქვემო სვანებთან შეთანხმებას მიაღწია და გაათავისუფლა 1921 წლის აჯანყებაში მონაწილე ყველა პირი და მათთან ერთად აჯანყების ორგანიზატორები, მეთაურები, რომლებიც 6 თვის განმავლობაში იბრძოდნენ საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ და ამ ხნის განმავლობაში გაუქმებული ჰქონდათ ხელისუფლება. მაგრამ შეწყალებულმა და გათავისუფლებულმა მეამბოხეებმა ფარულად განაგრძეს საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლა, რომელიც 1924 წლის ბოლომდე გაგრძელდა.**

უფრო ნათელი რომ იყოს, რა დონეზე მზადდებოდა და ყალიბდებოდა საბჭოთა ხელისუფლების დამხობის გეგმა, გავეცნოთ სვანეთის 1924 წლის აჯანყების მთავარი ორგანიზატორის — **ბიძინა პირველის** — სასამართლოსთვის მიცემული ჩვენების სტენოგრაფიულ ჩანაწერს და მის საბოლოო სიტყვას, რომელიც წარმოთქვა 1925 წლის 1 აგვისტოს გამართულ სასამართლო სხდომაზე.

შემდეგ გაგაცნობთ აჯანყების მეორე მეთაურის, **ეგნატე გაბლიანის,** ჩვენების სტენოგრაფიულ ჩანაწერს 1925 წლის 16 ივლისის სასამართლო სხდომაზე.

დოკუმენტი №18

**ბიძინა პირველის დაკითხვა**

1925 წლის 23 ივლისის დილის სხდომა

**თავმჯდომარე:** — ბრალდებულო პირველო /პირველი ადგა/, რამდენი წლის ხართ?

**პირველი:** — 22 წლის.

**თავმჯდომარე:** —თქვენი სოციალური მდგომარეობა?

**პირველი:** — გლეხი ვარ.

**თავმჯდომარე:** — ქონება გაქვთ რამე?

**პირველი:** — არაფერი.

**თავმჯდომარე:** — ოჯახური მდგომარეობა?

**პირველი:** — უცოლო.

**თავმჯდომარე:** — რა ხელობა გაქვთ?

**პირველი:** — ინტელიგენტი, საშუალო განათლების.

**თავმჯდომარე:** — რომელ პარტიას ეკუთვნოდით და რა დრომდე?

**პირველი:** საქართველოს [ეროვნულ]-დემოკრატიულ პარტიას 22 წლის ოქტომბრამდე. იმის შემდეგ არავითარ მუშაობას არ ვეწეოდი.

**თავმჯდომარე:** — 22 წლის ოქტომბრის შემდეგ?

**პირველი:** — შემდეგ არა.

**თავმჯდომარე:** — პოლიტიკური რწმენა?

**პირველი:** — ჩემი ერის თავისუფლება.

**თავმჯდომარე:** — პასუხისმგებაში ყოფილხართ?

**პირველი:** — არასოდეს.

**თავმჯდომარე:** — თქვენ სვანეთში მუდამ ცხოვრობდით თუ ხანდახან?

**პირველი:** — მე დავამთავრე ქუთაისის პირველი გიმნაზია 21 წელში, როცა მოხდა საქართველოს გასაბჭოება. გასაბჭოების პირველ ხანებშივე გავემგზავრე სვანეთში იმ შთაბეჭდილებით, რომ მოხდა ოკუპაცია და საქართველო ძალით იქნა დაპყრობილი. მაგრამ მე ვიგრძენი, რომ, რაკი ამ ძალის წინააღმდეგ ვერ შეძლო გამკლავება მთავრობამ, რომლის ხელში იყო სახელმწიფო აპარატი, მაშინ ჩვენ რა ძალას წარმოვადგენდით. ამიტომ იქ ჩასვლისთანავე მიზნად დავისახე, ჩემი კუთხისთვის მომეტანა სარგებლობა კულტურულ და ეკონომიკურ ფრონტზე. მე განვუცხადე ჩემი სურვილი მაშინდელ რევკომს და მან მიმიწვია, ჩავბმულიყავი კულტურულ მუშაობაში. ასეთი იყო იმ დროს თეატრის დაარსება...

**თავმჯდომარე:** — თეატრის დაარსებაზე არ გეკითხებით. სასამართლო გეკითხებათ, აჯანყებაში რა მონაწილეობა მიიღეთ, როგორ აწყობდით ამ აჯანყებას?

**პირველი:** — მე მოგახსენებთ, ვიყავი სვანეთში 21 წლიდან. მე მინდა მოგცეთ ის სურათი, რომელმაც გამოიწვია სვანეთის ხალხის მიერ ნაბიჯების გადადგმა აჯანყებისკენ. იქ იყო გამოგზავნილი ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლად სვანები. ცენტრიდან რწმუნებულად იყვნენ: სომეხი **ვარზანოვი** და ერთი ურია, რომლებიც...

**თავმჯდომარე:** — თქვენ გექნებათ შემდეგ საშუალება და უფლება, ფართოდ დაახასიათოთ თქვენი თავი და სვანეთის მდგომარეობა. ამჟამად სასამართლოს აინტერესებს ფაქტიური მხარე ამ საქმის. ამიტომ გეკითხებით, რანაირად ეწყობოდა შეიარაღებული აჯანყება, რანაირი იყო თქვენი დამოკიდებულება ამ აჯანყებისადმი? ამასთანავე, ვიმეორებ კიდევ, რომ თქვენ გექნებათ უფლება, ვრცლად ილაპარაკოთ შემდეგ.

**პირველი:** — შეიარაღებული აჯანყება ციდან არ ჩამოვარდნილა. მე მინდა დავასურათო, რა პირობებმა გამოიწვია ეს აჯანყება.

**თავმჯდომარე:** — მე კიდევ ვიმეორებ, რომ თქვენი დაკითხვაც იმ წესით უნდა ჩატარდეს, როგორც სხვების. გამონაკლისი არ უნდა იქნას დაშვებული. ამიტომ გეკითხებით, საიდან გაიგეთ თქვენ, რომ აჯანყება იწყებოდა?

**პირველი:** — რომელ წელში?

**თავმჯდომარე:** — აი, უკანასკნელი აჯანყების შესახებ.

**პირველი:** — 1924 წლის ზაფხულში მე ჩამოვედი ტფილისში. აქ ვნახე კომიტეტის წევრი, რომელმაც გადმომცა, რომ საქართველოში მზადდებოდა საერთო აჯანყება. მათ მომცეს დასტური, ჩვენ მხოლოდ ჩვენ ძალებს ვეყრდნობით და იმედი გვაქვს მხოლოდ ქართველი ხალხის და ქართველი ხალხი მთლიანად მიიღებს მონაწილეობას გამოსვლაშიო. შემდეგ მე შევეკითხე: როგორ უყურებს ჩვენ საკითხს ევროპა? **მათ მითხრეს, რომ ევროპაში დიდი თანაგრძნობა გვაქვს, დიდ მუშაობას აწარმოებენ ჩვენები მეორე ინტერნაციონალში და, საერთოდ, მუშათა წრეებში. აგრეთვე, მითხრეს, რომ, თუ ჩვენ შევძლებდით ძალაუფლების ხელში ჩაგდებას, მაშინ ევროპა გვპირდება, პირველ ხანებში დიპლომატიურ დახმარებას და შემდეგ ყოველგვარ დახმარებას, რათა ჩვენი ერი გავათავისუფლოთ.** აი, ასეთი ცნობები და დირექტივები მივიღე. მე დავეთანხმე, გამოსვლებში მიმეღო მონაწილეობა და ამის შემდეგ წავედი ზემო სვანეთში. გადავეცი ეს ამბავი ადგილობრივ ამხანაგებს, რომლებიც მუშაობდნენ. ზოგმა უარი სთქვა, ზოგმა უარყოფითად შეხედა, მაგრამ ფაქტი ის არის, რომ გამოვედი. როგორ გავატარეთ მუშაობა აჯანყების მოსამზადებლად წინდაწინ? ამის შესახებ მოგახსენებთ, რომ არავითარი მუშაობა ჩვენ არ გვჭიროდა, ხალხი სტიქიურად ისე იყო განწყობილი, რომ წინასწარი მუშაობა ზედმეტი იყო. ამისათვის, როდესაც მივიღეთ უკანასკნელად ამბები, რომ საქართველოში დანიშნულია 28-29 აგვისტოს საერთო გამოსვლები, ჩვენ გამოვედით. ეს წერილი მე მივიღე ბეჩოდან. ამის შემდეგ წავედი ბეჩოსკენ და... მთაზე დამხვდა ბრალდებული გაბლიანი. ჩავედი ბეჩოში, გავეცანი საბუთებს, რომელიც იყო მოსული ტფილისიდან, და მეორე დღესვე, დილით უკვე ავიღეთ სვანეთის აღმასკომი, ადმინისტრაცია და სხვა დაწესებულებანი. აქ ჩვენ რამდენიმე ხანი შევყევით ადგილობრივი საქმეების მოწესრიგებას, შევქმენით ერთგვარი აპარატი, რომ არ ჰქონოდა ადგილი რაიმე ექსცესებს, შევქმენით ისეთი წესი, რასაც მოითხოვს ლეგალური... შევქმენით შტაბი ერთგვარი. არჩევნები თითონ ხალხმა მოახდინა. მე დამნიშნეს გამოსვლების ხელმძღვანელად. **3 სექტემბერს გადავედით ქვემო სვანეთში. იქაც ასეთი სურათი დაგვხვდა. ხალხი იქაც ისე სტიქიურად იყო განწყობილი. იქაც მოხდა სწრაფი ლიკვიდაცია ადმინისტრაციის, ხელისუფლების. ჩვენ წავწიეთ წინ. მე თვითონ მივდიოდი წინ. ჩემთან ცოტა ძალა იყო, სულ 50 კაცი, დანარჩენი გავამგზავრეთ... წინ შეხვდნენ კომუნარები, ჩასაფრებული დახვდნენ, მაგრამ ვერ გაუძლეს ჩვენს იერიშს, გაიქცნენ და რამდენიმე კაცი ტყვედ ჩავიგდეთ.** ნაწილი გაიქცა ცაგერის მიმართულებით. ჩვენ დავედევნეთ გზად. თანდათან ვხვდებოდით ზოგს გამოქცეულს, ზოგს — გზააბნეულს. არავითარი ზომები მათ წინააღმდეგ არ ყოფილა მიღებული. ჩავედით ცაგერში, მაგრამ იქ ჩვენ გავიგეთ, რომ გადატრიალება არ არის, ჩაქრობილ იქნა აჯანყება. ჩვენ შემოვარტყით ალყა ცაგერს, დავიკავეთ სტრატეგიული ადგილები იმ მოსაზრებით, რომ, თუ შემთხვევა მოითხოვდა, წაგვეწია ქუთაისისკენ. აქ ერთი ხანი დავყავით, გვქონდა შეტაკება რუსის ჯართან და, როცა გავიგეთ, რომ არსაიდან გამოსავალი აღარ არის და აჯანყება ჩაქრა, სვანეთში დავბრუნდით იმ მოსაზრებით, რომ ვიცოდით, ქვემო სვანეთი გამაგრებული გვქონდა. მაგრამ მეორე ნაწილი სვანეთისა არ გვქონდა გამაგრებული და, თუ იქიდან ჯარი შემოგვესეოდა, ჩავრჩებოდით ტყვედ. ამ დროს **მოხდა შეტაკება რუსის ჯარებთან. უნდა აღვნიშნოთ, რომ ისინი სასტიკი იერიშით მოდიოდნენ, მაგრამ ვერაფერს გვაკლებდნენ. რუსის ჯარის ნაწილები გვივარდებოდა ხელში. ჩვენ იმათ განვაიარაღებდით და, თუ რომელიმე მათგანს ექიმობა ან სხვა რამე სჭირდებოდა, გვქონდა საამისოდ მშვენივრად მოწყობილი საექიმო პუნქტები და ვშველოდით. ამ დროს ზემო სვანეთიდანაც ჩამოვიდა ასორმოცდაათი კაცი. გადმოვიდნენ ჩვენთან სამეგრელოდან კალანდარაშვილი და ლაშქარი და გვითხრეს, რომ სამეგრელოში აჯანყება ჩაქრაო.** ამასთანავე, მივიღე გაზეთები, რომ საქართველოში აჯანყება ჩაქრაო. წავიკითხეთ დეკლარაციაც საქართველოს პარიტეტულ კომიტეტის მიერ ხელმოწერილი და, რაკი დავინახეთ, რომ საბაბი აღარ ჰქონდა ჩვენ მოქმედებას, ავიწიეთ ზემო სვანეთში და იმ გზას დავადექით, რომ საჭიროა მოქმედება ახლა საკუთარი ქურქის შესანახადო. და ასეთი წერილები დავუგზავნეთ ყველა აქტიურ მონაწილეს, რომ რუსის ჯარს აღარავითარი წინააღმდეგობა აღარ გაუწიოთო! ჩვენ იარაღი ჩავაბარეთ, რაზმი დავშალეთ და მე ტყეში გავედი. სანამ ეს მოწერილობა მოუვიდოდათ ჩვენს აქტიურ მუშაკებს, რუსის ჯარს შემოსვლა დაეწყო. ხალხი სტიქიურად შეტაკებოდა მათ და 9 კაცი მოეკლათ. მაგრამ ჩემი წერილი მისვლოდათ და გადაეცათ იარაღი. ამის შემდეგ იწყება მოლაპარაკება ჩემსა და მთავრობას შუა. იქ გამოგზავნეს ერთი რწმუნებული საგანგებო კომისიისა. იმან მნახა მე და, **რაკი აჯანყება ასე დამთავრდა, რაკი ამაში ჩემი აზრი გამტყუნდა, ახალ გზას დავადექი, შეუძლებელია ამ გზით სიარული. მე დავრწმუნდი, რომ ის ბრძოლა, რომელსაც მთელი ენერგიით, მთელი სიცოცხლით ვქმნიდი ოთხი წლის განმავლობაში, არ არის სწორი და ვგრძნობდი, თუ განვაგრძობდით, მეტ ზიანს მოვუტანდით ქვეყანას. ამიტომ ავირჩიე თანამშრომლობა საბჭოთა ხელისუფლებასთან ერის კულტურული და ეკონომიური აღმშენებლობისათვის.** მე დავთანხმდი ამაზე და, როცა გამოვიდა საგანგებო კომისიის რწმუნებული, მასთან გამოვცხადდი. მან მითხრა, თუ გულწრფელად აღიარებთ ყველაფერს, მთავრობა გაპატიებსო, გამოცხადდით მთავრობა-



ანტისაბჭოთა აჯანყების მონაწილენი

**«3 სექტემბერს გადავედით ქვემო სვანეთში. იქაც ასეთი სურათი დაგვხვდა. ხალხი იქაც ისე სტიქიურად იყო განწყობილი. იქაც მოხდა სწრაფი ლიკვიდაცია ადმინისტრაციის, ხელისუფლების. ჩვენ წავწიეთ წინ. მე თვითონ მივდიოდი წინ. ჩემთან ცოტა ძალა იყო, სულ 50 კაცი, დანარჩენი გავამგზავრეთ... წინ შეხვდნენ კომუნარები, ჩასაფრებული დახვდნენ, მაგრამ ვერ გაუძლეს ჩვენს იერიშს, გაიქცნენ და რამდენიმე კაცი ტყვედ ჩავიგდეთ»**

# „რაკი აჯანყება ასე დამთავრდა, რაკი ამაში ჩემი აზრი გამტყუნდა, ახალ გზას დავადექი, შეუძლებელია ამ გზით სიარული. დავრწმუნდი, რომ ის ბრძოლა, რომელსაც მთელი ენერგიით, მთელი სიცოცხლით ვქმნიდი ოთხი წლის განმავლობაში, დავრწმუნდი, რომ არ არის სწორი, და ვგრძნობდი, თუ განვაგრძობდით, მეტ ზიანს მოვუტანდით ქვეყანას. ამიტომ ავირჩიე თანამშრომლობა საბჭოთა ხელისუფლებასთან ერის კულტურული და ეკონომიური აღმშენებლობისთვის“.

გრიგოლ ონიანის საავტორო გვერდი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

◀შიო. მე ვთქვი, რომ ეს არის ჩემი გზა და გეუბნებით, რომ ამიერიდან თქვენ წინააღმდეგ ბრძოლაზე ხელს ვიღებ, მოვდივარ თქვენთან. ამ დროს **იყო ნაწილი ჯგუფების, რომელიც ცუდს მოელოდნენ კერძო ინტერესების გამო რევკომის თავმჯდომარისგან და პასუხისმგებელი პირებისგან და ამიტომ ისინი იყვნენ გასული ტყეში და, როდესაც მე მომიხდა ჩამოვლა, ჩამოვიყვანე ტყეში გასულები, მათ იარაღი ჩააბარეს მთავრობას. მთავრობასთან შევარიგე ისინი. მთავრობამ აპატია მათ. მე კი საგანგებო რწმუნებულთან ერთად წამოვედი ტფილისში. იმის შემდეგ მე ვთანამშრომლობ საბჭოთა მთავრობასთან და დღეს საბრალდებო სკამზე ვზივარ.**


ბიძინა პირველი

**თავმჯდომარე:** — თქვენ იყავით სვანეთისა და ლეჩხუმის სარდალი, ვინ დაგნიშნათ?

**პირველი:** — ხალხმა ამირჩია.

**თავმჯდომარე:** — სად, რანაირ პირობებში?

**პირველი**: — როდესაც მოხდა აჯანყება სვანეთში, სვანეთის ხალხმა აირჩია ხელმძღვანელად ის, ვისაც ენდობოდა.

**თავმჯდომარე:** — სვანეთისა და ლეჩხუმის ხალხმა?

**პირველი:** — სვანეთში, როდესაც აჯანყება მოხდა, მოიყარა თავი ხალხმა, მეც იქ ვიყავი და ხალხმა ამირჩია ხელმძღვანელად.

**თავმჯდომარე:** — როგორ გაიგეთ პარიტეტული კომიტეტის დაარსება?

**პირველი:** — მე 24 წლის ივნისამდი არ გამიგია.

**თავმჯდომარე**: — როდის ჩამოდით თქვენ ტფილისში?

**პირველი:** — 24 წელში.

**თავმჯდომარე:** — რომელ თვეში?

**პირველი:** — ივლისში.

**თავმჯდომარე:** — მაშინ გაიგეთ პირველად პარიტეტული კომიტეტის არსებობა?

**პირველი:** — დიახ.

**თავმჯდომარე:** — ვინ გითხრათ?

**პირველი:** — ჩემთან მოვიდა სტუდენტი **პატარიძე,** ვისთანაც მე ვმუშაობდი 17 წელში ქუთაისში. მან იცოდა, რომ მე ვიყავი ხელმძღვანელი სვანეთში გამოსვლების, იცოდა, რომ არავითარ ჯაშუშობას არ ჩავიდენდი, მენდობოდა და მითხრა: ასეთი მდგომარეობაა დღეს და შენი ნახვა უნდა ცეკას წევრს და უნდა ნახოო. მე ვინახულე **იასონ ჯავახიშვილი.**

**თავმჯდომარე**: — იცოდით, რომ იასონ ჯავახიშვილი იყო პარიტეტულ კომიიტეტის წევრი?

**პირველი**: — ვიცნობდი, როგორც ცეკას წევრს.

**თავმჯდომარე:** — პარიტეტულ კომიტეტის წევრს როდის შეხვდით?

**პირველი:** — იმ დღეებშივე.

**თავმჯდომარე:** — ვის და რანაირად ხვდებოდით?

**პირველი:** — პარიტეტული კომიტეტის თავმჯდომარე **კოტე ანდრონიკაშვილს.**

**თავმჯდომარე:** —კიდევ?

**პირველი**: — მეტს არავის.

**თავმჯდომარე:** — თქვენ იცოდით, რომ ის პარიტეტული კომიტეტის თავმჯდომარე იყო?

**პირველი:** — დიახ, მე გადმომცეს, რომ არსებობს პარიტეტული კომიტეტი და მიგიყვანთ მის თავმჯდომარესთანო.

**თავმჯდომარე:** — რამდენ ხანს დარჩით თქვენ ტფილისში?

**პირველი:** — 1-2 ... (არ ისმის).

**თავმჯდომარე:** — რა დავალებით წადით?

**პირველი:** — მე მათ განვუცხადე წინასწარ, თუკი გამოსვლები იქნება მთლიანი...

**თავმჯდომარე:** — ბრალდებულო! სასამართლო გეკითხებათ, კონკრეტულად, რა დაგავალათ პარიტეტულმა კომიტეტმა ანდრონიკაშვილის სახით?

**პირველი:** — მე მან დამავალა: თუ საქართველოში დაიწყება აჯანყება, ამას წინასწარ გაცნობებ და შეეცადე, სვანეთს გაუწიო ერთგვარი ხელმძღვანელობა და ორგანიზაციულად ჩამოაყალიბო მათი მოძრაობაო.

**თავმჯდომარე:** — სად უნდა მომხდარიყო აჯანყება, მხოლოდ საქართველოში თუ სად?

**პირველი:** — მთელ საქართველოში.

**თავმჯდომარე:** —კიდევ?

**პირველი:** — სხვაგან — არსად.

**თავმჯდომარე:** — თქვენ უჩვენეთ წინათ: პარიტეტული კომიტეტის წევრმა გადმომცა, რომ მოკლე ხანში მოხდება აჯანყება საქართველოში, დაღესტანში, აზერბაიჯანსა და სომხეთშიო.

**პირველი**: — მაგის შესახებ მოგახსენებთ, როდესაც მე დამკითხეს, მე ვუპასუხე, რომ აჯანყება უნდა მომხდარიყო მთელი საქართველოს მასშტაბით. როდესაც გამომძიებელი შემეკითხა, გითხრათ თუ არა თქვენ მან, რომ გამოსვლაში მონაწილეობას მიიღებს დაღესტანი, აზერბაიჯანი და სომხეთიო, მე ვუთხარი, ჩემთვის არაფერი არ უთქვამს და შეიძლება ეს იყოს ასე.

**თავმჯდომარე:** — როდესაც სასამართლო შეგეკითხათ, ვინ დაგნიშნათ სარდლად, თქვენ უპასუხეთ, რომ თვითონ ხალხმა აგირჩიათ. ჩვენებაში კი გაქვთ ნათქვამი, რომ პარიტეტულმა კომიტეტმა წინადადება მომცა, მიმეღო ხელმძღვანელობა სვანეთსა და ლეჩხუმშიო.

**პირველი:** — საზოგადოდ, მე მოგახსენებთ, რომ ვიყავი გამოსვლების ხელმძღვანელი. მე აქედან ეს დავალება მქონდა. მაგრამ მე ამით არ დავკმაყოფილდებოდი, რომ ნდობა ხალხის არ ყოფილიყო. მე ეს საკითხი დავსვი ბეჩოში, როდესაც ხალხმა შეიყარა თავი. მე ვუთხარი მათ: ამოირჩიეთ ხელმძღვანელი და მათ ამირჩიეს მე.

**თავმჯდომარე:** — მე გეკითხებით თქვენ, ვინ დაგნიშნათ პირველად სვანეთის და ლეჩხუმის სარდლად? პარიტეტულმა კომიტეტმა აქედანვე გითხრათ, რომ იქნებით სვანეთისა და ლეჩხუმის ხელმძღვანელი?

**პირველი:** — **პარიტეტულმა კომიტეტმა მითხრა: შენ წადი სვანეთში, ჩვენ გაცნობებთ აჯანყების დროს და მაშინ გაუწიე ხელმძღვანელობა სვანეთში გამოსვლებს. ეს ასე იყო. მე ამას არ უარვყოფ.**

**თავმჯდომარე:** — თქვენ ადასტურებთ, რომ პარიტეტულმა კომიტეტმა წინასწარ დაგავალათ, მიგეღოთ სვანეთში და ლეჩხუმში რაზმების სარდლობა?

**პირველი:** — დიახ, სვანეთის.

**თავმჯდომარე:** — ვინ აწარმოებდა სვანეთში აღრიცხვას?

**პირველი:** — არ ყოფილა აღრიცხვა.

**თავმჯდომარე:** — თქვენ სარდალი იყავით და არ იცოდით, რა ძალა გყავდათ?

**პირველი:** — მე ვიცოდი, რომ მთლიანად მთელი სვანეთის ხალხი...

**თავმჯდომარე:** — მე გეკითხებით შეიარაღებულ ძალაზე და არა მცხოვრებლებზე. რამდენი შეიარაღებული ძალის იმედი გქონდათ?

**პირველი**: — 600 კაცის.

**თავმჯდომარე:** — არავითარი წინასწარი აღრიცხვა არ ყოფილა?

**პირველი**: — მე ვიყავი იქ 1921 წ[ელს], როდესაც გამოსვლები მოხდა, მერმედ თვითონ მთავრობასთან ვმუშაობდი. მე ვიცნობ მთელი სვანეთის ვაჟკაცებს, ვიცოდი, რას წარმოადგენდა თითოეული მათგანი, თუ რა იქნებოდა მათგან.

**თავმჯდომარე:** — მაშასადამე, თქვენი ანგარიშით, უნდა გამოსულიყო 600 კაცი, რამდენი გამოვიდა?

**პირველი:** — თითქმის არაფერი ჰკლებია.

**თავმჯდომარე:** — თქვენ თუ იცით, ვინ მოიტანა ბეჩოში წერილი ტფილისიდან?

**პირველი:** — ეს მოიტანა ერთმა სვანმა, არ ვიცი ჩარლიანმა თუ ფირცლიანმა.

**თავმჯდომარე:** — თქვენ წაიკითხეთ ეს წერილი?

**პირველი:** — წავიკითხე.

**თავმჯდომარე:** — რა ეწერა შიგ?

**პირველი:** — ის, რომ საქართველოში ხდება გამოსვლები, მთლიანი საქართველოს მასშტაბით. აგრეთვე, აღნიშნული იყო, დახმარებას გაგვიწევს ევროპაო.

**თავმჯდომარე:** — მაშასადამე, იყო, რომ ამ დღისთვის არის გამოსვლები დანიშნული და დაგვეხმარება ევროპაო. ვისი ხელმოწერილი იყო ეს წერილი?

**პირველი:** — პარიტეტული კომიტეტის.

**თავმჯდომარე:** — ხელს ვინ აწერდა?

**პირველი**: — ფსევდონიმები იყო მოწერილი და მე მგონი, პარიტეტულ კომიტეტს ეკუთვნოდა.

**ღვამიჩავა (დამცველი): —** თქვენ მოახსენეთ სასამართლოს, რომ მოგიხდათ შეხვედრა კალანდარაშვილებთან — შალვასა და აკაკისთან. ესენი, ორივე ძმა, შეიარაღებული იყვნენ თუ არა?

**პირველი:** — არა, იარაღი არ ჰქონდათ.

**ღვამიჩავა:** — ესენი შეიარაღებულ რაზმელებთან ერთად მოვიდნენ თუ ცალკე?

**პირველი:** — ცალკე და უიარაღოდ.

**ღვამიჩავა:** — მეორე ჯგუფს კი იარაღი ჰქონდა?

**პირველი**: — მეორე ჯგუფს კი.

**ღვამიჩავა:** — ესენი ბრძოლის მომხრენი იყვნენ თუ პირიქით?

**პირველი:** — ისინი ამბობდნენ, სამეგრელოში გამოსვლები ჩამქრალია და ახლა ბრძოლა აღარ ღირსო.

**ღვამიჩავა:** — ისინი მომხრე იყვნენ შერიგებისა?

**პირველი:** — რასაკვირველია.

**(გაგრძელება შემდეგ ნომერში)**



**«მოხდა შეტაკება რუსის ჯარებთან. უნდა აღვნიშნოთ, რომ ისინი სასტიკი იერიშით მოდიოდნენ, მაგრამ ვერაფერს გვაკლებდნენ. რუსის ჯარის ნაწილები გვივარდებოდა ხელში. ჩვენ იმათ განვაიარაღებდით და, თუ რომელიმე მათგანს ექიმობა ან სხვა რამე სჭირდებოდა, გვქონდა საამისოდ მშვენივრად მოწყობილი საექიმო პუნქტები და ვუვლიდით. ამ დროს ზემო სვანეთიდანაც ჩამოვიდა ასორმოცდაათი კაცი. გადმოვიდნენ ჩვენთან სამეგრელოდან კალანდარაშვილი და ლაშქარი და გვითხრეს, რომ სამეგრელოში აჯანყება ჩაქრაო»**

## გამოვიდა II ტომი




## ყურადღება!

„ბიბლუსისა“ და „ლიბრას“ მაღაზიათა ქსელში, აგრეთვე, მეტროპოლიტენის სადგურებთან: „მარჯანიშვილი“, „რუსთაველი“, „თავისუფლების მოედანი“ შეგიძლიათ შეიძინოთ საერთაშორისო ორგანიზაცია „სტალინის“ თავმჯდომარის, ბატონი გრიგოლ ონიანის წიგნი „სტალინი“, რომელშიც თავმოყრილია ფაქტობრივი მასალები კაცობრიობის ისტორიაში უდიდესი პოლიტიკოსის, დიპლომატისა და მხედართმთავრის — სტალინის შესახებ.

ვაი ჭკუისაგან

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„ჩინეთისთვის, როგორც ჩანს, თავისი ექსპანსიის გასაფართოებლად და ევროკავშირთან ვაჭრობის გასამარტივებლად უაღრესად მნიშვნელოვანია საქართველო და მზად არის, რეგიონის გასავითარებლად თანხა არ დაიშუროს“.**

# ივანიშვილის გურჯისტანს ჩინელები ეპატრონებიან

## საქართველოს ჩინეთიზაცია გადამწყვეტ ფაზაში შედის

**საქართველოში დღეს მოდურია რუსულ პროპაგანდასა და რუსეთზე, როგორც უდიდეს საფრთხეზე, საუბარი. ამ მხრივ განსაკუთრებით „ნაციონალური მოძრაობა“ და მისი სატელიტი პარტიები გამოირჩევიან, აგრეთვე, ე.წ. არასამთავრობო ორგანიზაციები, რომლებსაც უცხო ქვეყნები აფინანსებენ თავიანთი ინტერესების გასატარებლად. ამასთანავე, საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლებთან ერთად ეწევიან პროპაგანდას, რომ საქართველოს ხსნა ე.წ. დასავლური ფასეულობების დამკვიდრებაშია, რომ ევროკავშირში შესვლით საქართველოს ეკონომიკა აყვავდება, ხოლო ნატოს წევრობის შემდეგ ჩვენს უსაფრთხოებაზე ეს ჩრდილოატლანტიკური ალიანსი იზრუნებს, მაგრამ ხალხს ამ ტყუილების, კარგა ხანია, აღარ სჯერა.**

თუმცა, როგორც ირკვევა, საქართველოს ყველაზე დიდი საფრთხე ჩინეთისგან ემუქრება. ამას მოწმობს კარნეგის მოსკოვური ცენტრის* მიერ გამოქვეყნებული ანალიტიკური წერილი, რომელშიც სხვა, ჩვენთვის არცთუ სასიამოვნო ინფორმაციასა და მონაცემთან ერთად წერია: საქართველომ თავისი პროდუქტები ევროპის ბაზარზე რომ გაიტანოს, 25 ათასი(!) სტანდარტი უნდა შეცვალოს და ევროპულს შეუსაბამოს. ამასთანავე, წერილში აღნიშნულია, როგორი მასშტაბითა და გამალებით მიმდინარეობს ჩინეთის ექსპანსია საქართველოში.

გთავაზობთ ამონარიდებს კარნეგის ცენტრის მიერ გამოქვეყნებული მასალიდან:

**„საქართველო**

მშპ ქვეყნისა, რომლის მოსახლეობაც შეადგენს 3,7 მლნ-ს და ესაზღვრება რუსეთს, აზერბაიჯანს, სომხეთსა და თურქეთს, 35 მლრდ-ზე მეტია, მაგრამ საგარეო ვაჭრობის ძალიან დაბალი მაჩვენებელი აქვს: 2015 წელს ამ ქვეყნის ექსპორტმა ძლივს მიაღწია 2,2 მლრდ-ს, რაც 37%-ით ნაკლებია 2014 წლის მაჩვენებელზე. იმპორტის მაჩვენებელი კი გაცილებით დიდია და 7,7 მლრდ დოლარს შეადგენს.

**საქართველოში ძალიან მაღალია ეკონომიკური დიფერენციაციის დონე. უმუშევრობა 13%-ს აღწევს, ეკონომიკის დიდი ნაწილი ჩრდილოვანია.** თანახმად ევროპის პოლიტიკური კვლევითი ცენტრის ანგარიშისა, რომელიც მოამზადეს **მაიკლ ემერსონმა** და **თამარ კოვზირიძემ**, უმუშევართა დიდი რაოდენობის მინიმალურ შემოსავალსა და ეკონომიკურ დაცვას სოფლის მეურნეობა უზრუნველყოფს. სოფლის მეურნეობაში დასაქმებულთა უმრავლესობა ინდივიდუალური ფერმერია, რომლებსაც არც უნარი აქვთ და არც რესურსი პროდუქტიულობის ახალ დონეზე გასასვლელად. საქართველოში 642 ათასი ფერმერული მეურნეობაა — ძირითადად, პატარა, ფრაგმენტული საოჯახო ფერმები. სასოფლო-სამეურნეო სავარგულების მაღალი დონის (რომლებიც, ძირითადად, კერძო საკუთრებაა) ფრაგმენტაცია ართულებს ინვესტიციებს, რადგან ინვესტორებს უწევთ მიწის გამოსყიდვა მესაკუთრეებისგან.

ამასთანავე, **საქართველოს სოფლის მეურნეობას არ ჰყოფნის კვალიფიციური კადრები, კაპიტალი; მათთვის ნაკლებად ხელმისაწვდომია ვეტერინარული და მცენარეთა დაცვის სამსახურები. საქართველოს სოფლის მეურნეობის პროდუქტიულობის მაჩვენებელი ევროკავშირის წამყვანი ქვეყნების მაჩვენებლის მესამედზე ნაკლებია. ბოლო 15 წლის განმავლობაში საქართველოში სურსათის მნიშვნელოვანი ნაწილი იმპორტირებულია, მიუხედავად იმისა, რომ საკვები პროდუქტების იმპორტი შემცირდა, ის მაინც მაღალია — 12%.**

იმპორტზე ასეთი დამოკიდებულება იწვევს მიმდინარე ოპერაციების ანგარიშის დეფიციტს (ქვეყნის მიმდინარე ოპერაციების ანგარიშების დეფიციტი უცვლელად მაღალია, 2015 წელს მან მაქსიმუმს მიაღწია და მშპ-ს 12% შეადგინა), რაც ქვეყნის სტაბილურობას უქმნის საფრთხეს. ბოლო ხანს იმპორტზე დამოკიდებულება კომპენსირდება უცხოური პირდაპირი ინვესტიციებით, უცხოეთში მომუშავე საქართველოს მოქალაქეების გადმორიცხვებით, ლარის გაუფასურებით და, საბოლოო ჯამში, სახელმწიფოს ვალის მატებით.

პოლიტიკური კვლევითი ცენტრის ანგარიშში ნათქვამია: **„ჩვენ ვვარაუდობთ,**



**ევროკავშირთან საქართველოს მზარდი ურთიერთობის მიუხედავად, ქვეყნის ეკონომიკა მნიშვნელოვნად ვერ გაუმჯობესდა. 2014 წლიდან, DCFTA-ს (თავისუფალი ვაჭრობის ღრმა და ყოვლისმომცველი ზონის შექმნაზე შეთანხმება) ამოქმედების შემდეგ, არც ერთი ქართული პროდუქტი, კივის გარდა, ევროპის ბაზარზე არ გასულა. მიზეზი: ევროპელთა აზრით, ქართული პროდუქტები ვერ აკმაყოფილებს ევროპის სტანდარტების მოთხოვნებს კვების პროდუქტების უვნებლობაზე**

**რომ 2017—2019 წლებში სახელმწიფოს ვალი უფრო მოიმატებს, ვიდრე ამაზე ბიუჯეტის დეფიციტის მიხედვით შეიძლება მსჯელობა, და მიაღწევს მშპ-ს 3,5%-ს. მიუხედავად ამისა, ვალისა და მშპ-ს შეფარდების დინამიკა კვლავ საიმედოა და, მოსალოდნელია, რომ ვალის წილი ეკონომიკაში შემცირდება 2018 წელს, პიკის შემდეგ.**

ასეთ ვითარებაში გათვალისწინებული უნდა იყოს რისკები, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, თუ მშპ-ს რეალური ან ნომინალური ზრდა მოსალოდნელზე ნაკლები იქნება.



**ბოლო წლებში საქართველოს ექსპორტი შემცირდა, ისევე, როგორც მოქალაქეთა გადმორიცხვები, განსაკუთრებით — რუსეთიდან, სადაც ბევრი ქართველი ცხოვრობს და მუშაობს.** პირდაპირი უცხოური ინვესტიციები კი ყველაზე მნიშვნელოვანი წყაროა სავაჭრო ბალანსის დეფიციტის აღმოსაფხვრელად. 2013—2015 წლებში პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ფარავდა საქართველოს მიმდინარე ოპერაციების ანგარიშების დეფიციტის 4/5-ს. ეს ინვესტიციები მიმართული იყო ენერგეტიკული სექტორისკენ, მათ შორის, სამხრეთი კავკასიის გაზსადენის გაფართოებაზე.

ექსპერტთა შეფასებით, მხოლოდ ამ პროექტიდან შემოდიოდა პირდაპირი უცხოური ინვესტიციების 40%. პირდაპირი უცხოური ინვესტიციების წილი ქვეყნის მიმდინარე ოპერაციების ანგარიშებში ახლაც დიდია და, თუ უცხოელი ინვესტორები ქვეყნიდან წასვლას გადაწყვეტენ ბიზნესგარემოს გაუარესების ან სხვა მიზეზის გამო, ეს საფრთხეს შეუქმნის სახელმწიფოს...

დიდია რუსეთის ინტერესი ამ რეგიონის მიმართ, რომელშიც კომპანია „იტერამ“ ჯერ კიდევ 1990-იან წლებში შეისყიდა ბუნებრივი აირის სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა, აგრეთვე, გადამმუშავებელი საწარმოები და ბუნებრივ აირს აწვდიდა ქვეყანას. ევროკავშირის ქვეყნები კი არ ჩქარობდნენ საქართველოსთან დაახლოებას. მიუხედავად იმისა, რომ **2008 წელს ბუქარესტში გამართულ ნატოს სამიტზე საქართველოს დაჰპირდნენ ჩრდილოატლანტიკური ალიანსის წევრობას, ქვეყანამ ამ ორგანიზაციაში შესვლის სასურველი გეგმა ვერ მიიღო. ევროკავშირთან უვიზო რეჟიმიც, დაპირებების მიუხედავად, რომელიც ჩადებული იყო ასოცირების ხელშეკრულებაში 2014 წელს, მხოლოდ 2017 წელს მისცეს.**

თუმცა საქართველოში გამოჩნდა ახალი მოთამაშე, რომელიც ისე გაბედულად მოქმედებს, რომ რუსეთმაც კი შეანელა აქტიური მოქმედება.

ტრანსკასპიური საერთაშორისო სატრანსპორტო მარშრუტი, 4766-კილომეტრიანი ნაწილი სატრანსპორტო დერეფნისა ჩინეთი-თურქეთი-ევროპა (TRACEKA) — ეს არის ჩინური პროექტი, რომელშიც მონაწილეობენ ჩინეთი, აზერბაიჯანი, საქართველო, ყაზახეთი, თურქეთი და უკრაინა. ეს მარშრუტი დანახარჯების შემცირების მხრივ ეფექტიანია ჩინეთისთვის. **ახალქალაქიდან თურქეთის ყარსამდე სარკინიგზო მაგისტრალის საფინალო ეტაპის მშენებლობა დასასრულს მიუახლოვდა და სამუშაოების დასრულების შემდეგ საქართველო უმნიშვნელოვანესი სატრანზიტო კვანძი იქნება ჩინეთიდან — საქონლის, კავკასიიდან და შუა აზიიდან — ნახშირწყალბადების, შუა აზიიდან სურსათის ტრანსპორტირებისთვის ევროპაში.**

**ჩინეთისთვის, როგორც ჩანს, თავისი ექსპანსიის გასაფართოებლად და ევროკავშირთან ვაჭრობის გასამარტივებლად უაღრესად მნიშვნელოვანია საქართველო და ამისთვის მზად არის, თანხა არ დაიშუროს რეგიონის გასავითარებლად.**

ჩინეთი უკვე ჩართულია საქართველოს ჯანდაცვისა და ინფრასტრუქტურის პროექტებში, ავლენს ინტერესს სამთომომპოვებელი დარგის პროექტების მიმართ, იზრდება საქართველოში მომუშავე ჩინური კომპანიების რაოდენობა, მნიშვნელოვნად მოიმატა ჩინურმა პირდაპირმა ინვესტიციებმა. ჩინური ენერგეტიკული კომპანია CEFC China დაინტერესდა საქართველოში ინვესტიციების ჩადებით. კორპორაცია Dongfang Electric-მა ვალდებულება დაიკისრა, 200 მლნ ჩადოს ტყიბულის თბოელექტროსადგურის მშენებლობაში. ჩინეთმა ოფიციალურად განაცხადა თავისი ტვირთების ტრანსპორტირებაზე ფოთის პორტის გავლით. ჯგუფი Hualing-ი მუშაობს თავისუფალი ინდუსტრიული ზონის შექმნაზე ქუთაისში, რომელიც ახლოსაა ღრმაწყლიან პორტ ანაკლიასთან და პროექტის ფაზაში მყოფი პორტი, რომლიდანაც 40 მლნ ტონა ტვირთი უნდა გადაიზიდოს, ჩინელი ექსპერტების თქმით, მნიშვნელოვან როლს შეასრულებს აბ- ▶

### ცნობისთვის:

**ჯერ კიდევ 2007 წლის ივლისში „კავკაზუს პრესი“ იუწყებოდა, რომ, სოციოლოგიისა და დემოგრაფიის ინსტიტუტის მაღალი რანგის თანამშრომლის ცნობით, საქართველოში 50 000-დან 60 000-მდე ჩინელი ცხოვრობს. 2014 წლის 1 სექტემბრიდან საქართველომ უცხო ქვეყნის მოქალაქეებისთვის სავიზო რეჟიმი გაამკაცრა, მაგრამ 2014 წლის 1 სექტემბრიდან დღემდე საქართველოში შრომითი ბინადრობის ნებართვა 22 362 არარეზიდენტ პირს მიენიჭა. ეს ოფიციალური სტატისტიკაა, მაგრამ გამორიცხული არ არის, რომ ქვეყანაში უფრო მეტი უცხოელი მუშაობდეს. ეს იმ დროს, როდესაც საქართველოს მოქალაქეები სამუშაოდ უცხო ქვეყანაში მიდიან.**



**გერმანიას არ აქვს შესაძლებლობა, რეკეტირს კბილები დაუხრჭიალოს. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ქვეყანამ ვერ დაიბრუნა ძველი სამხედრო ძლიერება, მისი სპეცსამსახურები კი, რომლებიც ამერიკელებმა შექმნეს, ამერიკელების ინტერესების გატარებას ემსახურებიან... ასე რომ, დღეს, ისევე, როგორც დაახლოებით 70 წლის წინათ, გერმანელთა ხვედრი თანამედროვე მსოფლიოში ასეთია — იმუშავე, გადაიხადე და მოინანიე.**

ვაი ჭკუისაგან
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

## სხვათა შორის:

ჩინელებმა ანგოლის დედაქალაქ ლუანდიდან 30 კმ-ის დაშორებით 2012 წელს ააშენეს ქალაქი ნოვა სიდად დე კილამბა, რომელიც 500 ათას მცხოვრებზეა გათვლილი. მშენებლობა 3,5 მლრდ დოლარი დაჯდა, მაგრამ ქალაქში ანგოლელები თითქმის არ ცხოვრობენ, რადგან ბინების ფასი ძალიან მაღალია — 120-დან 200 ათას დოლარამდე. ამდენი ფული კი ანგოლელების უმრავლესობას, რომელთა ყოველდღიური შემოსავალი 2 დოლარია, არ აქვს.



◀რეშუმის გზის ეკონომიკურ სარტყელში, როგორც სატრანსპორტო კვანძი ჩინური საქონლის გასატანად ევროპაში. იმავე ჯგუფმა ჩადო ინვესტიცია საფინანსო სექტორში — გააერთიანა „ბანკი რესპუბლიკა“ და „ბაზისბანკი“, მიიღო აქციების საკონტროლო პაკეტი და ახალი ბანკის სამეთვალყურეო საბჭოში ხმების უმრავლესობა აქვს.

**2014 წელს საქართველოსა და ჩინეთს შორის სავაჭრო მოცულობამ თითქმის მილიარდ დოლარს მიაღწია, პირდაპირმა ინვესტიციებმა კი — 0,53 მილიარდს. შედეგად, ჩინეთი ვაჭრობის მოცულობის მხრივ საქართველოსთვის რიგით მეოთხე პარტნიორად იქცა, ინვესტიციების მხრივ კი — მესამედ.**

2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ საქართველომ გაწყვიტა დიპლომატიური ურთიერთობა რუსეთთან და ახლა ჩინეთთან კარგ ურთიერთობას რეგიონში რუსეთის დომინირების საპირწონედ მიიჩნევს — ჩინეთს განიხილავს, როგორც უხმო მცველს პროევროპული პოლიტიკის რეალიზების პროცესში.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში განუხრელად იზრდება ჩინეთის გავლენა, ეს გავლენა მაინც შეზღუდულია.

2012 წლიდან ოფიციალურმა თბილისმა განაახლა არაფორმალური ეკონომიკური და სავაჭრო ურთიერთობები მოსკოვთან და აწარმოებს მოლაპარაკებებს თანამშრომლობის გაფართოებაზე ყველა სფეროში. ქართველი მაღალჩინოსნები მსჯელობენ მტკივნეულ საკითხებზეც, მათ შორის, საბაჟო კავშირში შესვლაზეც... რუსეთის გავლენა საქართველოს ეკონომიკაზე ნელ-ნელა სუსტდება, რუსეთის ტრადიციული მიდგომა საქართველოსადმი კი ეფექტიანად ველარ მუშაობს — სავარაუდოდ, იმ მხარდაჭერის გამო, რომელსაც ქვეყანა ჩინეთისგან იღებს. ამ ევოლუციას ნათლად წარმოაჩენს ქართული ღვინოებისა და მინერალური წყლების გარშემო შექმნილი ვითარება. რუსეთი კვლავაც №1 მომხმარებელია საქართველოსთვის. ძირითადად, იმიტომ, რომ ქართული ღვინოების დიდი ნაწილი ევროპელთათვის უცნობი ყურძნის ჯიშებისგან მზადდება, ხოლო ქართული მეღვინეების მარკეტინგი ევროპაში გამართული არ არის. დიდ როლს თამაშობს ფასიც: საქართველოს ზვრებში 1 ჰექტარზე მოსავლიანობა ნაკლებია დასავლეთ ევროპელ კონკურენტებთან შედარებით. ეს აისახება ფასზეც — მაგალითად, ბრიტანეთში ქართული „საფერავი“ საშუალოდ 15,3 დოლარი ღირს, განთქმული ფრანგული კაბერნე-სავინიონი კი — 9 დოლარი. ამის მიუხედავად, ქართულ ღვინოებს აღმოსავლეთში გასაგზავნად ამზადებენ.

საქართველოსა და ჩინეთს შორის შეთანხმება თავისუფალი ვაჭრობის შესახებ 2017 წლის ზაფხულში უნდა ამოქმედდეს. ქართულ ღვინოებს ბაჟის 48,5% გაუუქმდება და ეს გამოიწვევს ექსპორტის მომატებას ჩინურ ბაზარზე.

მეორე მხრივ, **ევროკავშირთან საქართველოს მზარდი ურთიერთობის მიუხედავად, ქვეყნის ეკონომიკა მნიშვნელოვნად ვერ გაუმჯობესდა. DCFTA-ს** (თავისუფალი ვაჭრობის ღრმა და ყოვლისმომცველი ზონის შექმნაზე შეთანხმება) **ამოქმედების შემდეგ (2014 წ.) არც ერთი ქართული პროდუქტი, კივის გარდა, ევროპის ბაზარზე არ გასულა. მიზეზი: ევროპელთა აზრით, ქართული პროდუქტები ვერ აკმაყოფილებს ევროპის სტანდარტების მოთხოვნებს კვების პროდუქტების უვნებლობაზე.**

**ევროკავშირი ითხოვს პროდუქტების უვნებლობის შესახებ 201 წესის, 84 ვეტერინარული სტანდარტისა და მცენარეთა დაცვის 84 სტანდარტის შეცვლას, რაც წარმოუდგენელია საქართველოს დაქუცმაცებული სოფლის მეურნეობის ფონზე.**

**DCFTA ითხოვს, რომ საქართველომ მიიღოს ევროკავშირის სტანდარტები და საკანონმდებლო პრინციპები 5 წლის განმავლობაში — შეთანხმების მიხედვით, ეს არის 25 ათასი ევროპული სტანდარტი, საქართველომ, აგრეთვე, უნდა გააუქმოს თავისი სტანდარტები, რაც გამოიწვევს ბევრი პროდუქტის წარმოების შეჩერებას და უზარმაზარი ინვესტიციის საჭიროებას. ევროკავშირი კი არც მიანიშნებს, რომ აპირებს ამ ცვლილებებისთვის საჭირო თანხის გამოყოფსა საქართველოსთვის.**

როგორც ჩანს, ჩინეთის ჩართულობა საქართველოს ეკონომიკურ პროცესებში ნელ-ნელა ცვლის ძალების განლაგებას კავკასიის რეგიონში და არ არის გამორიცხული, ჩინეთის გავლენა მეზობელ სახელმწიფოებზეც გავრცელდეს, რომლებშიც დაინახავს თავის ეკონომიკურ ინტერესებს. ჩინეთის მხრიდან ასეთ ქვეყნებთან ურთიერთობის პოლიტიკა ემყარება ევროპულ რბილ ძალასა და ადგილობრივი თავისებურებებისა და სტანდარტების გათვალისწინების რუსულ სტილს. ჩინეთის უნარი, დაიცვას თავისი მოკავშირეები, არავის შეუმოწმებია, მაგრამ ისეთი შთაბეჭდილება რჩება, რომ რუსეთის მმართველი ელიტა ჩინეთის მხრიდან ძალოვანი დახმარების ალბათობას უფრო მეტად აფასებს, ვიდრე ევროკავშირის მხრიდან.

ყოველ შემთხვევაში, საკმაოდაა მაგალითი იმისა, როგორ თქვა უარი ევროკავშირმა თავისი ვალდებულებების შესრულებაზე და მოკავშირეები, პირდაპირი და გადატანითი მნიშვნელობით, ცეცხლის ქვეშ დატოვა“.

* * *

ბევრ რამეს, რაც კარნეგის ცენტრის მასალაშია მოყვანილი, ჩვენ, საქართველოს მოქალაქეები, ყოველდღიურად ვხედავთ: რომ თბილისი, ბათუმი და სხვა ქალაქები გადავსებულია უცხო ქვეყნის მოქალაქეებით, რომლებიც ცენტრალურ უბნებში ხსნიან რესტორნებსა და საროსკიპოებს; რომ მნიშვნელოვნად მოიმატა საქართველოში მომუშავე ჩინური კომპანიების რაოდენობამ, ინვესტიციებმა; რომ ჩინელები საქართველოში აშენებენ მიკრორაიონებს, ჰიდროელექტროსადგურებს, გოლფის მოედნებს, სათბურებს, სარკინიგზო გვირაბებს, ქუთაისში — თავისუფალ ეკონომიკურ ზონას, თვალი დაადგეს ანაკლიის პორტს; როგორც მონებს, ისე ეპყრობიან ადგილობრივებს, რომლებიც სამუშაოების შესასრულებლად ჰყავთ დაქირავებული (გაიხსენეთ, ზვარეს ინციდენტი) და მიზერულ თანხას უხდიან და ა.შ. რა თქმა უნდა, ინვეტიციების ჩადებისა და მშენებლობის წინააღმდეგი არავინ არის, მაგრამ ეს არ უნდა ხდებოდეს მკვიდრი მოსახლეობის იგნორირების ხარჯზე. არადა, საქართველოში ეს ხდება მოსახლეობის დიდი ნაწილის უმუშევრობის, გაღატაკებისა და ქვეყნის დემოგრაფიული კატასტროფის ფონზე. ახლა ამას დაემატება ე.წ. ვიზალიბერალიზაცია და უცხოეთში ლუკმაპურის საშოვნად გადახვეწილ უამრავ ქართველს, კიდევ ასიათასობით თანამემამულე შეუერთდება. ხოლო, თუ იმასაც გავითვალისწინებთ, როგორ იყიდება მიწა უცხოელებზე, ისედაც დემოგრაფიული კატასტროფის წინაშე მდგარ საქართველოში მალე ქართველი აღარ დარჩება.

**ნიკა კორინთელი**

*** კარნეგის მოსკოვური ცენტრი — ეს არის ანალიტიკური ცენტრი, რომელიც იკვლევს რუსეთის საშინაო და საგარეო პოლიტიკას, აგრეთვე, საზოგადოების, საერთაშორისო ურთიერთობებისა და უსაფრთხოების პრობლემებს. ეს არის ფილიალი ენდრიუ კარნეგის სახელობის ფონდისა საერთაშორისო მშვიდობისთვის — მსოფლიოში პირველი გლობალური სამეცნიერო-კვლევითი ორგანიზაციისა, რომელიც დაარსდა 1910 წელს.**



# აშშ-მა გერმანია «მეწველ ძროხად» აქცია



## ამერიკელებმა გადაწყვიტეს, დემონსტრაციულად «მოწველონ» მდიდარი მოკავშირეები

**აშშ-ში გერმანიის კანცლერის — ანგელა მერკელის ვიზიტის შედეგები და გერმანული საავტომობილო კომპანიების გარშემო ატეხილი სკანდალი ექსპერტებს აიძულებს, იფიქრონ, რომ ვაშინგტონს სურს, თავის ყველაზე ერთგულ, მდიდარ, ამასთანავე, პრაქტიკულად დაუცველ მოკავშირეს ბევრი მილიარდი დოლარი წაართვას.**

უკვე პრაქტიკულად გადაწყვეტილია საკითხი, რომ საავტომობილო გიგანტი „ფოლკსვაგენი“ ჯარიმას, 4,3 მლრდ დოლლარს, გადაუხდის აშშ-ის იუსტიციის სამინისტროს, რათა ამ უწყებამ შეწყვიტოს თაღლითობაში დადანაშაულებული „კოშმარული“ გერმანული ქარხნების ჩხრეკა-შემოწმება. კონცერნს, რომელიც, თავისი „ფოლკსვაგენების“ გარდა, ფლობს „აუდისა“ და „პორშეს“, ავტომობილების გამონაბოლქვის მონაცემის შემცირებაში ადანაშაულებდნენ და მას აშშ-ის იუსტიციის სამინისტრო დახურვით ემუქრებოდა. ასე რომ, ფაქტობრივად, ლაპარაკია გერმანიის ნაციონალურ ინდუსტრიაზე.

გასულ კვირას დაახლოებით 100 სამართალდამცველმა ჩაატარა შემოწმება „აუდის“ შტაბ-ბინაში — ინგოლშტადში, აგრეთვე, ვოლფსბურგის ბაზასა და ქარხანა Neckarsulm-ში. შემოწმებისას გაჩხრიკეს კომპანიის 47 თანამშრომლის პირადი ნივთები, მათ შორის, „აუდის“ გენერალური დირექტორის — **რუპერტ შტადლერის.**

ამერიკელებმა გერმანელები უკვე აიძულეს, ეღიარებინათ დანაშაული, რომ შეცდომაში შეიყვანეს მომხმარებელი, როდესაც ავტომობილზე დამონტაჟეს, რომ ხელს უშლიდნენ მართლმსაჯულებას სიმართლის დადგენაში, არღვევდნენ კანონს ჰაერის სისუფთავის შესახებ. ამრიგად, სწორედ ჰაერით შეივსება აშშ-ის ხაზინა 4 მილიარდზე მეტი დოლარით.

მადა ჭამაში მოდისო და, გერმანული გადასახადის გადამხდელებს მალე მოუწევთ ქამრების შემოჭერა. 18 მარტს **დონალდ ტრამპმა განაცხადა, რომ გერმანიას ნატოსა და ამერიკის უზარმაზარი ვალი აქვს.**

**„მე შესანიშნავი შეხვედრა მქონდა გერმანიის კანცლერ ანგელა მერკელთან, მიუხედავად ამისა, გერმანიამ უზარმაზარი თანხა უნდა გადაუხადოს ნატოსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს. საჭიროა მეტი თანხის გაღება ძალიან მძლავრი და ძვირად ღირებული თავდაცვისთვის, რომლითაც ჩვენ უზრუნველვყოფთ გერმანიას“,** — დაწერა დონალდ ტრამპმა სოციალურ ქსელში. ამ განცხადების ცინიკურობა ნათელია ყველასთვის, ვინც ცოტაოდენი რამ მაინც იცის, თუ როგორ მოაწყვეს ომისშემდგომი გერმანია ანტიჰიტლერული კოალიციის ყოფილმა მოკავშირეებმა.

სხვა დიდი და მდიდარი ევროპული ქვეყნებისგან განსხვავებით, **გერმანიას არ აქვს შესაძლებლობა, რეკეტირს კბილები დაუხრჭიალოს. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ქვეყანამ ვერ დაიბრუნა ძველი სამხედრო ძლიერება, მისი სპეცსამსახურები კი, რომლებიც ამერიკელებმა შექმნეს, ამერიკელების ინტერესების გატარებას ემსახურებიან.**

ტრამპთან შეხვედრისას ან, საერთოდ, მერკელს სიტყვა რომ დაეძრა გერმანიის სუვერენიტეტსა და ნაციონალურ ინტერესებზე, წამსვე შეახსენებდნენ ნაცისტების მიერ ჩადენილ დანაშაულებს. ასე რომ, **დღეს, ისევე, როგორც დაახლოებით 70 წლის წინათ, გერმანელთა ხვედრი თანამედროვე მსოფლიოში ასეთია — იმუშავე, გადაიხადე და მოინანიე.**

**ნიკა კორინთელი**

ამბები
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**რარიტეტული ფოტოები საბჭოთა ჯარისკაცებმა 1945 წელს იპოვეს. ისინი ინახებოდა ევა ბრაუნის საძინებელ ოთახში, ნაცისტების ლიდერის ბუნკერში. მოგვიანებით ალბომი ხელში ჩაუვარდა ბრიტანელ ფოტოგრაფ ედვარდ დინსა და დიქტორ რიჩარდ დიმბლბის. ექსპერტები ვარაუდობენ, რომ სურათები ფიურერის უახლესი გარემოცვის წევრის მიერ არის გადაღებული. აუქციონზე გასაყიდად გამოტანილ ფოტოებზე ჰიტლერი აღბეჭდილია იოზეფ გებელსთან, ჰერმან გერინგსა და ჰენრიხ ჰიმლერთან ერთად, აგრეთვე, მოქალაქეებთან გასაუბრების მომენტში.**



# პოროშენკოს, რომელმაც უკრაინა თვითმფრინავს შეადარა, უკრაინელებმა დასცინეს

**ინტერნეტმომხმარებლებმა ირონიული კომენტარები არ დაიშურეს უკრაინის პრეზიდენტ პეტრე პოროშენკოს მიმართ, რომელმაც უკრაინა თვითმფრინავს შეადარა.**

„უკრაინა არის თვითმფრინავი, რომელსაც აქვს ორი ფრთა: პირველი — ეს არის დემოკრატია, მეორე — წესრიგი და ფრენაც შეიძლება, ოღონდ თუ არის ორივე ფრთა“, — განაცხადა პოროშენკომ.

ინტერნეტმომხმარებლებმა ამ ფრაზის გამო პოროშენკოს ასე დასცინეს: **„ამჟამად უკრაინა არის, როგორც რაკეტა. მიფრინავს უფროვ გაურკვეველი მიმართულებით“.**

მანამდე უკრაინის პარლამენტის დეპუტატმა **ანტონ გერაშენკომ** განაცხადა, რომ უკრაინა ნანგრევებად იქცა არა რუსეთის აგრესიის, არამედ შიდა კონფლიქტებისა და ომის წყალობით.



# ტრამპმა მერკელს ხელი არ ჩამოართვა

**ეს კონფუზი მოხდა თეთრ სახლში ე.წ. პროტოკოლური გადაღებისას. აშშ-ის პრეზიდენტმა არად ჩააგდო ფოტოგრაფის თხოვნა, ხელი ჩამოერთმია გერმანიის კანცლერ ანგელა მერკელისთვის.**

გერმანიის კანცლერი **ანგელა მერკელი** ვიზიტით იმყოფებოდა აშშ-ში. **დონალდ ტრამპი** მიესალმა ანგელა მერკელს თეთრი სახლის შესასვლელში, კამერების წინ გაუღიმა და ხელიც ჩამოართვა, მაგრამ ტრადიციული საპროტოკოლო გადაღებისას აშშ-ის პრეზიდენტმა თითქოს ვერ გაიგონა ფოტოგრაფის ნათქვამი, კიდევ ერთხელ ჩამოერთმია ხელი გერმანიის კანცლერისთვის. **კადრებზე, რომელიც „ბი-ბი-სიმ“ ეთერში აჩვენა, ჩანს, რომ მერკელი ემზადება ხელის ჩამოსართმევად, ტრამპს სახეზე შეხედა და სავარძლიდან ცოტა წამოიწია კიდეც, მაგრამ აშშ-ის ლიდერი ჯიუტად იყურებოდა განზე, ხელები კი მუხლებს შუა ჰქონდა ჩაწყობილი.**

ეს იყო პირველი ოფიციალური შეხვედრა გერმანიის კანცლერ ანგელა მერკელსა და აშშ-ის პრეზიდენტ დონალდ ტრამპს შორის. ცნობილია, რომ მათ განსხვავებული თვალსაზრისი აქვთ ბევრ საკითხზე, მათ შორის, ნატოს ბედსა და იმიგრაციაზე.

აღსანიშნავია, რომ სრულიად საწინააღმდეგო ვითარება იყო აშშ-ისა და იაპონიის ლიდერების საპროტოკოლო გადაღებისას. დონალდ ტრამპი ისე მონდომებით ართმევდა ხელს იაპონიის პრემიერმინისტრ **სინძო აბეს**, რომ ამ პროცესის ამსახველი ვიდეო ჰიტად იქცა ინტერნეტში.

# ჰიტლერის ალბომი 41 ათას დოლარად გაიყიდა

**ბრიტანეთში ჰიტლერის ფოტოებში ათასობით დოლარს იხდიან, საქართველოს ხელისუფლება კი ფაშიზმისგან კაცობრიობის მხსნელის ძეგლის თავის ადგილას დაბრუნებაზე ამბობს უარს.**



ადოლფ ჰიტლერი და ევა ბრაუნი

**საქართველოს ამჟამინდელი ხელისუფლება, დაპირების მიუხედავად, უარს ამბობს გორში სტალინის ძეგლის კუთვნილ, პირვანდელ ადგილას დაბრუნებაზე. უცხო ქვეყნებისგან გულუხვად დაფინანსებული არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები კი, რომელთა უმრავლესობას არათუ რამე სმენია სტალინის მოღვაწეობის შესახებ, არამედ სასკოლო ისტორიის სახელმძღვანელოც არ აქვს გადაშლილი, დასავლურ პროპაგანდას არის აყოლილი და ლანძღავს და თათხავს ფაშიზმისგან კაცობრიობის მხსნელს, დიდ სამამულო ომში გამარჯვების შემოქმედს — სტალინს. იოსებ სტალინის მიერ განადგურებული მთავარი ფაშისტი ადოლფ ჰიტლერი კი დასავლეთში პოპულარობას იბრუნებს.**

ბრიტანეთში, კენტის საგრაფოში, გამართულ აუქციონზე ანონიმურმა მყიდველმა 34 ათას გირვანქა სტერლინგად (41 ათასი დოლარი) შეიძინა ალბომი ადოლფ ჰიტლერის ფოტოებით. აუქციონი მოაწყო სააუქციონო სახლმა G&T Auctioneers-მა. აუქციონზე უჩვეულო ლოტის გამოჩენამ არნახული აჟიოტაჟი გამოიწვია კოლექციონერთა შორის. ჰიტლერის ფოტოების თავდაპირველი ფასი 15 ათასი გირვანქა სტერლინგი იყო, ანუ ორჯერ ნაკლები საბოლოო ფასზე.

ფოტოები ფიურერის უახლოესი ადამიანების მიერ არის გადაღებული სხვადასხვა პერიოდში.

სააუქციონო სახლის კონსულტანტის — **ტიმ ჰარპერის** თქმით, რარიტეტული ფოტოები საბჭოთა ჯარისკაცებმა 1945 წელს იპოვეს. ისინი ინახებოდა **ევა ბრაუნის** საძინებელ ოთახში, ნაცისტების ლიდერის ბუნკერში. მოგვიანებით ალბომი ხელში ჩაუვარდა ბრიტანელ ფოტოგრაფ **ედვარდ დინსა** და დიქტორ **რიჩარდ დიმბლბის.** ექსპერტები ვარაუდობენ, რომ სურათები ფიურერის უახლესი გარემოცვის წევრის მიერ არის გადაღებული.

აუქციონზე გასაყიდად გამოტანილ ფოტოებზე ჰიტლერი აღბეჭდილია **იოზეფ გებელსთან, ჰერმან გერინგსა** და **ჰენრიხ ჰიმლერთან** ერთად, აგრეთვე, მოქალაქეებთან გასაუბრების მომენტში.

# «მე პუტინის აგენტი ვარ» — ჩეხეთის პრეზიდენტის სკანდალური «აღიარება»

**ჩეხეთში, ისევე, როგორც საქართველოში, როგორც ჩანს, იარლიყების მიწებება ჩვეულებრივი ამბავია ე.წ. პროდასავლური ძალების მხრიდან — როგორც კი სიმართლეს იტყვი ე.წ. დასავლურ დემოკრატიაზე, იმწამსვე კრემლის, პუტინის აგენტად შეგრაცხავენ.**

ჩეხეთის პრეზიდენტმა მილოშ ზემანმა პროდასავლელთა მხრიდან მის მიმართ გამოთქმულ კრიტიკას იუმორით უპასუხა.

**„იცით, მე პრორუსი აგენტი ვარ, კერძოდ, ვლადიმერ პუტინის. აგრეთვე, ვარ ჩინეთის ლიდერისა და აშშ-ის ახალი პრეზიდენტის აგენტიც. ვარ აგენტი ისრაელისა, რომელსაც ყოველთვის მხარს ვუჭერ“,** — განაცხადა ზემანმა Ceske Noviny-ის ჟურნალისტთან საუბრისას და დასძინა, რომ ის მხოლოდ ჩეხეთის რესპუბლიკის აგენტია და აპირებს, კვლავ იბრძოლოს პრეზიდენტის პოსტისთვის მომავალ არჩევნებში.



უფრო ადრე მილოშ ზემანი განაწყენდა ჩეხეთის შინაგან საქმეთა სამინისტროზე, რომელმაც „რუსეთის პროპაგანდის საწინააღმდეგო“ განყოფილების შექმნა გადაწყვიტა.

# მაკრონმა ისტორია გადაწერა?

**საფრანგეთის პრეზიდენტობის კანდიდატი, ეკონომიკის ექსმინისტრი ემანუელ მაკრონი მიიჩნევს, რომ პარიზი არ უნდა დაუახლოვდეს მოსკოვს.**

საფრანგეთში საპრეზიდენტო არჩევნებამდე 34 დღით ადრე (საფრანგეთში საპრეზიდენტო არჩევნები ორ ტურად ჩატარდება — 23 აპრილსა და 7 მაისს), გაიმართა დებატები, რომელშიც 5 კანდიდატი მონაწილეობდა: „ნაციონალური ფრონტის“ ლიდერი **მარინ ლე პენი**, პარტია „წინ“-ის ლიდერი, სოციალ-ლიბერალი **ემანუელ მაკრონი**, მემარჯვენე ცენტრისტული პარტია რესპუბლიკელების კანდიდატი **ფრანსუა ფიიონი**, სოციალისტური პარტიის ლიდერი **ბენუა ამონი** და მემარცხენეთა პარტია „დაუმორჩილებელი საფრანგეთის“ დამფუძნებელი **ჟან-ლუკ მელანშონი.** სწორედ ამ დებატებში განაცხადა მარკონმა, რომ საფრანგეთსა და აშშ-ს ხანგრძლივი ისტორია აკავშირებს:

**„ჩვენ აშშ-თან ხანგრძლივი ისტორია გვაკავშირებს. ჩვენ ერთად ვაშენებდით მშვიდობას პლანეტაზე... დღეს მინდა შევთავაზო მეტი დამოუკიდებლობა. არ დაუახლოვდეთ ბატონ პუტინს. მე მინდა, ავაგო დამოუკიდებლობა პასუხისმგებლობით, ნამდვილი ევროპული პოლიტიკით“,** — განაცხადა მაკრონმა დებატებისას, რომელიც ტელეარხმა TF1-მა გადასცა.

როგორც ჩანს, ემანუელ მაკრონმა თავიდან ბოლომდე გადაწერა არა მხოლოდ საფრანგეთის, არამედ აშშ-ის ისტორიაც. **აშშ, როგორც სახელმწიფო, 1776 წლის 4 ივლისს შეიქმნა, ანუ 241 წლის წინათ, და ვისთან აკავშირებს „ხანგრძლივი ისტორია“ მაკრონსა და მის საფრანგეთს, გაუგებარია.**



ისე, 205 წლის წინათ ერთმა გამოჩენილმა ფრანგმა — **ნაპოლეონ ბონაპარტემ** მოინდომა რუსეთთან „დაახლოება“ და, რით დამთავრდა ეს, სრულიად მსოფლიომ იცის. 77 წლის წინათ, 1940 წელს, კი საფრანგეთი ნაცისტური გერმანიის ფეხქვეშ იყო გართხმული, რომელიც „დაახლოების მოყვარული იყო“, და სტალინმა და საბჭოთა კავშირმა გამოათრია ამ „უხერხული პოზიდან“. ახლა კი საფრანგეთი კვლავ უხერხულ პოზაშია ამერიკელების „სიმძიმის“ გავლენით. მართლა გაუგებარია, რომელ მშენებლობასა და მშვიდობაზე ლაპარაკობს მაკრონი.

გვერდი მოამზადა **ნიკა კორინთელმა**

„ლგბტ-აქტივისტები შუბის წვერებია, რომლებიც ჩვენს გულებსა და კულტურულ ომსაა მიბჯენილი. გეების თავისუფლებისთვის ბრძოლა რელიგიურ თავისუფლებას ემუქრება, ქრისტიან ვაჭრებს სამუშაოს დაკარგვით ემუქრება, ქრისტიანული სკოლებისა და კოლეჯებისთვის გადასახადებისა და აკრედიტაციების შემოღების საშიშროებას ქმნის“.

ეს უნდა ვიცოდეთ
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

გლობალიზაცია, რომელიც ახლავს სხვადასხვა კულტურის შერწყმის მცდელობას, ფასეულობების სისტემაში — კონფლიქტებს, ადამიანებს შორის გაუცხოებას იწვევს. ევროპამ, რომელიც საუკუნეების განმავლობაში ქადაგებდა სიტყვისა და ადამიანის თავისუფლებას, თანასწორობასა და ტოლერანტობას და რომელმაც, კარგა ხანია, უგულებელყო ქრისტიანობა, დაკარგა ის ფასეულობები, რომლებმაც აქამდე მოიყვანა; სამაგიეროდ, ჩაიძირა სულიერ და ზნეობრივ ქაოსში, სადაც წინა პლანზე წამოწეულია ე.წ. ნეოლიბერალური ფსევდოღირებულებები.

საზოგადოდ კი, დღეს ე.წ. დემოკრატიული ფასეულობები მხოლოდ ძალაუფლებისა და ეკონომიკური უპირატესობის გაძლიერების გამართლებაა, რომელსაც დასავლეთი იყენებს ქვეყნებისა და ხალხების დასამორჩილებლად. დასავლეთის თანამედროვე ფასეულობების სისტემა — ეს არის სისტემა, რომელიც აშშ-მა შექმნა სხვადასხვა ქვეყანაში მისთვის მიუღებელი რეჟიმების დასამხობად დემოკრატიის სახელით. ეს „ფასეულობები“ კი ეწინააღმდეგება საუკუნეების განმავლობაში ჩამოყალიბებულ ქრისტიანულ (მართლმადიდებლურ) ტრადიციებს ოჯახის, ერის, განათლების, ზნეობის შესახებ და ეწევა ჰომოსექსუალობის, გარყვნილების, ანტირელიგიური იდეების პროპაგანდას. ამის ნათელი დასტურია აშშ-ის სახელმწიფო მდივნის — ჯონ კერის მუქარა მსოფლიოს ყველა ქვეყანაში ერთნაირსქესიანთა ქორწინების დაკანონებაზე; ამის ნათელი დასტურია ფრანგული გამოცემა „შარლი ებდოს“ ანტიმუსლიმანური კარიკატურები, რომელთა გამოც ტრაგედია დატრიალდა; შვედი ლესბოსელი-მღვდელმსახურის(?!) განცხადება ეკლესიებიდან ქრისტიანობის სიმბოლოს — ჯვრის ჩამოხსნის შესახებ, დანიის ქალაქ ოდენსეს ზოოპარკში შოკისმომგვრელი სანახაობის — ლომის ლეშის გაკვეთის — ჩვენება ბავშვებისთვის; მასობრივი მკვლელობები ამერიკის სასწავლო დაწესებულებებში — სკოლებსა და უნივერსიტეტებში და ა.შ.

რუბრიკაში გთავაზობთ სწორედ ისეთ ფაქტებს, რომლებიც მიუღებელია არა მხოლოდ ქართველი საზოგადოებისთვის, არამედ ყველა ნორმალური ადამიანისთვის. დარწმუნდებით, რომ ყველაფერი, რაც ბრწყინავს, ოქრო არ არის...

# უზნეობა დემოკრატიის სახელით

## რწმენის ორი ჰიპოსტასი: პურიტანული და ირონიული

**ეტყობა, სწორედ ასეა: რწმენას ახასიათებს ორი ურთიერთგამომრიცხავი ჰიპოსტასი — პურიტანული და ირონიული. პურიტანებს მიაჩნიათ, რომ სამყაროში ყველაფერი ჰარმონიული მთელის შემადგენელი ნაწილია. ჩვენი ცხოვრება ამ სუფთა იდეალისკენ რომ წარვმართოთ და სხვებსაც იმავეს გაკეთება ვაიძულოთ, თანდათან დავუახლოვდებით სრულყოფილებას.**



ირონიული ადამიანები კი დარწმუნებულნი არიან, რომ ასეთი ჰარმონიულობა იმქვეყნიურ სამყაროშია შესაძლებელი და არა ამქვეყნად, რაც ფრიად სამწუხაროა. ჩვენს რეალობაში ნატეხები ერთ სურათად ვერ ერთიანდება, ხოლო სათნოებანი ხშირად ერთმანეთს უპირისპირდება: თავისუფლება თანასწორობას ვერ უთავსდება, შემწყნარებლობა — წესრიგს. ირონიის მოყვარულისთვის უმაღლესი ჭეშმარიტება არსებობს, მაგრამ ყოველდღიური ცხოვრება უმეტეს შემთხვევაში არის ბალანსისა და კომპრომისების ძებნა. რეინჰოლდ ნიბურისა და ისაია ბერლინის ტიპის ირონისტების აზრით, პურიტანელები, რომლებიც ცდილობენ, ანგელოზებზე უფრო ამაღლდნენ, ხშირად ცხოველებზე დაბლა ეშვებიან.

ისტორია შეგვახსენებს პურიტანული რწმენის უამრავ მაგალითს, ესპანური ინკვიზიციით დაწყებული, თანამედროვე ისლამური რადიკალიზმით დამთავრებული; როცა სჯერათ და სწამთ ერთიანი ჭეშმარიტი ცხოვრების წესი. დღეს ასევე შეგვიძლია შევხვდეთ არარელიგიურ პურისტებაც. ესენი არიან, მაგალითად, **მიდლბერი კოლეჯის სტუდენტები**, რომლებიც ცდილობენ, თავიანთი ყვირილით ჩაახშონ სხვაგვარად მოაზროვნეთა ხმები, აგრეთვე, — **კანონის დამცველი აქტივისტები**, რომლებიც ცდილობენ, აიძულონ ორთოდოქსი ქრისტიანი კონდიტერები, თავიანთი სინდისისა და რწმენის საწინააღმდეგოდ იმუშაონ ჰომოსექსუალების ქორწილებზე, გამოუცხონ და სუფრაზე მიუტანონ ნაირ-ნაირი ტკბილეული.

ამ მოძრაობებმა ბევრი ქრისტიანი დაარწმუნა, რომ ისინი მალე შეიძლება განკიცხულები გახდნენ თავიანთ სამშობლოში. მათ შორის ერთ-ერთი ჩემი მეგობარიცაა — **როდ დრეერი**, უკანასკნელი ათწლეულის ყველაზე ხშირად განხილვადი წიგნის „ბენედიქტის არჩევანი“ ავტორი.

როდი საკმაოდ კონსერვატიულია. **„ვერავითარი მშვიდობა ვერ დამყარდება ქრისტიანობასა და სექსუალურ რევოლუციას შორის, რადგან ისინი დიამეტრალურად განსხვავებულებია“,** — წერს იგი.

დრეერი კონკრეტულ მაგალითებს ასახელებს: **„ლგბტ-აქტივისტები შუბის წვერებია, რომლებიც ჩვენს გულებსა და კულტურულ ომსაა მიბჯენილი. გეების თავისუფლებისთვის ბრძოლა რელიგიურ თავისუფლებას ემუქრება, ქრისტიან ვაჭრებს სამუშაოს დაკარგვით ემუქრება, ქრისტიანული სკოლებისა და კოლეჯებისთვის გადასახადებისა და აკრედიტაციების შემოღების საშიშროებას ქმნის“.**

როდი იზიარებს შიშს, რომელიც დღეს ორთოდოქსულ ქრისტიანულ წრეებში საყოველთაოდ არის გავრცელებული: რომ ლგბტ-ზე მათი შეხედულების გამო ორთოდოქს ქრისტიანებსა და ებრაელებს მალე აუკრძალავენ მუშაობას მრავალ კორპორაციაში. „შავი სიები რეალობაა, — წერს იგი, — ჩვენ ვუბრუნდებით საშინელ შუა საუკუნეებს. დღევანდელი თაობა უთუოდ მოწმე გახდება იმისა, თუ როგორ იღუპება ქრისტიანობა ჩვენი ცივილიზაციის ეპოქაში“.

იგი დარწმუნებულია, რომ კულტურათა ომის გაგრძელება უსარგებლოა, რადგან იგი უკვე დამთავრებულია. ახლა მორწმუნეებმა უნდა მიბაძონ VI საუკუნის მონარქს, წმინდა ბენედიქტეს, რომელიც სხვადასხვა რელიგიურ თემებს ქმნიდა იმ დროს, როცა რომის იმპერია ინგრეოდა.

როდის წიგნის პერსონაჟები, თითქმის ყველანი, მონარქები არიან. ქრისტიანები საკუთარ თავში უნდა ჩაღრმავდნენ და თვითიზოლაციაში ჩაიკეტონ, რათა განწმინდონ და შეინარჩუნონ თავიანთი რწმენა, — ამბობს იგი. ისინი უნდა განუდგნენ გამეფებულ კულტურას, გამოიყვანონ თავიანთი შვილები სახელმწიფო სკოლებიდან და ფესვები გაიდგან თავ-თავიანთ თემებში.

**თავისი ისტორიის განმავლობაში ამერიკის კულტურა შემწყნარებლურად ეკიდებოდა მონობას, სექსუალურ სიმკაცრეს და ამერიკელი ინდიელების გენოციდს. მაშ, რატომ უნდა ჩავთვალოთ 2017 წელი ობსკურანტიზმის დაწყების ეპოქად?**

როდი შესაძლებლად მიიჩნევს ზოგიერთ პრაქტიკულ კომპრომისს. ამერიკელთა უმრავლესობას არავითარი სურვილი არ აქვს, დაანგრიოს რელიგიური ინსტიტუტები. ისინი, თუ გნებავთ, სულიერების შიმშილს განიცდიან და მზად არიან რელიგიურ თემებზე სასაუბროდ. შეიძლება მოიძებნოს გონიერი კომპრომისები ლგბტ წესებსა და რელიგიურ თავისუფლებას შორის, მით უფრო, რომ ორთოდოქსი ებრაელები და ქრისტიანები არ ცდილობენ, თავიანთი შეხედულებები სხვებს მოახვიონ თავს.

**როდის პრობლემა არის ის, რომ საერო პურიზმს რელიგიური პურიზმით უპასუხებს.** სეპარატისტები უკან იხევენ თავიანთ მონოკულტურაში და საბოლოო ჯამში თვითიზოლაციით იფარგლებიან. ისინი ხელს უწყობენ შეზღუდულობის, ცრურწმენისა და ზნეობრივი ქედმაღლობის გაძლიერებას. ანადგურებენ ცოცხალი რწმენის დინამიურ ინიციატიურობას.

სამონასტრო ცხოვრებაში არის შემჭიდროებულობისა და დარაზმულობის შესანიშნავი საშუალება, მაგრამ ადამიანების უმრავლესობა ძალაუნებურად საერო ცხოვრებაში ტრიალებს, რომელსაც თავისი წინააღმდეგობანი და სირთულეები თან სდევს. ბევრ მორწმუნეს საკუთარი რწმენა განუმტკიცდება სხვადასხვა თანამეგობრობაში ყოფნით, სამუშაოზე და ა.შ. მათ სჯერათ თავიანთი რწმენის. იგი საშუალებას აძლევს მათ, იარსებონ დღევანდელი უაზრო და ბინძური მსოფლიოს რეალურ გარემოში.

სწორი რეაქცია ამგვარ რეალობაში ბენედიქტის არჩევანი კი არ არის, ორთოდოქსული პლურალიზმის გამჟღავნებაა. რომელიმე ორთოდოქსისადმი დამორჩილება ნიშნავს საკუთარი ცხოვრების იმქვეყნიური იდეალისადმი დამორჩილებას.

ჩემი აზრით, **ნამდვილი მტერი სექსუალური რევოლუცია არ არის. ეს პურიტანიზმის ის ფორმაა, რომელიც ვერ იტანს განსხვავებულს, რადგან არ ძალუძს, მორჩილად აღიაროს ჭეშმარიტების საიდუმლო.**

გვერდი მოამზადა **არმაზ სანებლიძემ**



## ინგლისელი ქალბატონების უმეტესობას «სათადარიგო ქმრები» ჰყავთ

**ბრიტანეთში ჩატარებული სოციალური კვლევის შედეგებმა დაგვანახვა, რომ დაქორწინების ინსტიტუტი ამ ქვეყანაში მაინცდამაინც მყარი არ არის: გამოკითხული ქალბატონების ნახევარს ურთიერთობის „სამარქაფო ვარიანტები“ გააჩნია.**

ეს მონაცემები, რომლებიც გაზეთ „დეილი მეილში“ გამოქვეყნდა, უმალვე აიტაცეს სხვა გამოცემებმა და ყველა ახალ პუბლიკაციაში ახალი შეკითხვა არის დასმული:

**შეიძლება თუ არა ნორმად ჩაითვალოს ისეთი ურთიერთობა, რომელშიც იმთავითვე ჩადებულია მისი შეწყვეტის შესაძლებლობა?**

ბრიტანელი ქალები სიამოვნებით განმარტავდნენ თავიანთ პასუხებს. უმეტეს შემთხვევაში „გეგმა ბ-სთვის“ გათვალისწინებული მამაკაცი არის „ჯერ კიდევ“ ცხელსისხლიანი ყოფილი „ბოიფრენდი“, რომელიც მზად არის, ძველი ენების გულისთვის დათმოს ყველაფერი. ასეთი ერთგული თაყვანისმცემლის არსებობა დაადასტურა გამოკითხული მშვენიერი სქესის 20 პროცენტმა, ანუ თითქმის ნახევარმა იმათგან, ვინც, ცოლქმრული ურთიერთობის გარდა, სხვა ვარიანტებს დასაშვებად მიიჩნევს.

ასეთი გულახდილობის შემდეგ აღარავის უკვირს, რომ ქორწინებების ნახევარზე მეტი პირველსავე 5 წელიწადში ირღვევა.

მსოფლიო

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ანალიტიკოსების შეფასებით, ტრამპის დაპირება, რომ იგი ბოლოს მოუღებს ოპიატების ბოროტად გამოყენებას, დღითიდღე პრობლემური ხდება. ამერიკა ჯერჯერობით აგებს ბრძოლას სასიკვდილოდ საშიში ნარკოტიკების წინააღმდეგ.**



Reuters:

# თურქეთი ევროკავშირს გაემიჯნა

**თურქეთმა მიიღო გადაწყვეტილება, გააუქმოს ევროკავშირთან მიგრაციული პოლიტიკის შესახებ დადებული ხელშეკრულება, — აცხადებს „როიტერი" თურქეთის ევროკავშირის საქმეთა მინისტრის — ომერ ჩელიკის განცხადებაზე დაყრდნობით.**

მოხელემ განაცხადა, რომ თურქეთი შეთანხმების თავის ნაწილს პატიოსნად ასრულებს, ხოლო ევროპულმა სახელმწიფოებმა თავიანთი დაპირებები არ შეასრულეს, ბრიუსელმა კი ვერ შეძლო ობიექტურად მიდგომოდა თურქეთის მოქალაქეებისთვის ვიზალიბერალიზაციის საკითხს.

შექმნილ ვითარებაში თურქეთმა გადაწყვიტა, რომ აღარ არის ვალდებული, შეასრულოს მასზე დაკისრებული მოვალეობა შეთანხმების ჩარჩოს მიხედვით. ჩელიკის აზრით, გადასახედია ევროპაში მიგრაციის ნაკადის შეკავების საკითხებზე დადებული ხელშეკრულება.

ანკარის ეს გადაწყვეტილება მოულოდნელი არ აღმოჩნდა: თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა **მევლუდ ჩავუშოღლუმ** ამაზე წინა კვირას განაცხადა. შეთანხმების შეჩერებაზე ევროკავშირის ოფიციალური პირების რეაქცია იგვიანებს.

2015 წლის შემოდგომაზე თურქეთის პრეზიდენტმა **რეჯეფ თაიფ ერდოღანმა** განაცხადა, რომ ევროპისკენ მიმართავს ლტოლვილთა ნაკადს თუ ევროკავშირის ხელმძღვანელობა კვლავაც გააჭიანურებს მისი ქვეყნის ევროინტეგრაციის საკითხის მოგვარებას. შარშან კი დაემუქრა ევროლიდერებს, რომ „ევროკავშირს ლტოლვილებით წალეკავს", თუ ისინი თურქეთს დაპირებულ ფულს არ მისცემენ.



# აშშ-ს ოპიუმის ეპიდემია მოედო

**აშშ-ის კონგრესის ორივე პალატის წევრებისადმი მიმართვაში დონალდ ტრამპმა განაცხადა, რომ იგი ბოლოს მოუღებს „საშინელ ნარკოტიკულ ეპიდემიას" შეერთებულ შტატებში. ამერიკის პრეზიდენტის განცხადებებისთვის დამახასიათებელი პირქუში და აპოკალიფსური ტონი, ამ შემთხვევაში, რეალური მდგომარეობით არის ნაკარნახევი.**

დაავადებათა კონტროლისა და პროფილაქტიკის ცენტრის მონაცემებით, 2015 წელს 52 ათასი ამერიკელი გარდაიცვალა ნარკოტიკების გადამეტებული დოზით. ეს ნიშნავს, რომ საშუალოდ ყოველ ათ წუთში ნარკოტიკებისგან ერთი ადამიანი იღუპება. ამ მიზეზით გარდაცვლილთა ორი მესამედი, ანუ 33 ათასი შემთხვევა გამოწვეულია ოპიატებით, მათ შორის, რეცეპტებით გამოწერილი ტკივილგამაყუჩებლებითა და ჰეროინით.

ადამიანების ოპიატების მიზეზით დაღუპვის შემთხვევების უდიდესი რაოდენობა ისეთ ქალაქებზე მოდის, როგორებიცაა ჩიკაგო და ბალტიმორი. მაგრამ ამ ეპიდემიით გამოწვეული ტრაგედია ყველაზე მეტად სასოფლო-სამეურნეო რეგიონებში იგრძნობა. ასეთებია აპაჩი, ახალი ინგლისი და შუა დასავლეთი. მსხვერპლთა უმეტესობა საშუალო კლასის თეთრკანიანი მოსახლეობაა, რომელიც აგრარული რეგიონების ქალაქებსა და მათ შემოგარენში ცხოვრობს.

ოპიუმის ეპიდემია მჭიდროდაა დაკავშირებული რეცეპტებით მიღებული ტკივილგამაყუჩებელი საშუალებების ზრდასთან. **1991 წლიდან 2011 წლამდე გამოწერილი ასეთი რეცეპტებისა და საცალო აფთიაქებში აღნიშნული პრეპარატების მიღების რაოდენობა 76 მილიონიდან 219 მილიონამდე გაიზარდა. 2002 წელს ექვსიდან ერთი მომხმარებელი იღებდა მორფინზე უფრო ძლიერმოქმედ საშუალებას, 2012 წელს კი — ყოველი მესამე.**

უკანასკნელ ხანს შეერთებულ შტატებში შემოიღეს მკაცრი წესები, რომლებიც მიმართულია რეცეპტებით ოპიატების მიღების წინააღმდეგ: შემუშავებულია ნარკოტიკული პრეპარატების გამოყენების მონიტორინგის პროგრამები, დაპატიმრებული არიან არაკეთილსინდისიერი ექიმები. ფარმაცევტულმა კომპანიებმა იმგვარად შეცვალეს მათ მიერ წარმოებული პრეპარატები, რომ შეუძლებელი გახდა ამ წამლების არადანიშნულებისამებრ გამოყენება. **სამწუხაროდ, ტკივილგამაყუჩებელი პრეპარატების გამოყენების შემცირების ფონზე იმატა ოპიუმის გამოყენების შემთხვევებმა. 2015 წელს სიკვდილიანობა, რომელიც გამოწვეული იყო ოპიატების მოხმარებით, 15 პროცენტით გაიზარდა, ჰეროინისა — 23 პროცენტით.**

სიკვდილიანობის შემცირებისთვის ამჟამად ამერიკაში გამოიყენებენ **ნალოქსონს**, პრეპარატს, რომელიც ადამიანის ტვინზე ჰეროინის მოქმედებას ანეიტრალებს და, გადამეტებული დოზის გამოყენების შემთხვევაში, ნარკომანის სუნთქვის აღდგენას უწყობს ხელს.

ბოლო წლებში 45 შტატში, ასევე, კოლუმბიის ოლქში, დაამტკიცეს სიკვდილიანობის შემცირების უზრუნველყოფის კანონები, რომელთა ამოქმედებამ ოპიატებით დაღუპვის შემთხვევები 9-10 პროცენტით შეამცირა.

მაგრამ ეს ყველაფერი საკმარისი არ არის. ბოლო დროს გამოქვეყნებული მონაცემები მოწმობს, რომ ოპიუმის ეპიდემიასთან დაკავშირებული სიტუაცია უარესდება. ძირითადად ამის მიზეზად მიიჩნევენ **ფენტალინის** (ტკივილგამაყუჩებელი სინთეტიკური ოპიოდური საშუალების) გამოყენებას. ეს პრეპარატი **მორფინზე** 50-100-ჯერ უფრო ეფექტიანია. 2016 წელს გადამეტებული დოზირების გამო სიკვდილიანობა კონექტიკუტის შტატში 26 პროცენტით გაიზარდა, დელავერში — 35 პროცენტით, მენის შტატში კი — 39 პროცენტით.

2016 წლის პირველ სამ კვარტალში ასეთი შემთხვევები კატასტროფულად გაიზარდა და 62 პროცენტს მიაღწია, რამაც აიძულა გუბერნატორი, შტატში განსაკუთრებული რეჟიმის მდგომარეობა გამოეცხადებინა.

**ანალიტიკოსების შეფასებით, ბატონი ტრამპის დაპირება, რომ იგი ბოლოს მოუღებს ოპიატების ბოროტად გამოყენებას, დღითიდღე პრობლემური ხდება. ამერიკა ჯერჯერობით აგებს ბრძოლას სასიკვდილოდ საშიში ნარკოტიკების წინააღმდეგ.**



The Daily Caller:

# აშშ-ის არმიაში მარიხუანის მომხმარებლები ვერც მომავალში იმსახურებენ

**აშშ-ის თავდაცვის სამინისტრომ გადაწყვიტა, ყველა ახალწვეული შეამოწმონ აკრძალული პრეპარატების უფრო ვრცელი სიის მიხედვით. ამ გადაწყვეტილებას პენტაგონში ასაბუთებენ მოსახლეობაში ნარკოტიკების მოხმარების არნახული ზრდით. ცვლილება ძალაში წლეულს, 3 აპრილს, შევა.**

აქამდე ახალწვეულებს ამოწმებდნენ მარიხუანის, კოკაინის, აფიტამინებისა და ექსტაზის მოხმარებაზე. ამ სიას დაემატება ჰეროინი, კოდეინი, მორფინი, ჰიდროკოდონი, ოქსიკოდონი, ჰიდრომორფინი, ოქსიმორფინი და სხვა სინთეტიკური კანაბიონიდები, ასევე, ბენზოდიაზეპური სედატივების საშუალებანი. ახალწვეულებს 26 პრეპარატის მოხმარებაზე გასინჯავენ.

იმ ახალგაზრდებს, რომელთა ორგანიზმში აღმოაჩენენ აკრძალულ პრეპარატებს, უფლება ექნებათ, 90 დღის შემდეგ გაიარონ განმეორებითი შემოწმება, მაგრამ, თუ ამჯერადაც დადასტურდება პირველი ტესტირების შედეგი, ამ ახალწვეულს საერთოდ აეკრძალება სამხედრო სამსახური.

TMZ პორტალი:

# ჰილარი კლინტონი ნიუ იორკის მერობას აპირებს



**აშშ-ის ყოფილი სახელმწიფო მდივანი ქვეყნის პრეზიდენტობის ყოფილი მაძიებელი ჰილარი კლინტონი ახალ თანამდებობას ეპოტინება.** პორტალის ინფორმაციით, წყარო გასულ თვეში ესწრებოდა შეხვედრას, რომელშიც მონაწილეობდნენ „პოლიტიკით დაკავებული ადამიანები", რომლის დროსაც გაირკვა, რომ კლინტონი არ გამორიცხავს შესაძლებლობას, ნიუ იორკის მერი გახდეს.

2014 წლის იანვრიდან ნიუ იორკის მერის თანამდებობაზე **დილ დე ბლაზიო** მუშაობს.

**CC-ის ვეტერანებისა და მათი მხარდამჭერების მიტინგები რიგაში 1945 წლიდან სისტემატურად ყოველწლიურად იმართება. ამ ღონისძიებების მთავარი ორგანიზატორია ნაციონალისტური გაერთიანება „დაუგავას ქორები“, რომელიც 1945 წელს დააარსეს CC-ის ყოფილმა ლატვიელმა ლეგიონერებმა. აქციებში ხშირად მონაწილეობს ქვეყნის პარლამენტის ზოგიერთი დეპუტატი.**

მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95




## РИА-Новости:

# რიგაში ვეტერანმა ფაშისტებმა საზეიმო სვლა გამართეს

**16 მარტს რიგაში ვაფენ SS-ის ვეტერანებისა და მათი მომხრეების მსვლელობაში ასობით ადამიანმა მიიღო მონაწილეობა.**

აქციის დაწყებამდე რამდენიმე წუთით ადრე პოლიციამ, რომელიც ამ დღეს განსაკუთრებულ რეჟიმში მუშაობდა, დააკავა ლატვიის ანტიფაშისტური კომიტეტის ორი წარმომადგენელი, რომლებსაც ნაციზმის მსხვერპლთა ამსახველი პლაკატები ეკავათ. პოლიციელებმა გერმანიის ანტიფაშისტური მოძრაობის წარმომადგენლებს თავიანთი პლაკატების გამოფენა აუკრძალეს.

ამას გარდა, წესრიგის დამცველებმა დააკავეს ორი ახალგაზრდა კაცი, რომლებიც ლეგიონერებს შეურაცხმყოფელ სიტყვებს სკანდირებდნენ. ამ ახალგაზრდებს მკერდზე „გიორგის ბაფთები“ ჰქონდათ დაბნეული.

**მოკლედ, წყვილ-წყვილად აკავებდნენ ანტიფაშისტებს, ნაცისტ ვეტერანებს რამე რომ არ დაშავებოდათ ან თავი შეურაცხყოფილად არ ეგრძნოთ.**

გალაღდნენ ფაშისტები რიგაში, მაგრამ ისეთი ზეიმი არ გამოუვიდათ, როგორიც ჩაფიქრებული ჰქონდათ: რამდენიმე ღონისძიება ჩაეშალათ, მათ შორის ლექცია 1944 წლის 16 მარტის მოვლენებისა და ლატვიური ლეგიონის ისტორიის შესახებ, რომლის მოწყობას აპირებდა „ეროვნული მეომრების დახმარების“ მოძრაობა — ინიციატორები შეკრებაზე არ გამოცხადდნენ(!).

მხარდაჭერის ორიგინალური ფორმაა!

ლატვიის ანტინაცისტურმა კომიტეტმა კი რიგის სათათბიროს გადაწყვეტილების პროტესტის ნიშნად უარი თქვა მიტინგის ჩატარებაზე, რადგან ქალაქის მამებმა ანტიფაშისტებს მიტინგის ჩატარების ნება მხოლოდ ქალაქის არხის ხიდქვეშ დართეს. სანაცვლოდ მათ ყველას მოუწოდეს, შეკრებილიყვნენ თავისუფლების ძეგლთან და აენთოთ სანთლები ფაშისტების მიერ დახოცილთა მოსაგონებლად.

**SS-ის ვეტერანებისა და მათი მხარდამჭერების მიტინგები რიგაში 1945 წლიდან სისტემატურად ყოველწლიურად იმართება. ამ ღონისძიებების მთავარი ორგანიზატორია ნაციონალისტური გაერთიანება „დაუგავას ქორები“, რომელიც 1945 წელს დააარსეს SS-ის ყოფილმა ლატვიელმა ლეგიონერებმა. აქციებში ხშირად მონაწილეობს ქვეყნის პარლამენტის ზოგიერთი დეპუტატი.**

SS-ის ლატვიური ლეგიონი ნაცისტური გერმანიის სარდლობამ მეორე მსოფლიო ომის წლებში გრენადერთა ორი პოლკის ბაზაზე ჩამოაყალიბა. ეს ლეგიონი, რომელიც თავდაპირველად 150 კაცს ითვლიდა, მონაწილეობდა ლატვიის, პოლონეთის, ბელორუსიის, უკრაინისა და რუსეთის ტერიტორიებზე პარტიზანებისა და მშვიდობიანი მოსახლეობის წინააღმდეგ მოწყობილ მასობრივ დახვრეტებსა და სხვა სადამსჯელო ოპერაციებში.

1944 წლის 16 მარტს ლეგიონერები ფსკოვის ოლქში წითელი არმიის წინააღმდეგ საბრძოლო მოქმედებაში ჩაერთნენ, სწორედ ეს თარიღი დაადგინეს SS-ის ვეტერანების ხსოვნის დღედ.

ნიუნბერგის პროცესმა ვაფენ SS-ის ყველა ქვედანაყოფი, მათ შორის ლატვიური ლეგიონი დანაშაულებრივ ორგანიზაციებად მიიჩნია. რიგაში ლეგიონერების მსვლელობის მკვეთრი კრიტიკით მთელ მსოფლიოში გამოდიან ანტიფაშისტური ორგანიზაციები.




## NBC News:

# აშშ-ში სიძულვილის ნიადაგზე ჩადენილი დანაშაულები საარჩევნო წლის განმავლობაში 23 პროცენტით გაიზარდა

**NBC News-ის აზრით, საპრეზიდენტო საარჩევნო კამპანიამ, რომელიც შარშან გაიმართა, ხელი შეუწყო დაძაბულობის ზრდას ამერიკელ საზოგადოებაში.**

საარჩევნო ვნებათაღელვის აფეთქებამ აშშ-ის უმსხვილეს ქალაქებში სიძულვილის ნიადაგზე ჩადენილი დანაშაულების რაოდენობა 23 პროცენტით გაზარდა. ასეთ დასკვნამდე მივიდა სისხლის სამართლის პროფესორი **ბერნან ლევინი**, რომელიც კალიფორნიის შტატის სან-ბერნანდინის უნივერსიტეტში მოღვაწეობს.

იგი ამტკიცებს, რომ ნეგატიური ტენდენცია წლეულსაც გრძელდებოდა, ამჯერად ებრაული საზოგადოებრივი ცენტრების წინააღმდეგ — არბევდნენ სინაგოგებსა და ებრაულ სასაფლაოებს. **მხოლოდ ნიუ იორკში 2017 წლის 1 იანვრიდან 5 მარტამდე დარეგისტრირდა ანტისემიტიზმის 55 დანაშაული, ეს 2016 წლის იმავე პერიოდთან შედარებით 198 პროცენტზე მეტია.**

ბრაიან ლევინი ხელმძღვანელობს დამოუკიდებელ ორგანიზაციას, რომელიც სიძულვილის ნიადაგზე ჩადენილ დანაშაულთა შესახებ ცნობებს პოლიციის სამმართველოებისგან იღებს. სტატისტიკის მიხედვით, ამ ხასიათის დანაშაული ყველაზე დიდი რაოდენობით აღრიცხულია ვაშინგტონში (კოლუმბიის ოლქი) და 2015 წელთან შედარებით 62 პროცენტითაა გაზრდილი; ნიუ იორკში შარშან წინა წელთან შედარებით ამ დანაშაულმა 24 პროცენტით მოიმატა.

გამოკვლევა ჩატარდა აშშ-ის ცხრა ყველაზე დიდ რეგიონში: ნიუ იორკში, ვაშინგტონში, ჩიკაგოში, ფილადელფიაში, მონტჰომერის ოლქში (მერილენდი), კოლამბუსში, სიეტლში, ლონგ ბიჩსა (ლოსანჟელესის ოლქში, კალიფორნია) და ცინცინატში.

## Fox News:

# კორუფციული სკანდალი ამერიკის სამხედრო საზღვაო ფლოტში



**აშშ-ის იუსტიციის სამინისტრომ ამერიკელ მაღალჩინოსან სამხედროებს ახალი საბრალდებო დასკვნა წარუდგინა, — იტყობინება Fox News.**

**საბრალდებო დასკვნის მიხედვით, სამხედრო მოსამსახურეებს ბრალად ედებათ სინგაპურში განლაგებული თავდაცვითი ფირმის ხელმძღვანელისგან — ლეონარდ გლენ ფრენსისისგან ქრთამის აღება, რაც გამოიხატებოდა ფლოტის მაღალჩინოსნებისთვის ძვირფასი საჩუქრების გადაცემაში, მათთვის მეძავებისა და ძვირად ღირებულ სასტუმროებში ცხოვრების საფასურის გადასახადის გადახდაში.**

ფრენსისმა, რომელიც „მსუქანი ლეონარდის“ სახელით არის ცნობილი, აღიარა, რომ აშშ-ის სამხედრო საზღვაო ფლოტი ათობით მილიონი დოლარით მოატყუა. აქტუალური პოლიტიკის ცენტრი ამ გახმაურებულ სკანდალს ყურადღებას ჯერ კიდევ 2014 წლის 18 ნოემბერს უთმობდა, ასევე — 2015 წლის ჯერ 5 თებერვალსა და შემდგომ — 21 ივლისს გამოქვეყნებულ მასალებში.

ბრალდება წარედგინა კონტრადმირალ **ბრიუს ლავლესს**, საზღვაო ქვეითთა პოლკოვნიკ **ენრიკო დე გუსმანს**, სამხედრო საზღვაო ძალების სამ კაპიტანს, მოქმედ კომანდერსა და გადამდგარ უფროს უორენტ-ოფიცერს.

საქმის მასალებიდან ირკვევა, რომ საიდუმლო და შიდა ინფორმაციების სანაცვლოდ, რომლებიც ფრენსისის ფირმას საშუალებას აძლევდა, ამერიკის მე-7 ფლოტის აზიის რეგიონის ფლაგმანის მომგებიანი კონტრაქტები მიეღო, ასევე სხვა სამხედრო ხომალდების უფროსი ოფიცრების მომსახურებისთვის განკუთვნილი სახსრები და უზრუნველეყო მათი ძვირად ღირებული მოგზაურობა, ეჩუქებინა საათები, სიგარების კოლოფები და კონიაკის ბოთლები.

კერძოდ, 2007 წლის თებერვალში მანილის პორტში ფრენსისმა სასტუმრო „შანგრილლაში“ მოაწყო სექსსაღამო უფროსი ოფიცრებისთვის. ამ ორგიის დროს „სექსუალური შეტევებისას გამოიყენებდნენ ისტორიულ ექსპონატებს“, რომლებიც დაკავშირებული იყო მეორე მსოფლიო ომის გენერალ **დუგლას მაკარტურთან.** ამ საქმეში 27 ბრალდებული და 200 ეჭვმიტანილია.

## РИА-Новости:

# ბრიტანელები ოვაციით მიესალმნენ ტერეშკოვას

**ლეგენდარული რუსი კოსმონავტი ქალი ვალენტინა ტერეშკოვა პირადად დაესწრო ლონდონში გამოფენის გახსნას, რომელიც მის 80 წლის იუბილეს მიეძღვნა.**




„ფრიად მნიშვნელოვანია, — თქვა მან, — რომ ბრიტანელები შეძლებენ, გაიგონ, როგორ იწყებოდა პილოტირებული კოსმონავტიკა საბჭოთა ქვეყანაში. ამ გამოფენაზე კოსმონავტების შრომა და ტექნიკა არის წარმოდგენილი“.

გამოფენაზე მოსული ლონდონელები ოვაციით შეხვდნენ ტერეშკოვას, ხოლო ფილმის „ლეგენდა ვალენტინას“ საპრემიერო ჩვენების დაწყების წინ სტუმრები ფეხზე ამდგარნი მიესალმნენ სახელგანთქმულ ქალს. სოციალურ ქსელებში ბრიტანელები უდიდესი სითბოთი წერენ მსოფლიოში ერთადერთ ქალზე, რომელმაც კოსმოსური გაფრენა მარტომ განახორციელა.

გვერდები მოამზადა არმაზ სანებლიძემ

მოზაიკა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

ნავთობისა და ბუნებრივი აირის კომპანიები, რომლებმაც გადაწყვიტეს წყალბადისთვის უპირატესობის მინიჭება, კონსორციუმის გულუხვად დაფინანსებას ფიქრობენ. ახალი ორგანიზაციის წარმომადგენლები მუშაობას აპირებენ სხვადასხვა ქვეყნის მთავრობებთან, რათა დაარწმუნონ ისინი ახალი ინფრასტრუქტურის განვითარების აუცილებლობაში და კანონმდებლობაში შესაბამისი ცვლილებების შეტანაში.

# Toyota და Shell ფსონს ჩამოდიან წყალბადის საწვავზე



**ახლახან ოცდაათამდე გიგანტურმა სატრანსპორტო, ენერგეტიკულმა და ინდუსტრიულმა კომპანიამ გადაწყვიტა დაახლოებით 11 მილიარდი დოლარის ინვესტირება წყალბადის ენერგეტიკის განვითარებასა და წინსვლაში. სხვებისთვის სამაგალითოდ შექმნეს კიდეც სპეციალური საბჭო Hydrogen Council.**

Shell -ის გენერალური დირექტორი დარწმუნებულია, რომ წყალბადს აქვს დიდი პოტენციალი, ამიტომ აუცილებელია ამის გათვალისწინება, რადგან ენერგეტიკული ბაზარი ძალიან სწრაფად იცვლის სახეს.

გიგანტებს შორის, რომლებმაც დიდი ფულის ჩადება გადაწყვიტეს წყალბადის ენერგეტიკის განვითარებაში, არიან Hyundai, Toyota, Shell, სარკინიგზო კომპანია Alstom, BMW AG, Daimler AG, Honda და მრავალი სხვა.

ნავთობისა და ბუნებრივი აირის კომპანიები, რომლებმაც გადაწყვიტეს წყალბადისთვის უპირატესობის მინიჭება, კონსორციუმის გულუხვად დაფინანსებას ფიქრობენ. ახალი ორგანიზაციის წარმომადგენლები მუშაობას აპირებენ სხვადასხვა ქვეყნის მთავრობებთან, რათა დაარწმუნონ ისინი ახალი ინფრასტრუქტურის განვითარების აუცილებლობაში და კანონმდებლობაში შესაბამისი ცვლილებების შეტანაში.

ელექტრონული ტრანსპორტისადმი ინტერესის ზრდის ფონზე წყალბადის წინა პლანზე წამოწევა გამოიყურება, როგორც ნავთობგიგანტებისა და შიგაწვისძრავიანი ავტომობილების მწარმოებელთა პოზიციების შენარჩუნების მცდელობა. მოკლედ, კომპანიებს, რომლებიც დაკავებულნი არიან ნავთობისა და ბუნებრივი აირის მოპოვებით, ჯერჯერობით სანერვიულო არაფერი აქვთ, რადგან ბუნებრივ აირსა და ნავთობზე კვლავაც შენარჩუნებულია სტაბილურად მაღალი მოთხოვნა. წყალბადთან დაკავშირებული ინიციატივა კი უფრო მომავლის დაზღვევაა.

# სტარტაპი Uniti Sweden და Siemens ელექტრომობილების ერთობლივ წარმოებაზე შეთანხმდნენ



**გერმანული ინდუსტრიული კონცერნი Siemens-ის ყურადღება მიიპყრო პატარა სტარტაპმა, რომელიც შვედმა სტუდენტებმა დააარსეს და გადაწყვიტეს ქალაქებისთვის იაფი ელექტრომობილების შექმნა. მათ უკვე შეაგროვეს დაახლოებით ნახევარი მლნ დოლარი.**

მხარეებმა უკვე გააფორმეს ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც 2018 წლის დასაწყისში პირველ ელექტრომობილს გამოუშვებენ.

მანქანას კომპოზიტური მასალებისგან შექმნიან, მისი წონა იქნება დაახლოებით 400 კგ, დატუმბული აკუმულატორით 130კმ/სთ სიჩქარით მოძრაობისას მანქანა შეძლებს 150 კმ-ის გავლას. გამომგონებლები ტრადიციული საჭის ინოვაციური მოწყობილობით შეცვლას გეგმავენ.

ავტომობილის სერიული წარმოება კი გათვალისწინებულია 2019 წლიდან. შემქმნელები იუწყებიან, რომ ავტომობილი დააკმაყოფილებს თანამედროვე ეკოლოგიური მანქანის ყველა მოთხოვნას, ამასთანავე, არც ძვირი იქნება — ეღირება დაახლოებით 22 ათასი ამერიკული დოლარი.

თანამედროვე ელექტრომობილები: Chevrolet Bolt და Tesla Model 3, რომლებიც ბაზარზე გამოსასვლელად ემზადება, დაახლოებით 0,5-ჯერ ძვირი იქნება, ამიტომ Uniti Sweden-ში იმედოვნებენ, რომ მყიდველის ყურადღებას ფასითაც მიიქცევენ.

# ჩინეთში ტურისტებისთვის მსოფლიოში უდიდესი რადიოტელესკოპი გახსნეს



**სააგენტო „სიჰგხუა“ იტყობინება, რომ ჩინეთის სამხრეთ-დასავლეთში ტურისტებისთვის გახსნეს მსოფლიოში უდიდესი რადიოტელესკოპის — Five hundred meter Aperture Spherical Telescope (FAST) კარი. აღსანიშნავია, რომ ჩინეთის მკვიდრნი და სტუმრები მას უფასოდ დაათვალიერებენ.**

FAST ექსპლოატაციაში ჯერ კიდევ 2016 წლის სექტემბერში გაუშვეს, მასზე კი 1994 წლიდან მუშაობდნენ. ტელესკოპის ფართობი 1,6 კმ-ია, ხოლო დიამეტრი — 500 მეტრი. მსოფლიოში უდიდესი ტელესკოპის მშენებლობაზე 180 მლნ დოლარი დაიხარჯა. ტურისტებისთვის მისი გახსნის შემდეგ რადიოტელესკოპის გარშემო მისი გამართული მუშაობის უზრუნველსაყოფად 5 კმ-ის რადიუსში შექმნილია ე.წ. სიჩუმის ზონა. „სიჩუმის ზონაში“ ყველა სახის სატელეკომუნიკაციო მოწყობილობის სიგნალის ჩახშობა ხდება. ამას გარდა, სათვალთვალო მოედანზე შესვლამდე დამთვალიერებლები ვალდებულნი არიან, მობილური ტელეფონები, ციფრული ფოტოაპარატები, სმარტ-სამაჯურები, პლანშეტები, ნოუთბუქები და სხვა მსგავსი მოწყობილობები დატოვონ სპეციალურ ადგილას. მაგრამ იმისათვის, რომ კომპლექსის ტერიტორიაზე კომუნიკაციის საშუალებების გარეშე არ აღმოჩნდნენ, იქ განლაგებულია სატელეფონო ჯიხურები, რომლებიდანაც შესაძლებელია ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ნებისმიერ ნომერზე დარეკვა.

როგორც პრესრელიზშია ნათქვამი, ყოველდღიურად ტელესკოპს შეიძლება ეწვიოს 2 ათასი დამთვალიერებელი, რომელთათვისაც ერთადერთი ხარჯი ავტობუსისა და ასტრონომიული მუზეუმის ბილეთების საფასურის გადახდაა, რომელიც 7 დოლარს არ აღემატება.

# სამართალდამრღვევთა გამოცნობა შესაძლებელია ტვინის სკანირებით



**ახლახან გამოცემა Guardian-ში დაიბეჭდა ვირჯინიის სამედიცინო-ტექნოლოგიური კვლევითი ინსტიტუტის ნევროლოგთა ჯგუფის კვლევის შედეგები. მეცნიერებმა აღმოაჩინეს განსხვავება ნამდვილი დამნაშავისა და იმათი ტვინის მუშაობას შორის, ვინც სამართალდამრღვევი უნებლიეთ ხდება. და ამისათვის საკმარისია მხოლოდ თავის ტვინის სურათის გაანალიზება.**

კვლევისას მეცნიერებმა მოახდინეს 40 ადამიანის თავის ტვინის სკანირება, თითოეულ მათგანს თხოვდნენ, წარმოსახვით საზღვარზე გადაეტანათ ჩემოდანი. მონაწილეთა ნაწილს უნდა წარმოედგინა, რომ ჩემოდანში დევს ნარკოტიკები. დანარჩენებმა კი არ იცოდნენ, რა „გადაჰქონდათ საზღვარზე“, მაგრამ ეჭვობდნენ, რომ რაღაც კანონსაწინააღმდეგოს სჩადიოდნენ. ამას გარდა, სიტუაცია რთულდებოდა იმითაც, რომ არც ერთმა მათგანმა არ იცოდა, „საზღვარზე“ შეამოწმებდნენ თუ არა. „მესაზღვრეები“ კი შემთხვევით არჩევდნენ ადამიანებს, რომლებიც შემოწმებას ექვემდებარებოდნენ. კვლევის პროცესში სპეციალისტები ახდენდნენ ექსპერიმენტის მონაწილეთა თავის ტვინის სკანირებას.

როგორც გაირკვა, დანაშაულის ჩადენისას იმ ადამიანების ტვინში, რომლებიც შეგნებულად არღვევდნენ კანონს, და იმათ ტვინში, ვინც „დანაშაულს სჩადიოდა საკუთარი ნების საწინააღმდეგოდ“, აბსოლუტურად სხვადასხვა განყოფილებაში აქტიურდებოდა ნეირონები.

როგორც ექსპერტები ირწმუნებიან, ბუნებრივია, კვლევები უნდა გაგრძელდეს და მხოლოდ 40 ადამიანზე ჩატარებული ექსპერიმენტით რაიმე დასკვნების გამოტანა ნაადრევია, მაგრამ, თუ მკვლევართა ვარაუდი გამართლდა და ისინი თავის ტვინის სკანირებით მართლაც გამოიცნობენ, როგორ აზროვნებს ნამდვილი დამნაშავე, მსგავსი კვლევა დანაშაულთა გახსნის საუკეთესო საშუალება იქნება.

# «იუთუბიზე» გამოჩნდა გასაიდუმლოებული ატომური ცდების კადრები

**1945—1962 წლებში აშშ-მა ატომური იარაღის ძლიერების გამოცდის მიზნით ატმოსფეროში 200-ზე მეტი ატომური აფეთქება მოახდინა. ეს საშინელი აფეთქებები გადაღებულია სხვადასხვა მხრიდან და სხვადასხვა მანძილიდან. შემდეგ ფილმები (ისინი დაახლოებით 10 ათასი იყო) ინახებოდა ზესაიდუმლო საცავებში, რომლებიც მთელ ქვეყანაში იყო მიმობნეული.**





და აი, ისტორიაში პირველად, ამერიკის ხელისუფლების მიერ დაახლოებით 4200 ფილმი სკანირებული იქნა, 750 კი — განსაიდუმლოებული. მათგან 60-ის ნახვა „იუთუბიზე“ შეიძლება, ზოგი ფერადია, ზოგი — შავ-თეთრი, ყველას უცნაური სახელწოდებები აქვს: ოპერაცია „ჩაიდანი“, ოპერაცია „პლამბბობი“ და სხვ. პროექტის ხელმძღვანელები იმედოვნებენ, რომ ფილმების ჩვენებითა და ანალიზით ისინი დაეხმარებიან ფიზიკოსებს ატომური იარაღის შესწავლაში, ატომური აფეთქებების შესახებ მეტის გაგებაში.

ბოლო ხუთი წლის განმავლობაში ფიზიკოსებმა დაახლოებით 400—500 ფილმი გააანალიზეს.

**ჯიხური WELLPOINT ისეა მოწყობილი, რომ შეუძლია, რაც საჭიროა, დამოუკიდებლად გააკეთოს და ყველაფერზე მხოლოდ 3 წუთი დახარჯოს, მაშინ, როცა მედდას გაცილებით მეტი დრო სჭირდება.**

მოზაიკა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# სიახლე Audi-სგან



**თავის ყოველწლიურ პრესკონფერენციაზე კომპანია Audi-მ დაადასტურა ახალი Q4-ის წარმოებაში ჩაშვება. მისი ფოტოსურათები ჯერ არ ჩანს, მაგრამ ცნობილია, რომ ფაქტობრივად Q4 იქნება კონცეპტ Audi Offroad-ის (2014 წელს პეკინში იქნა წარმოდგენილი) სერიული სახე.**

სხვა კროსოვერებისგან ეს ავტომობილი ვიზუალურად განსხვავდება დაქანებული სახურავითა და დასაკეცი უკანა ბორტით.

ხუთადგილიანი კროსოვერი აშენდება MQB-ს პლატფორმაზე, რომელიც კარგადაა ცნობილი მეორე თაობის მოდელი Q3-დან, მაგრამ მისგან განსხვავებით ახალი უფრო ძვირი ეღირება და კონკურენციას გაუწევს ისეთ ავტომობილებს, როგორიცაა BMW X2, Range Rover Evoque და Mercedes-Benz GLA.

ასევე ცნობილია, რომ ახალი Q4-ს სიგრძე იქნება 4500 მმ, ეს 110 მმ-ით მეტია Q3-ის ანალოგიურ მაჩვენებელზე.

შიგნით ექნება მონიტორი Full-HD, შეძლებს მძღოლის ჟესტების ამოცნობასა და მისი ბრძანებების შესრულებას, ექნება 9,2-დიუმიანი მულტიმედიური სისტემა მონიტორით, ასევე გაჯეტებისთვის უსადენო დამტენი. ძრავის გამა ზუსტად არ არის ცნობილი, მაგრამ სპეციალისტები ვარაუდობენ, რომ Q4-ზე შეიძლება განახლებული 1,5 და 2-ლიტრიანი ბენზინისა და დიზელის „ოთხიანების“ (ოთხი ცილინდრი) გამოყენება, ასევე, სრულიად ახალი 2,5-ლიტრიანი 5-ცილინდრიანი 400-ცხენისძალიანი ძრავის სისტემის.



# ავტომობილისა და კვადროკოპტერის ჰიბრიდის კონცეპტი ქალაქის პირობებში გამოსაყენებლად

**ჯერ კიდევ 80-იან წლებში რობერტ ზემეკისმა ცნობილი ფილმის „უკან მომავალში“ მეორე ნაწილში წარმოადგინა 2015 წელზე თავისი ფუტურისტული ხედვა მფრინავი ავტომობილებითა და სკეიტბორდებით, მაგრამ ახლა 2017 წელია და ჩვენ კი ისევ ძველებურად გადავაადგილდებით.**

ახლახან ცნობილმა კომპანია Airbus-მა წარმოადგინა პერსონალური ჰიბრიდული მფრინავი სატრანსპორტო საშუალება სახელწოდებით Pop.Up.

სხვა მსგავსი ავტომობილებისგან განსხვავებით, Pop.Up მარტივად ტრანსფორმირდება საფრენ აპარატად და პირიქით — საფრენი აპარატიდან ავტომობილად, ირჩევს რა ხელოვნური ინტელექტის მართვის სისტემიდან მოძრაობის ყველაზე ოპტიმალურ ვარიანტს, რომელიც დანიშნულ ადგილამდე მისვლაში მინიმალურ დროს ხარჯავს.

Airbus-ის სპეციალისტებთან ერთად კონცეპტ Pop.Up-ის დამუშავებაში მონაწილეობდა იტალიური დიზაინერული კომპანია Italdesign, რომელიც თანამშრომლობს ისეთ გიგანტურ კომპანიებთან, როგორიცაა Volkswagen, BMW და Alfa Romeo.

# თვითდიაგნოსტიკის სამედიცინო აპარატი WellPoint მედდას შეცვლის



**ბელგიურმა კომპანია BeWell-მა შექმნა აპარატი, რომელიც პაციენტს საშუალებას აძლევს, პირველადი სამედიცინო შემოწმება ექიმთან შეხვედრის მოლოდინში ჩაიტაროს და, სანამ თავის რიგს ელოდება, შეუძლია ეს დრო ტყუილად არ დაკარგოს.**

ჯიხური WellPoint ისეა მოწყობილი, რომ შეუძლია, რაც საჭიროა, დამოუკიდებლად გააკეთოს და ყველაფერზე მხოლოდ 3 წუთი დახარჯოს, მაშინ, როცა მედდას გაცილებით მეტი დრო სჭირდება. გამოკვლევის ჩასატარებლად პაციენტი ჯდება სტენდთან და აჩვენებს მას თავის ID-ბარათს, შემდეგ ხელს შეყოფს წნევის გასაზომში და გაააქტიურებს აპარატს.

აპარატის შემქმნელები იტყობინებიან, რომ **მომავალში WELLPOINT შეძლებს სისხლის ანალიზის აღებას, ისწავლის სისხლში შაქრის დონის განსაზღვრას. ერთი ასეთი ჯიხურის მომსახურება წლიურად სამედიცინო დაწესებულებას დაახლოებით 8 ათასი დოლარი დაუჯდება.**

კორიდორში ჟურნალების თვალიერება არაფერში წაადგება, მაგრამ ექიმთან შესვლის წინ თუკი გაიზომავს წნევას, პულსს და ა. შ., და ამ რუტინული ამოცანების შესრულებით სამედიცინო პერსონალს არ მოაცდენს, მათ უფრო მნიშვნელოვანზე კონცენტრირების საშუალებას მისცემს.



# რობოტ Sally-ს ათასნაირი სალათის გაკეთება შეუძლია



**ინტერნეტში ხშირად შეხვდებით სხვადასხვა სალათის სახელდახელოდ დამზადების რეცეპტებს, მაგრამ კომპანია Chowbotics-ის გამოგონებას მათი დამზადება სხვის დაუხმარებლად შეუძლია და ამ უნარის წყალობით ინვესტორებიც დააინტერესა, რომლებმაც რობოტ-მზარეულ Sally-ში 5 მლნ დოლარი ჩადეს.**

ერთი სიტყვით, ასეთ დამხმარეზე ოცნება ჯერჯერობით ნაადრევია, რადგან **მოცემულ მომენტში ჩვეულებრივ ბინაში Sally ნამდვილად არ დაეტევა. სამაგიეროდ ეს „ლამაზმანი“ ზედგამოჭრილია საზოგადოებრივი კვების ობიექტისთვის და მალე დაამზადებს სალათებს რესტორნებში, კაფეებში, სასტუმროებსა და საავადმყოფოს სასადილოებში.**

Chowbotics-ის ხელმძღვანელი დიპაკა სეკარა დარწმუნებულია, რომ მათი რობოტები ამ გაზაფხულიდან გაიყიდება და პროგნოზირებს, რომ მალე ისინი ჩვეულებრივ ბინებშიც გამოჩნდება.

რობოტი Sally რამდენიმე კვირაში სტაჟირებას გაივლის კალიფორნიისა და სანფრანცისკოს რამდენიმე რესტორანში.

# Baidu-ს ხელოვნურმა ინტელექტმა დამოუკიდებლად საუბარი ისწავლა




**რამდენიმე წელია, ჩინური კომპანია Baidu დაკავებულია ხელოვნური ინტელექტის დამუშავებით. კვლევები ჯერ კიდევ 2013 წელს დაიწყო, ამჟამად კი კომპანია საკმაოდ კარგი შედეგების დემონსტრირებას ახდენს.**

მაგალითად, ახლახან Baidu-ს ხელოვნურმა ინტელექტმა ადამიანის დაუხმარებლად ისწავლა ლაპარაკი. ცოტა ხნის წინათ კი კომპანიამ წარმოადგინა ტექსტის ჩამოყალიბების სისტემა, რომელსაც ეწოდება Deep Voice.

Deep Voice-ს შედეგები ჯერ შორსაა სრულყოფილებისგან, წინ დიდი სამუშაო აქვს. მიუხედავად ჩინური კომპანიის მნიშვნელოვანი მიღწევებისა, ამ სფეროში ლიდერობას კომპანია Google აგრძელებს. მისი სისტემა WaveNet უკვე წარმატებითართმევს თავს ტექსტის შედგენას. ამჟამად ამერიკული ვარიანტი ორ ენაზე საუბრობს და სპეციალისტები მასზე მუშაობას აგრძელებენ. მოცემულ მომენტში Google-ს ახალი თანამშრომლები აჰყავს, გეგმავს რა ამ საკითხზე მომუშავეთა რაოდენობის გაორმაგებას.

ფოსტა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**საქართველოს ისტორიულ-სამართლებრივი ტრადიციებისა და გავრცელებული საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებით, საქართველოს კონსტიტუციამ მიწა უნდა აღიაროს განსაკუთრებულ ეროვნულ საუნჯედ და ქართველი ხალხის სამკვიდროდ.**

# როგორ იცავენ მიწას გასხვისებისგან დემოკრატიული ქვეყნები

**თანამედროვე მსოფლიოში სულ უფრო მწვავდება საკვების რესურსის შემცირების პრობლემა. ეს, პირველ რიგში, ეხება მიწას, განსაკუთრებით — სასოფლო-სამეურნეო სავარგულებს, რადგან ის ანთროპოგენური ზემოქმედების გამო სულ უფრო მცირდება და ეს ხდება პლანეტაზე მოსახლეობის რაოდენობის სწრაფი ზრდის ფონზე.**



**მიწა არის შეუცვლელი, გაუმრავლებელი და ამოწურვადი (შეზღუდული) (VerfGEG21, 73) რესურსი.** კაცობრიობის განვითარების თანამედროვე ეტაპზე განსაკუთრებით აქტუალური საკითხია მიწის ფასი. მოსახლეობის გამრავლებასა და სოფლის მეურნეობის პროდუქტებზე მოთხოვნის ზრდასთან ერთად მცირდება სასოფლო-სამეურნეო სავარგულები და, აქედან გამომდინარე, იწურება რესურსიც. სწორედ ამიტომ **მსოფლიოს თითქმის ყველა სახელმწიფო განსაკუთრებით ფრთხილად ეკიდება სასოფლო-სამეურნეო მიწის უცხოელებისთვის მიყიდვის საკითხს და ეს სფერო უმკაცრესი რეგულაციით გამოირჩევა.** ისინი თვლიან, რომ მიწის განუსაზღვრელი ოდენობით გასხვისება ქვეყნის სასიცოცხლო ამოცანებსა და საზოგადოებრივ ინტერესთან შეუთავსებელია.

**სასოფლო-სამეურნეო მიწის გასხვისების პროცესს ყოველთვის უნდა აკონტროლებდეს სახელმწიფო, რადგან მიწა არის არა მხოლოდ ეკონომიკური, არამედ სოციალური და კულტურული ფასეულობა** (ავსტრიის საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება უცხოელის მიერ უძრავი ქონების შეძენის კანონის კონსტიტუციურობის შესახებ Landesgegesetzblatt Nr. 88/1994)

**1. რა უნდა გავითვალისწინოთ განვითარებული ქვეყნების გამოცდილებიდან?**

მაგალითად, **ავსტრიაში** უცხოელთა მიერ მიწის შეძენა რეგულირდება ცალკეული მიწების კანონებით. ერთ-ერთი მიწის (ბურგერლანდის) კანონით „უცხოელის მიერ უძრავი ქონების შეძენის შესახებ“, უცხოელი უძრავი ქონების შეძენისთვის საჭიროებს ნებართვას (§13). ნებართვა კი, თავის მხრივ, შეიძლება მიღებულ იქნეს, თუ „სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური“ ინტერესები არ იქნება შელახული და თუ: უცხოელი ავსტრიის ტერიტორიაზე, სულ ცოტა, 10 წელი კანონიერად იმყოფება და მისი შენაძენით მნიშვნელოვანი ეკონომიკური, სოციალური, კულტურული ან სხვა საჯარო ინტერესი არ ილახება; ხოლო, თუ უცხოელს ნაყოფიერი სასოფლო-სამეურნეო მიწის შეძენა სურს, ის, ზემოთ მოცემულ ნებართვასთან ერთად, საჭიროებს დამატებით ნებართვას, რომელიც გაიცემა სპეციალური კომისიის მიერ.

**შვეიცარიაში** უცხოელების მიერ მიწის შეძენა დაშვებულია, მაგრამ მხოლოდ ნებართვის აღების პირობით. შვეიცარიის ფედერალური კანონი უცხოელთა მიერ მიწის შეძენის შესახებ პირველი მუხლით ადგენს ამ კანონის მიზანს. ეს არის: **„უცხოეთში მცხოვრებთა მიერ შვეიცარიის მიწის შეძენის შეზღუდვა, რათა თავიდან იქნეს აცილებული შვეიცარიული მიწის „გასხვისება“.**

**თურქეთის** კანონმდებლობით, უცხოელზე გაყიდული მიწა მთლიანობაში არ უნდა აღემატებოდეს 2,5 ჰექტარს (გაზრდა გამონაკლის შემთხვევაში 30 ჰექტრამდე არის შესაძლებელი).

საინტერესოა **გერმანიის** მაგალითი: მყიდველი წარადგენს ამ მიწის დამუშავების კონკრეტულ გეგმას, რომელიც უნდა იყოს გერმანიის პოლიტიკურ-სოციალური ინტერესის შესაბამისი. ამასთანავე, გერმანიაში საკმაოდ ფრთხილი მიდგომაა სასოფლო-სამეურნეო მიწის არასათანადო გამოყენების მიმართ მოქალაქის თუ არამოქალაქის მიერ. ამიტომ ასეთი ნებართვის მოპოვება სპეციალური კომისიის თანხმობის გარეშე შეუძლებელია.

**დანიაში** ერთ პირს უფლება არ აქვს, ჰქონდეს 2 ნაკვეთზე მეტი 24 ჰა საერთო ფართობით; ამასთანავე, ნაკვეთებს შორის მანძილი არ უნდა აღემატებოდეს 20 კილომეტრს. თუ მაინც არსებობს მოთხოვნა, ვინმეს ჰქონდეს 24 ჰა-ზე მეტი, საკითხს მთავრობა იხილავს. მიწის ყიდვა არსად არავის შეუძლია, თუ არ დასტურდება მისი წინა საქმიანობით, რომ ის ფერმერია ან აქვს სპეციალური აგრარული განათლება. ამასთანავე, უცხოელს ბოლო 5 წლის განმავლობაში ამ ქვეყანაში მუდმივი ცხოვრების დამადასტურებელი რეგისტრაცია უნდა ჰქონდეს, რომელსაც დანიის იუსტიციის სამინისტრო გასცემს.

**ევროკავშირის** რიგ ქვეყნებში სახელმწიფო დონეზე (**ირლანდია, ჩეხეთი**) იკრძალება ან იზღუდება სასოფლო-სამეურნეო მიწის უცხო ქვეყნის მოქალაქეებისთვის ან არარეზიდენტი იურიდიული პირებისთვის გადაცემა.

მსგავსი დამოკიდებულებაა ამ საკითხისადმი **იაპონიაში, ისლანდიაში, ახალ ზელანდიაში, მექსიკაში, აშშ-ში, კანადასა და ავსტრალიაში. პოლონეთში** სანებართვო სისტემა მოქმედებს.

**ირლანდიის** კანონმდებლობით, ამ ქვეყანაში 7-წლიანი ცხოვრების ვადაა საჭირო, მიწის შეძენის მსურველმა განცხადებით რომ მიმართოს მიწის კომისიას. **საფრანგეთში** შეზღუდულია ვენახების (ფრანგი ერის სიამაყის საგანი) და, განსაკუთრებით, დიდი ფართობის მიწის შეძენა.

**აშშ-ში** 1978 წელს მიღებულ იქნა ფედერალური აქტი სოფლის მეურნეობაში უცხოური ინვესტიციების შესახებ. მართალია, ამით დაშვებულია უცხო ქვეყნის მოქალაქეების მიერ სასოფლო-სამეურნეო მიწის შესყიდვა, მაგრამ ყოველი კონკრეტული შემთხვევა განიხილება ამ ქვეყნის სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ. ძირითადი რეგულირება აშშ-ში სასოფლო-სამეურნეო მიწის უცხოელებისათვის მიყიდვის საკითხზე ცალკეული შტატის დონეზეა დაწესებული. კანონმდებლობა აკრძალვების სხვადასხვა დონეს გულისხმობს და უკვე შტატების ნახევარზე მეტშია მიღებული. ამასთანავე, რაც უფრო სასოფლო-სამეურნეო მიმართულებისაა შტატის ეკონომიკა, მით მკაცრია აკრძალვა, უცხოელებისთვის სასოფლო-სამეურნეო მიწის შესყიდვის სრულ აღკვეთამდე. ამის შედეგია ის, რომ **აშშ-ში სასოფლო-სამეურნეო მიწის მხოლოდ 1%-ზე ნაკლები ეკუთვნის უცხო ქვეყნის მოქალაქეებს, რომლებიც, ძირითადად, ევროპელები და კანადელები არიან.**

**2. საკუთრების უფლების შეზღუდვა საზოგადოების წინაშე პოზიტიური ვალდებულებებით გერმანიის კონსტიტუციის მაგალითზე**

იმ ევროპული ქვეყნების კონსტიტუციები, რომლებიც მიწის საკუთრების საკითხს არა ცალკე, არამედ საკუთრების უფლებას საერთო კონტექსტში აწესრიგებს (მაგ., ჩეხეთის, უნგრეთის, ლატვიის, ესტონეთის და სხვ. კონსტიტუციები), აუცილებლად ხაზს უსვამს საკუთრების, როგორც არა მხოლოდ უფლებრივ, არამედ ამ უფლებასთან იმთავითვე განუყოფლად დაკავშირებულ საზოგადოების წინაშე ვალდებულებით ხასიათს. ამ თვალსაზრისით სამაგალითოა გერმანიის კონსტიტუცია (მიღებულია 1949 წელს, არსებითი ცვლილებები და დამატებები შეტანილია 1994 წელს), რომლის მე-14 სტატიის 1-ელი პუნქტი, აღიარებს რა საკუთრების უფლებას და განსაზღვრავს, რომ მისი შინაარსი და ფარგლები კანონით დგინდება, იქვე, მე-2 პუნქტში ხაზგასმით მითითებულია ამ უფლების საზოგადოების წინაშე ვალდებულებებისგან განუყოფლობა: **„საკუთრების გამოყენება, ამასთანავე, უნდა ემსახურებოდეს საზოგადოებრივ სიკეთეს“.**

ამგვარი შინაარსის ჩანაწერი, სხვადასხვა ფორმულირებით, დამახასიათებელია თითქმის ყველა ევროპული კონსტიტუციისთვის. მსგავსი ჩანაწერი უნდა იყოს საქართველოს მოქმედი კონსტიტუციის 21-ე მუხლში. საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციის 116-ე მუხლი ამბობს, რომ „მიწის დამუშავება და გამოყენება შეადგენს მიწის მფლობელის მოვალეობას საზოგადოების წინაშე“.

**3. მიწა, როგორც განსაკუთრებული საზოგადოებრივი სიკეთე გერმანიის საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების მაგალითზე**

გერმანიის კონსტიტუციაში მიწის და მისი წიაღის გასაჯაროებაზეც არის საუბარი (მე-15 სტატია), თუმცა კონსტიტუციის ტექსტში მიწის, როგორც განსაკუთრებული ღირებულების, შესახებ, პირდაპირი ჩანაწერი არ გვხვდება. მიუხედავად ამისა, გერმანიის ფედერალურმა საკონსტიტუციო სასამართლომ თავის ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში (VerfGE 21, 37 [82]) განმარტა: **„იმ გარემოებიდან გამომდინარე, რომ მიწა არ ექვემდებარება გამრავლებას და შეუცვლელია, აკრძალულია მისი გამოყენების სრულად მინდობა და დათმობა თავისუფალი ძალების განუსაზღვრელი თამაშისა და ცალკეული პირის შეხედულებისთვის. სამართლიანი სამართლებრივი და საზოგადოებრივი სისტემა მოითხოვს მიწის მიმართ საზოგადოებრივი ინტერესების მეტად გათვალისწინებასა და გამოხატვას, ვიდრე სხვა ქონებრივი სიკეთეების შემთხვევაში“.**

საქართველოს ისტორიულ-სამართლებრივი ტრადიციებისა და გავრცელებული საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებით, საქართველოს კონსტიტუციამ მიწა უნდა აღიაროს განსაკუთრებულ ეროვნულ საუნჯედ და ქართველი ხალხის სამკვიდროდ.

**4. უცხოელებზე მიწის გაყიდვის შეზღუდვა ლიტვის კონსტიტუციის მაგალითზე**

ზოგიერთი ევროპული კონსტიტუცია პირდაპირ ზღუდავს უცხოელებზე მიწის გასხვისებას. სანიმუშოდ მოვიყვანთ ყოფილი სსრკ-ის რესპუბლიკის, დღეს ევროკავშირის წევრი სახელმწიფოს — ლიტვის კონსტიტუციის 47-ე სტატიის ჩანაწერს:

„მიწა, წყლები. ტყეები, პარკები საკუთრების უფლებით შეიძლება ეკუთვნოდეთ მხოლოდ ლიტვის მოქალაქეებს და სახელმწიფოს. თვითმმართველობებს, სხვა ეროვნულ სუბიექტებს, აგრეთვე, ლიტვაში სამეურნეო საქმიანობის განმახორციელებელ უცხოელ სუბიექტებს, ლიტვის რესპუბლიკის მიერ არჩეული ევროპული და ტრანსატლანტური ინტეგრაციის შესაბამისად და კონსტიტუციური კანონით განსაზღვრული კრიტერიუმების საფუძველზე, შეიძლება ნება დაერთოთ, შეიძინონ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთები, რომლებიც აუცილებელია უშუალო საქმიანობის განსახორციელებლად საჭირო შენობა-ნაგებობების მშენებლობისა და ექსპლუატაციისთვის. ასეთი ნაკვეთების საკუთრებაში შეძენის წესი, პირობები და შეზღუდვები განისაზღვრება კონსტიტუციური კანონით. კანონით დადგენილი წესით, მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლება შეიძლება ჰქონდეს უცხო სახელმწიფოს მისი დიპლომატიური და საკონსულო დაწესებულებების დასაფუძნებლად. ლიტვის რესპუბლიკის განსაკუთრებულ საკუთრებას განეკუთვნება მიწის წიაღი, აგრეთვე, შიგა წყლები, ტყეები, პარკები, გზები, ისტორიის, არქეოლოგიისა და კულტურის სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ობიექტები. ლიტვის რესპუბლიკის განსაკუთრებულ საკუთრებას განეკუთვნება, აგრეთვე, ლიტვის ტერიტორიის თავზე საჰაერო სივრცე, კონტინენტური შელფი და ბალტიის ზღვის ეკონომიკური ზონა“.

როგორც ვხედავთ, ლიტვის კონსტიტუცია უკიდურესად ზღუდავს, ხოლო სასოფლო-სამეურნეო მიწის შემთხვევაში — საერთოდ კრძალავს უცხო სუბიექტებზე მიწის გასხვისებას. ანალოგიური დამოკიდებულება უნდა ჰქონდეს საქართველოს ხელისუფლებას კანონმდებელთა ჩათვლით.

**პაატა კოღუაშვილი**,
პროფესორი

**P.S. ქართველი გლეხკაცი, როგორც მიწის მესაკუთრე — მისი პოტენციური მყიდველი, მომხმარებელი, მფლობელი და გაჭირვების გამო გამყიდველი — არაკონკურენტუნარიანია უცხოელებთან შედარებით, რომლებსაც, შესაძლებელია, მიწის ეს ნაკვეთი სხვა, არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულებისთვის უნდოდეთ — აგარაკების აგებით დაწყებული და სხვა ქვეყნებში წასაღებად ნაყოფიერი ზედა ფენის მოჭრით დამთავრებული. საკამათო არც ისაა, რომ უცხოელებს გაცილებით უკეთესი პირობები აქვთ საქმის წამოსაწყებად, ვიდრე ადგილობრივებს, რაც კატეგორიულად დაუშვებელია განსაკუთრებით ისეთ ტრადიციულ დარგში, როგორიც სოფლის მეურნეობაა. გარდა ამისა, სოფლის მეურნეობა არ არის ინვესტიციატევადი დარგი და აქ ინვესტორის წახალისების პოლიტიკა ყველაფრის ფასად არ უნდა ტარდებოდეს. საერთაშორისო პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ სასოფლო-სამეურნეო მიწას პრაქტიკულად არც ერთი ქვეყანა არ ასხვისებს ინვესტიციების მოზიდვის მიზნით, რადგან მიაჩნიათ, რომ უცხოელი ინვესტორები აჩანაგებენ ღარიბ, მცირემიწიან ადგილობრივ ფერმერებს.**

**სახელმწიფოებრიობის პრინციპების კონტექსტში მიწის მაღალ რანგში აყვანა კანონმდებელს ავალდებულებს, შექმნას ისეთი საკანონმდებლო ბაზა, რომელიც თავისი ქვეყნის მოქალაქეების, საზოგადოების საჯარო ინტერესის სასარგებლოდ და, მიწის სოციალური დანიშნულების ხასიათიდან გამომდინარე, არა მხოლოდ შეუზღუდავს, არამედ აუკრძალავს კიდეც უცხოელს სასოფლო-სამეურნეო მიწის საკუთრებაში ქონას.**

ნუშის ჯიშების უმეტესობა თვითსტერილურია და ჯვარედინ დამტვერიანებას მოითხოვს, ამიტომ ნუშის პლანტაციის გაშენებისას საჭიროა, მეხუთედი ნერგებისა დაირგოს სხვა ჯიშის, როგორც ეს თხილის შემთხვევაში ხდება. სავეგეტაციო პერიოდი 200 დღემდე გრძელდება. ნუშის თესლნერგები მსხმოიარობაში შედის დარგვიდან 4-5 წელიწადში, ხოლო ნამყენი ნერგები — მე-3 წლიდან. 15-წლიანი ნუშის ხე, ნორმალური განვითარების შემთხვევაში სრულმსხმოიარობაშია. 30—40 წლის შემდეგ ხეები იწყებს მოსავლიანობის კლებას და შემდგომი 60 წელი დაბალ მოსავალს იძლევა.

ფერმერის სკოლა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიისა და გაზეთ „საქართველო და მსოფლიოს“ ერთობლივი პროექტი

რუბრიკას უძღვება საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი გოგოლა მარგველაშვილი.

# ნუშის კულტურა, ბაღის გაშენება და მოვლა



**საქართველოში ნუშის კულტურა ფართოდ ყოფილა გავრცელებული სამხრეთ და დასავლეთ საქართველოს მთისწინეთში, როგორც საოჯახო ხე-მცენარე, რომელიც თითქმის ყველა ეზოში ჰქონდათ დარგული. მე-13 საუკუნეში „წიგნი სააქიმოის“ ფურცლებზე სხვადასხვა სახის მრავალი დაავადების საწინააღმდეგო წამლის გვერდით დასახელებულია, როგორც თვით ნუში, ასევე მისი ზეთიც თირკმლის ტკივილის, ყურის დაავადების, შარდსადენი გზების, კანისა და სხვა დაავადებების მკურნალობისთვის.**

ნუში გამოიყენება, როგორც ნედლ ხილად — ნუგბარად, ისე საკონდიტრო მრეწველობასა და მედიცინაში. იგი შესანიშნავი თაფლოვანი მცენარეა, ადრე ყვავილობის გამო ფუტკრისთვის კარგ საკვებ ბაზას წარმოადგენს. მნიშვნელოვანია ამ კულტურის ნაყოფების მაღალი სასაქონლო, სამეურნეო, კომერციული და კვებითი ღირებულებები, რომლებიც კიდევ უფრო აქტუალურს ხდის ამ კულტურის გაშენების მიზაშეწონილობას.

ნუში ეკუთვნის ვარდყვავილოვანთა (Rosaceae) ოჯახს და სხვა კურკოვნებთან ერთად გაერთიანებულია ტყემლისებრთა ქვეოჯახში. ნუშის გვარში გაერთიანებულია 40-ზე მეტი სახეობა. საქართველოში ცნობილია ნუშის ადგილობრივი ჯიშები, როგორიცაა: გიკა, შირაქულა, ძეგვური, შაქარა, თხელნაჭუჭა, ლისი, პატარძეული №1 და №10, სიღნაღური, ქართული №5 და №8, კარდანახული, ფერანი და სხვ. მეტად პერსპექტიულად ითვლება ნუშის გარეული სახეობა, ქართული ნაგალა ნუში — Amygdalus georgica, რომელიც საქართველოს სხვადასხვა რეგიონშია გავრცელებული (ტირიფონი, ნადარბაზევის ქედი, ალაზნის, სამგორისა და უდაბნოს ველზე).

ჩვეულებრივი ნუში 4-8 მეტრი სიმაღლის მრავაწლოვანი, ფოთოლმცვენი ხე-მცენარეა, ზოგჯერ გვხვდება 10-12 მეტრის სიმაღლის მცენარეებიც. აგრონომიული თვალსაზრისით, **ნუშის ჯიში უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს: ნაჭუჭი უნდა იყოს თხელი, რბილი, ფხვიერი. გამონაკლის შემთხვევაში დასაშვებია მაგარნაჭუჭიანი ჯიში, როგორც უხვმოსავლიანი. გულის გამოსავალი უნდა შეადგენდეს 40-დან 65-70%-მდე, ხოლო ზეთის შემცველობა არანაკლებ 45-50 %-ს მშრალ ნივთიერებაზე გადაყვანით. გემო უნდა ჰქონდეს კარგი და სასიამოვნო.**

ნუში, როგორც წესი, კარგად ვითარდება კირით მდიდარ ნიადაგებზე, ასევე, კარგად ვითარდება მცირედ დამლაშებულ ნიადაგებზეც, რამაც განაპირობა მისი ალაზნის ველზე გავრცელება. ნუშის თავისებურებას წარმოადგენს მისი ძალზე ადრე ყვავილობა, რაც დაკავშირებულია მისი მოკლე ბუნებრივი დასვენების პერიოდთან. რეგენერაცია და ყვავილობა ხშირ შემთხვევაში დაბალი ტემპერატურის პირობებში მიმდინარეობს, ყვავილობის პერიოდიც გახანგრძლივებულია 2 კვირამდე. **ნუში ითვლება შედარებით ყინვაგამძლე მცენარედ, რადგან მას შეუძლია, გადაიტანოს ტემპერატურის ხანმოკლე დაცემა მინუს 25 გრადუსამდე.**

ნუშის ჯიშების უმეტესობა თვითსტერილურია და ჯვარედინ დამტვერიანებას მოითხოვს, ამიტომ ნუშის პლანტაციის გაშენებისას საჭიროა მეხუთედი ნერგებისა დაირგოს სხვა ჯიშის, როგორც ეს თხილის შემთხვევაში ხდება. სავეგეტაციო პერიოდი 200 დღემდე გრძელდება. ნუშის თესლნერგები მსხმოიარობაში შედის დარგვიდან 4-5 წელიწადში, ხოლო ნამყენი ნერგები — მე-3 წლიდან. 15-წლიანი ნუშის ხე, ნორმალური განვითარების შემთხვევაში სრულმსხმოიარობაშია. 30-40 წლის შემდეგ ხეები იწყებს მოსავლიანობის კლებას და შემდგომი 60 წელი დაბალ მოსავალს იძლევა. საქართველოში, განსაკუთრებით კახეთში, ვხვდებით საუკუნოვან ნუშის ხეებს.

ნუშის ხის ფესვთა სისტემა ვერ იტანს ტბების, გუბეების სიახლოვეს. ისეთი ადგილები, სადაც გრუნტის წყლები ნიადაგში 1-1,5 მეტრის სიმაღლეზეა და არ არის მოძრავი, ნუშისთვის საზიანოა. მცენარე ვერ ვითარდება, ფესვთა სისტემა განიცდის კვდომას. მცენარე დროზე ადრე ხმება, აქედან გამომდინარე, დასავლეთ საქართველოს ჭარბტენიან ნიადაგებზე ნუშის კულტურა ვერ ვითარდება.

თავისი ძლიერი ფესვთა სისტემით ნუში, შესაძლებელია, ისეთ ადგილებზე გაშენდეს, რომლებზეც სხვა კულტურების გაშენება-გავრცელება შეუძლებელია. საქართველოში ძალიან ბევრია ადგილი, რომლებზეც შესაძლებელია ნუშის კულტურის წარმატებით გაშენება-გავრცელება. კერძოდ, თბილისის გარეუბანში, მცხეთა-თიანეთის, კახეთის, შიდა და ქვემო ქართლის მეხილეობის ზონებში.

## ნერგის გამოყვანა

**1.საძირე.** ნუშის კულტურის საუკეთესო ნიშან-თვისებების მქონე ჯიშებისა და ფორმების შენარჩუნების მიზნით გამრავლების ძირითადი წესია ვეგეტატიურად, მყნობით გამრავლება.

უპირველესად, საჭიროა, მიღებულ იქნეს ნუშის სტანდარტული საძირეები, ვინაიდან მყნობის წარმატება და ნამყენი ნერგის გამოსავლიანობა სანამყენე კომპონენტების (საძირე, საკვირტე მასალა) ხარისხზეა დამოკიდებული. საძირე და სანამყენე (კვირტი) — ეს ორივე ნაწილი მყნობის შემდეგ ერთ მთლიან ორგანიზმს, ნამყენ მცენარეს ქმნის და თითოეული მათგანის ცხოველმყოფელობა მჭიდროდაა დაკავშირებული ერთმანეთთან. გადამწყვეტი მნიშვნელობა მაინც საძირეს ენიჭება. პრაქტიკაში ნუშის საძირედ გამოიყენება ტყემალი, ატამი, ჭერამი, ქლიავი; მაგრამ ნუშის ძირითად საძირედ მაინც ჩვეულებრივი ნუში (მწარე ან ტკბილი) ითვლება.

საძირე თესლნერგების მისაღებად თესლის თესვა სხვადასხვა დროს და სხვადასხვა პირობებში ხდება, შემოდგომაზე და ზამთრის პირას — ნოემბერ-დეკემბერ-იანვარში, სტრატიფიცირებული თესლით კი ითესება გაზაფხულზე.

ნუშის თესლში მიმდინარეობს რთული ფიზიოლოგიური პროცესები და 30-35 დღის შემდეგ თესლი იწყებს გაღივებას, ნაჭუჭი სკდება. ითესება თებერვლის ბოლოს — მარტის პირველ დეკადაში 100 X 20 სმ კვების არეზე 5-6 სმ სიღრმეზე. ნუშის თესლის შემოდგომით დათესვისას საჭიროა ნათესარების დაცვა მავნებლებისგან (მღრღნელი) და ფრინველებისგან.

**2. თესლის დამზადება** წარმოებს აპრობირებული ჯანსაღი სადედე ხეებიდან სრულ ბოტანიკურ სიმწიფეში. გადარჩევის შემდეგ თესლი მოთავსდება მშრალ ადგილას ლასტებზე, სათავსოში, სადაც უზრუნველყოფილია განიავება. გაშრობის შემდეგ თესლი თავსდება ტომრებში და დათესვამდე ინახება.

შემოდგომაზე თესვისას თესლი სტრატიფიკაციას არ საჭიროებს. გაზაფხულზე თესვისას კი ჩატარდება სტრატიფიკაცია 65-70 დღის ხანგრძლივობით ტენიან ქვიშაში (1 წილი თესლი, 2 წილი ქვიშა) 3-5 გრადუსი ტემპერატურის პირობებში.

## დახურულ ფესვთა სისტემით ნერგის გაზრდა

დახურულ ფესვთა სისტემით ნუშის ნერგის წარმოებისთვის გამოიყენება პოლიეთილენის ტოპრაკები, მცირე მოცულობის პლასტმასის ჭურჭელი, სპეციალური ქოთნები და ა.შ.; მოსახერხებელია და იაფია პოლიეთილენის ტოპრაკები ზომით 40X20 სმ.

ნაზავად გამოიყენება: ფხვიერი მიწა, მდინარის შლამი, გადამწვარი ნაკელი, ტორფი. საუკეთესო ნაზავია გადამწვარი ნაკელი და კორდის მიწა — შეფარდებით 1:1. დასათესი ჭურჭლის ნაზავით შევსების შემდეგ იგი ირწყვება და ნუში მასში სათითაოდ ითესება 5-6 სმ სიღრმეზე.

ნერგების მოვლა ითვალისწინებს მორწყვას, მავნებელ-დაავადებებთან ბრძოლას, ფესვურ და ფესვგარეშე გამოკვებას. გამოიყენება კრისტალონი — 300 გრ 100 ლ წყალში. გამოკვება და შესხურება ხდება 3-ჯერ 10-10 დღის ინტერვალით.

**3. მყნობა.** ნუშის მყნობა ტარდება კვირტით — ზაფხულის ბოლოს აგვისტოს მეორე ნახევრიდან სექტემბრის შუა რიცხვებამდე. შეხორცების შემდეგ დახურულ ფესვთა სისტემით აღზრდილი ნამყენი გვიან შემოდგომაზე ან ადრე გაზაფხულზე, კვირტების ზრდის დაწყებისას, გადაირგვება ბაღში. ტრადიციულად, სანერგიდან მიღებული ნამყენის შტამბის სიმაღლე 60-70 სმ-ია.

## ნუშის ბაღის გაშენება

ადგილის შერჩევა და მომზადება. ნუშის სამრეწველო ბაღის გაშენებისას, პირველ რიგში, უნდა გავითვალისწინოთ სითბოს რეჟიმი, გაზაფხულის გვიანი წაყინვების საშიშროება, ნალექების რაოდენობა, ქარების სიძლიერე და მიმართულება, ნიადაგის ტიპი. ბაღებისთვის უნდა შეირჩეს ღრმა, სარწყავი წყლით უზრუნველყოფილი ნიადაგები. ბაღი უნდა გაშენდეს ქარებისგან ბუნებრივად დაცულ ადგილებში ან მოეწყოს ქარსაფარი ზოლები — 3 წლით ადრე. ნაკვეთი წინასწარ უნდა გასუფთავდეს ქვა-ღორღისგან, ბუჩქნარისგან, სასურველია მრავალწლოვანი ბალახების თესვა და შემდეგ მისი ჩახვნა ორგანულ-მინერალურ სასუქებთან ერთად.

ბაღის გაშენებამდე ნიადაგი უნდა მოიხნას ღრმად 50-60 სმ-ზე, ხვნა უნდ ჩატარდეს 30 სექტემბრამდე. ძირითადი ხვნის შემდეგ ნაკვეთი უნდა მოშანდაკდეს და დაიგეგმოს. **უხვი მოსავლის მიღებისა და მცენარის პროდუქტიულობის პერიოდის გახანგრძლივებისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს კვების არის დადგენას, რომლის დროსაც გათვალისწინებული უნდა იქნეს ჯიშური თავისებურება, ნიადაგური პირობები, რელიეფი და სხვ.** ღრმა ნიადაგებზე კარგ შედეგს იძლევა 7X8, ღორღიან ნიადაგებზე 7 X 5 კვების არეზე გაშენება. ნუშის ნერგის დარგვა შესაძლებელია როგორც შემოდგომით, ისე გაზაფხულზე — უპირატესობა ენიჭება შემოდგომით გაშენებას; დასარგავი ორმოები ამოიღება 40X50 სმ სიღრმეზე. დარგვის წინ ორმოებში შეიტანება ორგანულ-მინერალური სასუქები — ნაკელი 12-15 კგ; ნიტროამოფოსკა 100-120 გრ; დარგვის შემდეგ ნიადაგი უნდა მოიტკეპნოს, გაუკეთდეს ჯამები და მოირწყას.

**უხვი და მაღალხარისხოვანი მოსავლის მისაღებად აუცილებელია ბაღის განოყიერება მინერალური და ორგანული სასუქებით. საკვები ელემენტებიდან ნუშის კულტურას განსაკუთრებით სჭირდება ფოსფორი, კალიუმი და აზოტი.** მინერალური სასუქები დადებით შედეგს იძლევა როგორც ცალ-ცალკე, ისე ერთობლივი გამოყენების პირობებში. მათი ეფექტი განსაკუთრებით დიდია ნაკელთან ერთად შეტანის შემთხვევაში. მინერალური სასუქების დოზებისა და ვადების დადგენა ხდება ნიადაგობრივ-კლიმატური პირობების, მცენარის ასაკის, ჯიშური თავისებურებებისა და გამოყენებული სასუქების თვისებების გათვალისწინებით.

ნუში გვალვაგამძლე კულტურაა, მაგრამ ვეგეტაციის პერიოდში მცენარის 3-4-ჯერ მორწყვა დადებით შედეგს იძლევა — იზრდება მოსავლიანობა და უმჯობესდება ხარისხი.

**სხვლა-ფორმირება.** ნუში ბუნებრივად ივითარებს ცოცხისებურ, განიერ-პირამიდულ, მომრგვალო-პირამიდულ, დახრილტოტებიან ფორმის ვარჯს.

ნუშის სანაყოფე ნაზარდები არ საჭიროებს დამოკლებას. შემოდგომაზე ვარჯი უნდა გასუფთავდეს ჩახშირებული და ხმელი ტოტებისგან, რათა გაუმჯობესდეს ვარჯის განათება და სანაყოფე ტოტების სწრაფი განვითარება. ნუშის ხის გაახალგაზრდავების დროს უნდა დამოკლდეს ახალგაზრდა ტოტები და გამოიხშიროს სანაყოფე მობერებული ტოტები. გასხლული და ფორმირებული ნუშის ნარგაობა ივითარებს ჯიშისთვის დამახასიათებელ ვარჯის ფორმას.

ნუშის მავნებელ-დაავადებათა წინააღმდეგ ბრძოლა მოიცავს აგროტექნიკური, პროფილაქტიკური და ქიმიური ბრძოლის ღონისძიებების თანმიმდევრულ ჩატარებას. პროფილაქტიკური ღონისძიებებიდან აუცილებელია დაავადებული, დაზიანებული, გამხმარი ნაწილების (ტოტები, ფოთლები, ნაყოფები) შეგროვება და დაწვა, შტამბის ჩამოფხეკა, კირწყლის წასმა. მცენარეების დროული გასხვლა, ნასხლავის დაწვა, გადანაჭრებზე ბაღის მალამოს წასმა. ბრძოლის ქიმიური მეთოდებიდან ფოთოლცვენის შემდეგ შემოდგომაზე ან ზამთრის ბოლოს, კვირტების დაბერვამდე, საჭიროა, ჩატარდეს 3-4%-იანი ზეთოვანი ემულსიისა და 0,2%-იანი ბი-58 ან ზოლონის ხსნარით მცენარეების დამუშავება (3-4 ლ ზეთოვანი ემულსია + 0,2 ლ ბი-58 ან ზოლონი 100 ლ წყალში).

დაავადების წინააღმდეგ კვირტების დაბერვამდე, აუცილებელია, მცენარეებს შესხურდეს 3-4 %-იანი ბორდოს სითხე. მეორე წამლობა უნდა ჩატარდეს უშუალოდ ყვავილობის დაწყების წინ, ხოლო ყვავილობის დამთავრებისთანავე მომდევნო ორი წამლობა ტარდება 12-14 დღის ინტერვალით. ფუნგიციდებიდან გამოიყენება ანტრაკოლი, კუპროქსატი, ბორდოს ნარევი, ზატო, დელანი და სხვ., ხოლო ინსექტიციდებიდან დეცის პროფი, კოფიდორ მაქსი, კალიფსო, ფასტაკი და სხვ.

**მოსავლის აღება.** ნუშის საადრეო ჯიშები მწიფდება აგვისტოს პირველი დეკადიდან თვის ბოლომდე, საგვიანო ჯიშები კი — სექტემბრის მეორე-მესამე დეკადაში. მომწიფებული ნაყოფების ლენჯო ყვითლდება და იხსნება. ეს ყველაზე კარგი პერიოდია მოსავლის ასაღებად. ჩამოცვენილი და დაკრეფილი ნაყოფი უნდა განთავისუფლდეს გარე გარსისგან, გაიშალოს მშრალ ადგილზე გაფანტულ სინათლის შუქზე. პერიოდულად უნდა მოხდეს არევა. გამშრალი, გადარჩეული სალი ნაყოფ უნდა მოთავსდეს ჰაერგამტარ ტოპრაკებში და დალაგდეს სარდაფში, რომელიც პერიოდულად ნიავდება.

**იუზა ვასაძე,**
**საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი;**
**ნუგზარ შენგელია,**
**სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი**

# მაკეინმა კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ მისი მოსაზრებები საგარეო პოლიტიკის საკითხებზე სანდო არ არის


ჯონ მაკეინი

**ოდიოზურმა სენატორმა — რესპუბლიკელმა ჯონ მაკეინმა კიდევ ერთხელ აჩვენა საზოგადოებას, რატომ არ უნდა მიიღონ მისი მოსაზრებები სერიოზულად, როცა ლაპარაკია საგარეო პოლიტიკაზე.**

15 მარტს სენატორმა **ჯონ მაკეინმა** თავისი კოლეგა **რენდ პოლი** „ვლადიმერ პუტინთან თანამშრომლობაში" დაადანაშაულა. მაკეინის მრისხანებას საზღვარი არ ჰქონდა, როდესაც რენდ პოლმა მხარი არ დაუჭირა აშშ-ის სენატის რეზოლუციას ნატოში ჩერნოგორიის მიღების თაობაზე.

მაკეინის ბრალდება თავისთავად მიუღებელია, თუმცა ის, აგრეთვე, მიუთითებს, როგორი სუსტია ნატოში ჩერნოგორიის მიღების არგუმენტები. ალიანსს ახალი წევრის მიღების საკმარისი მიზეზები რომ ჰქონდეს, მაკეინს არ დასჭირდებოდა თავდასხმა რენდ პოლზე, როგორც „პუტინის მარიონეტზე", მაგრამ ასეთი მიზეზები არ არსებობს და ამას მაკეინიც მშვენივრად აცნობიერებს.

პირიქით — **არსებობს ბევრი სარწმუნო არგუმენტი, რომელთა მიხედვით ნატომ არ უნდა მიიღოს ჩერნოგორია თავის რიგებში, რადგან ეს ამერიკას ან ნატოს უფრო უსაფრთხოს ვერ გახდის, მაგრამ მაკეინისთვის უფრო ადვილია თავის ოპონენტების მოტივებზე კამათი, ვიდრე ოპონენტების არგუმენტების გაბათილება დებატებში. მაკეინს კი სურს, დებატები თავიდან აიცილოს, რადგან არ აქვს საკმარისი არგუმენტები თავისი პოზიციის დასაცავად, ამიტომ ცდილობს, უსაფუძვლო ბრალდებებით გავიდეს ფონს.** მაკეინმა არაერთხელ აჩვენა, რომ მისი მოსაზრებები საგარეო პოლიტიკაში სანდო არ არის. ეს მან ბოლო გამოხდომითაც დაამტკიცა.


რენდ პოლი

სენატორი რენდ პოლი უკვე გამოვიდა განცხადებით, რომლითაც ახსნა თავისი პოზიცია: **„ამჟამად აშშ-ს თავისი ჯარები ჰყავს ათობით ქვეყანაში და აწარმოებს საომარ მოქმედებებს ერაყში, სირიაში, ლიბიასა და იემენში (პაკისტანში უპილოტო თვითმფრინავების დარტყმასთან ერთად). ამასთანავე, აშშ-ს ვალდებულება აქვს, დაიცვას ნატოს 28 ქვეყანა. თუ გავითვალისწინებთ, რომ აშშ-ის საგარეო ვალი 20 ტრილიონი დოლარია, არაგონივრულია ჩვენი ქვეყნის ფინანსური და სამხედრო ვალდებულებების გაფართოება".**

# RFS: საფრანგეთში გასტარბაიტერებს მიუთითეს — «ილაპარაკეთ მოლიერის ენაზე». რასიზმია თუ უსაფრთხოება?

**საფრანგეთის რიგი რეგიონების ადმინისტრაციამ მიიღო „მოლიერის უფლება", რომელიც მუნიციპალური სამშენებლო დაკვეთების მუშაკებს ავალდებულებს, მხოლოდ ფრანგულად ილაპარაკონ.**



ეს გადაწყვეტილება მიღებულია უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით, მაგრამ ევროკავშირის მოხელეები მიიჩნევენ, რომ ეს არის დისკრიმინაცია ეროვნული ნიშნით.

ამავე აზრზე დგას საფრანგეთის ეკონომიკისა და ფინანსების მინისტრი **მიშელ საპენი**, რომელმაც იურიდიულ დეპარტამენტს დაავალა, შეისწავლოს „მოლიერის უფლების" კანონიერება. იურიდიული სამსახურის ვერდიქტამდე რეგიონული ხელისუფლების გადაწყვეტილება „რასისტულად, დისკრიმინაციულად და მიუღებლად" მიიჩნიეს.

„მოლიერის უფლების" მიზანია, მუნიციპალურ მშენებლობებზე მუშაობის საშუალება აღუკვეთონ გასტარბაიტერებს, რომლებსაც ფრანგული არ ესმით. არადა, ენის ცოდნა აუცილებელია „უსაფრთხოების ღონისძიებათა უზრუნველსაყოფად". თუ მუშებს ფრანგული არ ესმით, ისინი ვერ შეძლებენ ქცევის წესების გაგებასა და დაცვას ობიექტებზე, მიიჩნევს რესპუბლიკელების მემარჯვენე პარტიის წევრი, ოვერნ-რონა-ალპების რეგიონის მეთაური **ლორან ვოკიე.**

„მოლიერის უფლება" პირველმა 43-ათასიანი ქალაქ ანგულების მერმა **ქსავიე ბონფონმა** გამოიყენა. 2014 წლის ბოლოს იგი მთელ საფრანგეთში ცნობილი კაცი გახდა მას შემდეგ, რაც ანგულების ცენტრში მდგარი სკამები რკინის ბადეებით შემოალობინა, რათა უსახლკაროებს იქ ღამის გათევის საშუალება არ ჰქონოდათ. ეს ნოუჰაუ მალევე გააუქმეს საზოგადოების პროტესტის გამო.

**იურისტები დარწმუნებულები არიან, რომ უთუოდ ასევე დაემართება „მოლიერის უფლებას"; მას გააუქმებს სასამართლო, რადგან ეწინააღმდეგება როგორც ფრანგულ, ასევე ევროპულ კანონებსა და ნორმატივებს.**

„მოლიერის უფლების" მომხრეები კი დარწმუნებულნი არიან, რომ სწორედ ამ „უფლების" დანერგვით დაუბრუნებენ სამუშაო ადგილებს ფრანგებს, რომლებიც ქვეყანაში არსებული მაღალი გადასახადებისა და სოციალური გადასახადების გამო, კონკურენციას ვერ უწევენ უცხოელ მშენებლებს.

**ზემოთ ნახსენებმა ლორან ვოკიემ უკვე განაცხადა, რომ თავის რეგიონში არ აპირებს „მოლიერის უფლების" გაუქმებას და საჭიროების შემთხვევაში გაასაჩივრებს სასამართლო გადაწყვეტილებას.**

**ამრიგად, ეს მემარჯვენე პოლიტიკოსი უკვე ცდილობს, დე ფაქტო ძირი გამოუთხაროს ევროკავშირის საფუძვლებს, ანუ აკეთებს იმავეს, რასაც ულტრამემარჯვენე მარინ ლე პენი მხოლოდ ჰპირდება საფრანგეთის მოქალაქეებს, თანაც იმ შემთხვევაში, თუ მას პრეზიდენტად აირჩევენ.**

ფრანსუა ფიიონი, რომელსაც საფრანგეთის პროკურატურამ 50 000 ევროს ღირებულების კოსტიუმები ახლახან „შეუკერა", ამ საკითხზე დუმს.

გაზეთმა Le Monde-მ დათვალა, რომ ევროკავშირის ქვეყნებში მომუშავე ფრანგების რაოდენობა (120 ათასი ადამიანი) ორნახევარჯერ ნაკლებია საფრანგეთში მომუშავეებზე (286 ათასი — ქვეყნის სამუშაო ძალის 1 პროცენტი).

საფრანგეთში ყველაზე მეტი პოლონელია დასაქმებული (46,8 ათასი კაცი), შემდეგ მოდიან პორტუგალიელები (44,5 ათასი) და ესპანელები (35,2 ათასი) — ისინი უმეტესად სწორედ სამშენებლო ობიექტებზე მუშაობენ.

# თურქეთი ევროკავშირს ლტოლვილების შესევით დაემუქრა

**„თურქეთს შეუძლია ცალმხრივად შეცვალოს ევროკავშირთან გაფორმებული ხელშეკრულება მიგრაციის შესახებ და დაიწყოს ასი ათასობით ლტოლვილის გაგზავნა ევროპაში", — განაცხადა თურქეთის შინაგან საქმეთა მინისტრმა სულეიმან სოილუმ.**



**„მე თქვენ გეუბნებით, ევროპელებო: გაქვთ საკმარისი სიმამაცე? თუ გსურთ, ჩვენ შეგვიძლია ყოველთვიურად გამოგიგზავნოთ 15 ათასი ლტოლვილი, რომლებსაც ჩვენ უკან არ გავაბრუნეთ, და თქვენში ეს შოკს გამოიწვევს. თქვენ უნდა გააცნობიეროთ, რომ ამ რეგიონში თამაშს ვერ შეძლებთ თურქეთის გვერდის ავლით",** — განაცხადა სოილუმ.

ამასთანავე, თურქეთის შინაგან საქმეთა მინისტრმა გერმანია და ნიდერლანდები დაადანაშაულა თურქეთის საშინაო პოლიტიკში ჩარევის მცდელობაში, როდესაც (2013 წ.) მათ მხარი დაუჭირეს საპროტესტო მოძრაობას, აგრეთვე, ისლამისტი მოძღვრის — **ფეთჰულა გიულენის** მოძრაობას.

თურქეთის ხელისუფლება გიულენს 2016 წლის ივლისში სახელმწიფო გადატრიალების მოწყობაში ადანაშაულებს.

ევროპაში მიგრაციული კრიზისის მოგვარების შესახებ ევროკავშირსა და თურქეთს შორის 2016 წელს გაფორმებული შეთანხმების მიხედვით, ყველა ლტოლვილი, რომლებიც არალეგალურად შევლენ საბერძნეთში თურქეთიდან ეგეოსის ზღვის გავლით, უკან, თურქეთში უნდა დააბრუნონ. ევროკავშირი კი ვალდებულია თითოეული გაძევებული არალეგალი მიგრანტის სანაცვლოდ, თურქეთიდან ლეგალურად მიიღოს ერთი სირიელი ლტოლვილი.




# ავტომობილის გატაცებისთვის ორი პირი დააკავეს

**თბილისში, საბურთალოზე, ავტომობილის გატაცებისთვის სამართალდამცველებმა ორი პირი დააკავეს. ამ პირებმა საბურთალოზე იარაღის მუქარით მამაკაცს „ბე-ემ-ვეს" მარკის ავტომობილი წაართვეს და გაიტაცეს.** შინაგან საქმეთა სამინისტროს განცხადებით, ნაპოვნია გატაცებული ავტომობილი. საქმეზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 179-ე მუხლით მიმდინარეობს, რაც ყაჩაღობას გულისხმობს.


# ძვალ-სახსართა პათოლოგიისა და გახდომა-გასუქების ცენტრი

**კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპარეზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზივური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტისა და პოლიართრიტის მკურნალობა, დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა. მკურნალობა საოპერაციო და უშედეგოდ ნაოპერაციებ სახსრებზე უახლესი მეთოდებით.**

**ზრდის სწრაფი და ეფექტიანი პროგრამები 2-დან 25 წლამდე კურსით 3-5 სმ-ის მომატებით, მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც.**

**გახდომა-გასუქება 5-დან 20კგ-მდე თვეში, მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, აკრძალვების, ვარჯიშების გარეშე, ნივთიერებათა ცვლისა და კუჭ-ნაწლავის მოწესრიგებით, ქოლესტერინისგან გაწმენდით, ყველაფერი — მცენარეული პრეპარატებით, უკუჩვენების გარეშე.**

**ტელ: 599-722-138; 247-58-83**
**მის.: წერეთლის №142, I სართ.**
**კაბინეტი №6. ქალბატონი ქეთევანი**


საქართველო
ესტუმრეთ ჩვენს საიტს
პოლიტიკა ეკონომიკა საზოგადოება ადამიანის უფლებები ისტორია
http://www.geworld.ge

მთავარი რედაქტორი ირაკლი თოდუა
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
მისამართი: თბილისი, დავით ბაქრაძის ქ. №6
ტელ.: 234-32-95; e-mail: gazeti@inbox.ru
ISSN 2233-3894